

## **ზიანის ანაზღაურება**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2022, № 10

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)

2022, № 10

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)

2022, № 10

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)

2022, № 10

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

**ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეხელი

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი .....	4
გამამართლებელი განაჩენიდან გამომდინარე მატერიალური ზიანის დაკისრების საფუძვლიანობა და დაკისრებული თანხის ოდენობის გონივრულობა .....	35
მატერიალური ზიანის ვალდებულების წარმოშობის წინაპირობები .....	57
მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები .....	76
აღმასრულებლის მიერ მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების კანონიერება .....	113
მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობების არსებობის დადგენა და ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა .....	133
მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საფუძვლიანობა და ოდენობა .....	153

**სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის  
ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი**

**ბანძინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-1017(კ-20)

21 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე,  
ბ. სტურუა**

**დავის საგანი:** მატერიალური ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2019 წლის 24 მაისს ვ. ს-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, ხოლო 2019 წლის 23 ივლისს წარადგინა დაზუსტებული სარჩელი, მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 24 აპრილს ზ. გ-ისაგან ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა №86 მიწის ნაკვეთის 1/2 ნაწილი 700 კვ.მეტრი, მდებარე: ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა, რომელიც იმავე წელს დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში საკადასტრო კოდით: №... წელს მიწის ნაკვეთი დაადეკლარირა და იხდიდა მიწის გადასახადს. აღნიშნული მიწის ნაკვეთი ზ. გ-ეს საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა 1993 წლის 15 აპრილს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად. მოსარჩელემ 2016 წლის 17 თებერვალს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურში წარადგინა №... განცხადება, რომლითაც ითხოვდა თავის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საზღვრებისა და ფართობის დაზუსტებას. მარეგისტრირებელმა ორგანომ ჯერ შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება მიწის ნაკვეთის მთლიანი გადაფარვის/ზედდების გამო, შემდეგ კი 2016 წლის 28 მარტის №... გადაწყვეტილებით შეწყვიტა. სადავო მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 15 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით საკუთრების უფლებით დაურეგისტრირდა გ. ა-ეს, საკადას-

ტრო კოდით: №..., რომელმაც თავის მხრივ ნაკვეთი გადაუფორმა ვ. პ-ს, რომელმაც ნაკვეთი მიჰყიდა მ. ლ-ს. ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, მოსარჩელის განცხადების საფუძველზე სისხლის სამართლის №092250417003 საქმეზე მოსარჩელე დაზარალებულად იქნა ცნობილი. ასევე სისხლის სამართლის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 30 იანვრის განაჩენით დადგინდა ფაქტობრივი გარემოებები, რომლითაც დასტურდება, რომ მსჯავრდებულ პირებთან ერთად საჯარო რეესტრის უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედების, უკანონო რეგისტრაციის შედეგად მოსარჩელემ დაკარგა საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რითაც მიადგა მატერიალური ზიანი.

ამდენად, მოსარჩელემ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ვ. ს-ის სასარგებლოდ 72 215 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით ვ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ვ. ს-ის სასარგებლოდ 72 215 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი 2004 წლის 21 აპრილის მდგომარეობით საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, ფართობი: 0.15ჰა, მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომერი: №..., საკუთრების უფლებით აღრიცხულია ზ. გ-ის სახელზე. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია: მიღება-ჩაბარების აქტი გაცემული ხეხილსანერგე მეურნ. მიერ 15.04.93წ., ცნობა №3 გაც. „ს...ის“ მიერ 16.02.04წ.

2007 წლის 24 აპრილს, ერთი მხრივ ზ. გ-ეს (შემდგომში მოხსენიებული როგორც „გამყიდველი“) და მეორე მხრივ ვ. ს-ს (შემდგომში როგორც „მყიდველი“) შორის დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება (რეგისტრაციის №1-1629), რომლის თანახმადაც, ზ. გ-ემ მის საკუთრებაში არსებული 0,15 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთიდან, ვ. ს-ს მიჰყიდა 0,07 ჰექტარი მიწის ნაკვეთი (სარეგისტრაციო ზონა გარდაბანი, კოდი 81, სექტორი ხეხილსანერგე, კოდი 21, კვარტალი №00, ნაკვეთის №354, უფლება კერძო საკუთრება, ფუნქცია სასოფლო-სამეურნეო, განაცხადის რეგისტრაციის №..., უძრავი ქონების სარეგისტრაციო №...).

საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 8 ივლისის მდგომარეობით

საჯარო რეესტრის ამონაწერი დასტურდება, რომ უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა, დაუზუსტებელი ფართობი: 700.00 კვ.მეტრი, ნაკვეთის წინა ნომერი: ..., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №..., 2007 წლის 30 აპრილიდან საკუთრების უფლებით აღრიცხულია ვ. ს-ის სახელზე. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს: ნასყიდობის ხელშეკრულება რეგ. სანოტარო რეესტრში №1-1629 გაცემული ნოტარიუს ს. ხ-ას მიერ 24.04.07წ.

2015 წლის 14 დეკემბერს გ. ა-ემ №... განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაცია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, მდებარე: ქალაქი თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა. განცხადებას თან ახლდა შემდეგი დოკუმენტები: 1. დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; 2. მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი; 3. ელ.ვერსია; 4. მიწის მიღება-ჩაბარების აქტი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2015 წლის 15 დეკემბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება №... „რეგისტრაციის შესახებ“ და უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა, ნაკვეთის დანიშნულება – სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 750 კვ.მეტრი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №..., საკუთრების უფლებით აღრიცხვა გ. ა-ის სახელზე.

საქმეში წარმოდგენილი 2015 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით საჯარო რეესტრის ამონაწერი დასტურდება, რომ უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა, ნაკვეთის დანიშნულება – სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 750 კვ.მეტრი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №..., საკუთრების უფლებით აღრიცხულია გ. ა-ის სახელზე.

2015 წლის 14 დეკემბერს გ. ა-ემ №... განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაცია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, მდებარე: ქალაქი თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა. განცხადებას თან ახლდა შემდეგი დოკუმენტები: 1. დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; 2. მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი; 3. მიწის მიღება-ჩაბარების აქტი; 4. ელ.ვერსია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2015 წლის 15 დეკემბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება №... „რეგისტრაციის შესახებ“ და უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა, ნაკვეთის დანიშნულება – სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 750 კვ.მეტრი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №..., საკუთრების უფლებით აღრიცხულია გ. ა-ის სახელზე.

ყვეტილება №... „რეგისტრაციის შესახებ“ და უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა, ნაკვეთის დანიშნულება – სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 740 კვ.მეტრი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №..., საკუთრების უფლებით აღირიცხა გ. ა-ის სახელზე.

საქმეში წარმოდგენილი 2015 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა, ნაკვეთის დანიშნულება – სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 740 კვ.მეტრი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №..., საკუთრების უფლებით აღირიცხებულა გ. ა-ის სახელზე.

2015 წლის 17 დეკემბერს, ერთი მხრივ გ. ა-ეს და მეორე მხრივ ვ. პ-ს შორის დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით (რეგისტრაციის №151363099), რომლის თანახმად ირკვევა, რომ გ. ა-ემ ვ. პ-ს მიჰყიდა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა, ნაკვეთის დანიშნულება – სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 750 კვ.მეტრი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №..., სამი თვის ვადით 2016 წლის 17 მარტამდე მყიდველისაგან გამოსყიდვის უფლებით. მხარეთა განცხადებით ნასყიდობის საგანი გაიყიდა გამოსყიდვის უფლებით 16000 (თექვსმეტი ათას) აშშ დოლარად (რაც იმდროინდელი კურსით შეადგენს 38240 ლარს).

2015 წლის 17 დეკემბერს გ. ა-ემ №... განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გამოსყიდვის უფლებით რეგისტრაცია უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2015 წლის 18 დეკემბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება №... „რეგისტრაციის შესახებ“, რომლითაც დაკმაყოფილდა გ. ა-ის განცხადება და საჯარო რეესტრში უძრავი ქონება – ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა, ნაკვეთის დანიშნულება – სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 750 კვ.მეტრი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №..., საკუთრების უფლებით აღირიცხა ვ. პ-ის სახელზე. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია: უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით №151363099, დამონშების თარიღი: 17/12/2015, ნოტარიუსი მ. ლ-ი. ამასთან, საჯარო რეესტრის ამონაწერში ვალდებულების გრაფაში მიეთითა – გამყიდველი: გ. ა-ე,

მყიდველი: ვ. პ-ი; საგანი: მიწის დაზუსტებული ფართობი: 750 კვ.მეტრი; საბოლოო თარიღი: 17/03/2016; გამყიდველი უფლებამოსილია გამოისყიდოს უძრავი ქონება. უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით, რეესტრის ნომერი: №151363099, დამონმების თარიღი: 17/12/2005, ნოტარიუსი მ. ლ-ი.

2016 წლის 18 მარტს ვ. პ-მა №... განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეწყვეტის რეგისტრაცია უძრავ ნივთზე, მდებარე: ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2016 წლის 21 მარტს მიღებული იქნა გადაწყვეტილება №... „რეგისტრაციის შესახებ“, რომლითაც დაკმაყოფილდა ვ. პ-ის განცხადება და უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა, დაზუსტებული ფართობი: 750 კვ.მეტრი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №..., განხორციელდა ვალდებულების შეწყვეტის რეგისტრაცია.

2016 წლის 21 მარტს, ერთი მხრივ ვ. პ-ს და მეორე მხრივ მ. ლ-ს შორის დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება (რეგისტრაციის №160264909), რომლის თანახმად ირკვევა, რომ ვ. პ-მა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა, ნაკვეთის დანიშნულება – სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 750 კვ.მეტრი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №..., მიჰყიდა მ. ლ-ს. მხარეთა განცხადებით ნასყიდობის საგანი გაიყიდა 16500 (თექვსმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარად (რაც იმდროინდელი კურსით შეადგენს 38115 ლარს).

2016 წლის 21 მარტს მ. ლ-მა №... განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაცია გარიგების საფუძველზე უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2016 წლის 21 მარტს მიღებული იქნა გადაწყვეტილება №... „რეგისტრაციის შესახებ“, რომლითაც დაკმაყოფილდა მ. ლ-ის განცხადება და საჯარო რეესტრში უძრავი ქონება – ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა, ნაკვეთის დანიშნულება – სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 750 კვ.მეტრი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №..., საკუთრების უფლებით აღირიცხა მ. ლ-ის სახელზე. უფლების დამადასტურებელი



დოკუმენტი: უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება №160264909, დამონმების თარიღი: 21/03/2016, ნოტარიუსი მ.ლ-ი.

2016 წლის 17 თებერვალს ვ. ს-მა №... სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრებისა და ფართობის დაზუსტება, მდებარე: ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 19 თებერვალს მიღებული იქნა გადაწყვეტილება №... „სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ“, რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილ და უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება. კერძოდ, განცხადებას თანდართული საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით, წარდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამებოდა მომიჯნავე უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს და მიწის ნაკვეთის საზღვრები იჭრებოდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, შესაბამისად, წარსადგენი იყო კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 28 მარტს მიღებული იქნა გადაწყვეტილება №... „სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ“, რომლის თანახმადაც, ვინაიდან წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა.

2016 წლის 14 სექტემბერს ვ. ს-მა №... სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ცვლილების რეგისტრაცია უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 19 სექტემბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება №... „სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ“, რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ №... სარეგისტრაციო განცხადებაზე სარეგისტრაციოდ წარდგენილი და ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შო-

რის დადგინდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მინის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო პროექტის განხორციელების პროცესში მხარეთა შორის დავის გამოვლენის შემთხვევაში სააგენტო ამ დავის გადასაწყვეტად სავალდებულო წესით მიმართავს სანოტარო მედიაციას ან საქმეში რთავს მედიატორს (მედიატორებს), რომელიც (რომლებიც) მხარეებს აცნობებს (აცნობებენ) მედიაციის პირობებს და მათი თანხმობით ნიშნავს (ნიშნავენ) შეხვედრის დროსა და ადგილს. დაინტერესებულ პირს განემარტა, რომ თუ ის არ ეთანხმებოდა იმ მინის ნაკვეთის (საკ. კოდი: ..., მესაკუთრე მ. ლ-ი) კონფიგურაციას და მდებარეობას, რომელთანაც ფიქსირდებოდა სარეგისტრაციოდ წარდგენილი უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების ზედდება, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად 30 კალენდარული დღის ვადაში წარსადგენი იყო კორექტირებული აზომვითი/აგეგმვითი ნახაზი. იმ შემთხვევაში თუ დაინტერესებული პირი არ ეთანხმებოდა რეგისტრირებულ მინის ნაკვეთის მდებარეობას და კონფიგურაციას, სარეგისტრაციო წარმოების ვადაში წარდგენილი უნდა ყოფილიყო ინფორმაცია დავის არსებობის შესახებ. ამასთან, მხარის (მხარეების) მიერ დავის დადასტურების შემთხვევაში სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ გადანაცვებილების მათთვის ოფიციალურად ჩაბარებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში თუ არ შეარჩევდნენ მედიატორს/მედიატორ ნოტარიუსს, მედიატორს/მედიატორ ნოტარიუსს აირჩევდა სააგენტო. დაინტერესებულ პირს განემარტა, რომ სარეგისტრაციო წარმოების ვადაში მინის ნაკვეთის კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის ან/და მხარეთა შორის არსებული დავის დადასტურების შესახებ განცხადების წარუდგენლობის შემთხვევაში, სააგენტო სადავო საკითხის გადასაწყვეტად სავალდებულო წესით მიმართავდა სანოტარო მედიაციას.

2016 წლის 21 სექტემბერს ვ. ს-მა №... სარეგისტრაციო განცხადებაზე დამატებით წარადგინა განცხადება, რომლითაც დადასტურა მხარეთა შორის დავის არსებობა, ამასთან, მოითხოვა მედიაციის დანიშვნა და ასევე თანხმობა განაცხადა მედიატორი/მედიატორ ნოტარიუსი არჩეული ყოფილიყო სააგენტოს მიერ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 28 სექტემბერს მიღებული იქნა №... გადანაცვებილება „სარეგისტრაციო მიმდინარეობის შესახებ“, რომ-

ლითაც დაინტერესებულ პირს ეცნობა, რომ მხარეთა შორის გამოვლენილი დავის მოგვარების მიზნით „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ დანიშნულ იქნა მედიატორი ნოტარიუსი ე. ყ-ი. მედიატორ ნოტარიუსთან შესაბამის საკითხზე შეხვედრა დაინიშნა 2016 წლის 5 ოქტომბერს 12:30-13:00 საათზე, მისამართი: ქ. თბილისი, ...ის ქუჩა №32.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 7 ოქტომბერს მიღებული იქნა №...გადაწყვეტილება, ხოლო 2016 წლის 12 ოქტომბერს მიღებული იქნა №...-10 გადაწყვეტილება, სადაც აღნიშნულია შემდეგი – „ელოდება მედიაციის შედეგს“.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 21 ოქტომბერს მიღებული იქნა №.. გადაწყვეტილება „სარეგისტრაციო მიმდინარეობის შესახებ“, რომლითაც დაინტერესებულ პირს (ვ. ს-ი) ეცნობა, რომ №... განცხადების საფუძველზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობდა წარმოება მიწის ნაკვეთზე, მდებარე მისამართზე – ქალაქი თბილისი, ხეხილსანერგე მეთრნოზა, საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით. წარმოების ეტაპზე გამოვლინდა დავა, რომლის მოგვარების მიზნით, მედიატორ ნოტარიუსთან ე. ყ-თან 2016 წლის 5 ოქტომბერს 12:30-13:00 საათზე დანიშნული იქნა მედიაცია. მედიაციის დანიშვნის შესახებ შეტყობინება ასევე გაეგზავნა მეორე მხარეს. დადგინდა, რომ იგი არ გამოცხადდა მედიატორთან დანიშნულ პირველ შეხვედრაზე, რაც ხელს უშლიდა დავის მორიგებით დასრულებას. იმ შემთხვევაში თუ განმეორებით არ გამოცხადდებოდა დანიშნულ შეხვედრაზე და ხელს არ შეუწყობდა მეორე მხარესთან ვ. ს-ის დავის მოგვარებას, ეს შესაძლებელი იყო გამხდარიყო მედიაციის შეწყვეტის საფუძველი, მედიაციის პროცესში მხარეთა მონაწილეობა წარმოადგენდა არსებული დავის მორიგებით გადაწყვეტის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ეთხოვა მედიაციის ხელშეწყობის მიზნით, გამოცხადებულიყო მედიატორ ნოტარიუსთან ე. ყ-თან შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ...ის ქუჩა №32.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 11 ოქტომბერს მიღებული იქნა №...-16 გადაწყვეტილება „სარეგისტრაციო მიმდინარეობის შესახებ“, რომლითაც დაინტერესებულ პირს (ვ. ს-ი) ეცნობა, რომ №... განცხადების საფუძველზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სა-

აგენტოში მიმდინარეობდა წარმოება მიწის ნაკვეთზე, მდებარე მისამართზე – ქალაქი თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით. წარმოების ეტაპზე გამოვლინდა დავა, რომლის მოგვარების მიზნით, მედიატორ ნოტარიუსთან ე. ყ-თან 2016 წლის 8 ნოემბერს 14:00-14:30 საათზე დანიშნული იქნა მედიაცია. მედიაციის დანიშვნის შესახებ შეტყობინება ასევე გაეგზავნა მეორე მხარეს. დადგინდა, რომ იგი არ გამოცხადდა მედიატორთან დანიშნულ პირველ შეხვედრაზე, რაც ხელს უშლიდა დავის მორიგებით დასრულებას. იმ შემთხვევაში თუ განმეორებით არ გამოცხადდებოდა დანიშნულ შეხვედრაზე და ხელს არ შეუწყობდა მეორე მხარესთან ვ. ს-ის დავის მოგვარებას, ეს შესაძლებელია გამხდარიყო მედიაციის შეწყვეტის საფუძველი, მედიაციის პროცესში მხარეთა მონაწილეობა წარმოადგენდა არსებული დავის მორიგებით გადაწყვეტის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ეთხოვა მედიაციის ხელშეწყობის მიზნით, გამოცხადებულიყო მედიატორ ნოტარიუსთან ე. ყ-თან შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ...ის ქუჩა №32.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის მედიაცია არ შედგა, რის გამოც მედიატორმა ნოტარიუსმა ე. ყ-მა 2016 წლის 8 ნოემბერს წერილით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და აცნობა, რომ მედიაცია შეწყდა და ეთხოვა აღნიშნული ცნობად ყოფილიყო მიღებული.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 14 ნოემბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება №... „სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ“, რომლის თანახმადაც, ვინაიდან წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი პროკურორის 2017 წლის 27 აპრილის დადგენილებით (დოკუმენტის №0009539927), ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, დაზარალებულად იქნა ცნობილი ვ. ს-ი (პირადი №...).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 30 იანვრის განაჩენის (საქმე №1/2581-17) თანახმად, გ. ა-ე ცნობილი იქნა დამნაშავედ, საქართველოს სის-

ხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სსსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა – 6 (ექვსი) წლის ვადით. განაჩენში აღნიშნულია, რომ გ. მ-ე დაუკავშირდა თავის ნაცნობებს ვ. კ-ეს, ა-ეს და შეუთანხმდა ყალბი დოკუმენტების გამოყენებით მის მიერ მოძიებული ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე ორი სივრცობრივად ერთმანეთისაგან დაშორებული 750-750 კვ.მეტრი ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის მოტყუებით დაუფლებაზე, რომელთაგან ერთი ზედდებაში იყო მოქალაქე ვ. ს-ის მიერ 2007 წელს ზ. გ-ისაგან შეძენილ – 700 კვ.მეტრ მიწის ნაკვეთთან, საკადასტრო კოდით: №... გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შემდგომი წარდგენისა და ხეხილსანერგე მეურნეობაში მოძიებული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში დარეგისტრირების მიზნით, გ. მ-ისა და მისი თანამზრახველების მიერ მოპოვებული იქნა გ. ა-ის სახელზე დამზადებული 1994 წლის 15 ნოემბრით დათარიღებული მიწის ნაკვეთის ყალბი მიღება-ჩაბარების აქტი №73, რომლის თანახმად, ხეხილსანერგე მეურნეობაში მცხოვრებ გ. ა-ეს მიწის რეფორმის ფარგლებში 1994 წლის მდგომარეობით გამოყოფილი ჰქონდა ორ ნაკვეთად 1500 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი. 2015 წლის დეკემბრის თვეში გ. მ-ემ საამზომველო კომპანია „ბერმუნდის“ ამზომველ ზ. გ-ს დაამზადებინა მოძიებული მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზები, რომელიც 1994 წლის 15 ნოემბრით დათარიღებული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების №73 აქტთან ერთად 2015 წლის 14 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა გ. ა-ის საკუთრებაში დარეგისტრირების მოთხოვნით. განცხადება 2015 წლის 15 დეკემბერს დაკმაყოფილდა და გ. ა-ის საკუთრებაში დარეგისტრირდა ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე ვ. ს-ის კუთვნილი 72215 (სამოცდათორმეტი ათას ორას-თხუთმეტი) ლარის ღირებულების 700 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი. დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით აღნიშნული ნაკვეთი გასხვიებული იქნა სხვადასხვა პირზე.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 409-ე, 992-ე, 1005.1 მუხლებზე და აღნიშნა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში იმისათვის, რომ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, სასამართლოს მიერ უნდა დადგინდეს მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-

ტოს ბრალეული ქმედება და ამ ბრალეულ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი.

განსახილველ შემთხვევაში საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2015 წლის 15 დეკემბერს მიღებული №... გადაწყვეტილებით მოსარჩელეს შეეზღუდა საკუთრების უფლება მის მიერ 2007 წლის 24 აპრილს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით შეძენილ 700 კვ.მეტრი ფართის №... საკადასტრო კოდით საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, მდებარე: გარდაბანი, ხეხილსანერგე მეურნეობა, რამეთუ აღნიშნული გადაწყვეტილებით რეგისტრირებული იქნა და საკუთრების უფლებით აღირიცხა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული და კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, გ. ა-ის საკუთრების უფლება, რაც თავის მხრივ სხვადასხვა დროს გასხვისდა სხვადასხვა ფიზიკურ პირზე. სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება მოსარჩელე ვ. ს-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია კონკრეტულ უძრავ ქონებაზე, ასევე დასტურდება, რომ მოსარჩელეს არ შეუძლია ამ უფლების რეალიზაცია, რადგან მარეგისტრირებელმა ორგანომ შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის გარეშე დაარეგისტრირა სხვა პირის (გ. ა-ის) საკუთრების უფლება რეესტრში რეგისტრირებულ და მოსარჩელის საკუთრებად აღრიცხულ უძრავ ქონებაზე.

სასამართლომ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტზე და განმარტა, რომ მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე. ისინი პასუხისმგებელი არიან მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთ შესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. სასამართლოს მოსაზრებით, საჯარო რეესტრის სამსახურს, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია კანონისმიერი ვალდებულება და ეკისრება პასუხისმგებლობა საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებსა და მათთან დაცულ სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

ამდენად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ურთიერთშეჯერების საფუძველზე საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ

ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხე – საჯარო რეესტრის სამსახურის მიერ არ იქნა დაცული „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის იმპერატიული დანაწესის მოთხოვნა, არ იქნა უზრუნველყოფილი მათთან დაცული დოკუმენტაციის საფუძველზე საჯარო რეესტრში 2007 წლის 24 აპრილიდან რეგისტრირებული მოსარჩელის საკუთრების უფლების უსაფრთხოება. შესაბამისად, მოსარჩელეს უკანონოდ შეეზღუდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლება, რამეთუ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება ვ. ს-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია კონკრეტულ უძრავ ქონებაზე, რაც მარეგისტრირებელი ორგანოს ქმედების შედეგად შეიზღუდა, შეუძლებელი გახდა მესაკუთრის მიერ საკუთრების უფლების ობიექტის თავისუფლად ფლობა, სარგებლობა, განკარგვა და სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობის აკრძალვა. ფაქტობრივად საკუთრების უფლების ობიექტი გადაეცათ სხვა პირებს, მოსარჩელის ნების საწინააღმდეგოდ, რაც შედეგობრივად განხორციელდა მარეგისტრირებელი ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით (რაც დასტურდება, მოსარჩელის დაზარალებულად ცნობის დადგენილებითა და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით). საგულისხმო იყო, რომ მარეგისტრირებელმა ორგანომ ისე მოახდინა საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე სხვისი საკუთრების უფლების რეგისტრაცია, რომ არ გამოიკვლია საქმის ირგვლივ არსებული ფაქტობრივი გარემოებები, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადანყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში დასტურდება მარეგისტრირებელი ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რასაც შედეგად მოჰყვა პირის კანონიერი უფლებების შეზღუდვა და მატერიალური ზიანი. შესაბამისად, არსებობდა მიზეზობრივი კავშირი მოპასუხე საჯარო რეესტრის სააგენტოს ქმედებასა და მოსარჩელისათვის დამდგარ შედეგს (მატერიალური ზიანი) შორის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 სექტემბრის გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 მაისის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო საქმის მასალების და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას არ დარღვეულა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს, საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია სრულყოფილად, რაც არ იძლეოდა გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სასამართლომ ისე დააკისრა ზიანის ანაზღაურება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომ არ შეუფასებია არსებობდა თუ არა ზიანის ანაზღაურების დაკისრების ყველა კომპონენტი კუმულაციურად. კასატორის განმარტებით, საქმეში არსებული მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას გამორიცხავს 992-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის კომპონენტების არარსებობა. კერძოდ, არ არსებობს მართლსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბრალი, მოსარჩელის მიმართ დამდგარ ზიანთან დაკავშირებით და ასევე, არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი სააგენტოს ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. მხოლოდ აღნიშნული ოთხი კომპონენტის ერთობლივად არსებობის შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს ზიანის მიმყენებელს მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის სასარგებლოდ, რაც ამ შემთხვევაში სახეზე არ არის.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე გ. ა-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის განხორციელების დროს სააგენტოში არ არსებობდა რეგისტრა-



ციის დამაბრკოლებელი გარემოებები. სარეგისტრაციო დოკუმენტის სახით წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენდა მიწის ნაკვეთზე უფლების დამდგენ დოკუმენტს. რაც შეეხება ზემოაღნიშნული რეგისტრაციების შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებს, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე ვ. პ-ის, მ. ლ-ისა და ს. ა-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციებს, ცალსახაა, რომ სადავო რეგისტრაციების განხორციელებას საფუძვლად დაედო კონკრეტული უფლების დამდგენი დოკუმენტები და შეუძლებელია საუბარი სააგენტოს მიერ განზრახ ან გაუფრთხილებლობით ზიანის მიყენების ფაქტზე.

კასატორის მითითებით, სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტი, კერძოდ, №73 მიღება-ჩაბარების აქტი ძალაშია და არ მომხდარა მისი ბათილად, არარად ან/და ძალადაკარგულად გამოცხადება. ამასთან, სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ საკითხზე, რომ მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია და ძალაშია №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით მიღებული რეგისტრაციის შესახებ გადანყვევტილებები და მათი საფუძვლები. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მოსარჩელის საკუთრების უფლება 0,07ჰა მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდა 2007 წელს დაუზუსტებელი მონაცემებით, რაც იმას ნიშნავს, რომ არ იყო დაზუსტებული აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფართობი და საზღვრები. შესაბამისად, მიწის ნაკვეთის ზუსტი ადგილმდებარეობა არ იყო განსაზღვრული. ამასთან, მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგისტრაციას საფუძვლად დაედო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ნაკვეთის ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა სადავო რეგისტრაციების განხორციელების დროს სააგენტოს მიერ შეუძლებელი იყო. შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო მოკლებული იყო შესაძლებლობას მოეხდინა ვ. ს-ის საკუთრების უფლებით ადგილობრივ კოორდინატებში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის იდენტიფიკაცია, ვინაიდან №... საკადასტრო კოდით არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები არ იყო რეგისტრირებული WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციებში.

კასატორი ასევე პრეტენზიას გამოთქვამს ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით და ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო მიწის ნაკვეთი ვ. ს-მა შეიძინა 4000 ლარად, ხოლო სარჩელით იგი მოითხოვს 72215 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურებას. ამასთან, ყალბი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი გ. ა-ის მიერ გასხვისდა 16000 აშშ დოლარად, რაც კიდევ ერთხელ გამორიცხავდა საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოსთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 28 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 მარტის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

ამასთან, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ შუამდგომლობით მომართა საკასაციო სასამართლოს, რომლითაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საქმეში მესამე პირად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჩაბმა მოითხოვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ვ. ს-ი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მის სასარგებლოდ 72 215 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას ითხოვს. ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მოსარჩელე მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომ მან 2007 წლის 24 აპრილს ზ. გ-ისაგან ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა №86 მიწის ნაკვეთის 1/2 ნაწილი 700 კვ.მეტრი, მდებარე: ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა, რომელიც იმავე წელს დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში საკადასტრო კოდით: №... წელს მიწის ნაკვეთი დაადეკლარირა და იხდიდა მიწის გადასახადს. აღნიშნული მიწის ნაკვეთი ზ. გ-ეს საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა 1993 წლის 15 აპრილს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად. მოსარჩელემ 2016 წლის 17 თებერვალს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურში წარადგინა №... განცხადება, რომლითაც ითხოვდა თავის საკუთრე-

ბაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საზღვრებისა და ფართობის დაზუსტებას. მარეგისტრირებელმა ორგანომ ჯერ შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება მიწის ნაკვეთის მთლიანი გადაფარვის/ზედდების გამო, შემდეგ კი 2016 წლის 28 მარტის №... გადაწყვეტილებით შეწყვიტა. სადავო მიწის ნაკვეთი გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 15 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით საკუთრების უფლებით დაურეგისტრირდა გ. ა-ის, საკადასტრო კოდით: №..., რომელმაც თავის მხრივ ნაკვეთი გადაუფორმა ვ. პ-ს, რომელმაც ნაკვეთი მიჰყიდა მ. ლ-ს. ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, მოსარჩელის განცხადების საფუძველზე სისხლის სამართლის №092250417003 საქმეზე მოსარჩელე დაზარალებულად იქნა ცნობილი. ასევე სისხლის სამართლის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 30 იანვრის განაჩენით დადგინდა ფაქტობრივი გარემოებები, რომლითაც დასტურდება, რომ მსჯავრდებულ პირებთან ერთად საჯარო რეესტრის უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედების, უკანონო რეგისტრაციის შედეგად მოსარჩელემ დაკარგა საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რითაც მიაღდა მატერიალური ზიანი.

მოცემულ დავაზე ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა დადგენილად მიიჩნიეს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2015 წლის 15 დეკემბერს მიღებული №... გადაწყვეტილებით მოსარჩელეს შეეზღუდა საკუთრების უფლება, მის მიერ 2007 წლის 24 აპრილს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით შეძენილ 700 კვ.მ ფართის №... საკადასტრო კოდით საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, მდებარე: გარდაბანი, ხეხილსანერგე მეურნეობა. ასევე დადგენილია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ და კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე აღირიცხა გ. ა-ის საკუთრების უფლება, რომელმაც შემდგომ სხვა პირზე გაასხვისა აღნიშნული ქონება.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მასზე კანონით დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ განხორციელების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების დაკისრება, რა დროსაც გადამწყვეტია დადგინდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის კანონით განსაზღვრული აუცილებელი პირობების არსებობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონ-

სტიტუციით აღიარებულია სახელმწიფო ორგანოებისა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება, კერძოდ, კონსტიტუციის 18.4 მუხლის მიხედვით, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლების რეალიზაციას ემსახურება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავი, რომელიც უშუალოდ აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხს, კერძოდ, 208-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით (2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/630 „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“), „კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის (ამჟამად მოქმედი რედაქციის 18.4 მუხლი) უპირველეს მიზანს წარმოადგენს დაზარალებული პირის ინტერესების დაცვა მიყენებული ზარალის ანაზღაურების გზით. სახელმწიფო რესურსის მასშტაბის, მოცულობის და ბუნების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერ ქმედებათა განხორციელება ხშირ შემთხვევებში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბიექტების მხრიდან განხორციელებულ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით. ამიტომ მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დაწესება ხელს უწყობს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობის და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ზარალის ანაზღაურების უფლებას რამდენიმე წინაპირობის არსებობას უკავშირებს: 1. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პი-

რისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზარალი გამოწვეული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული სუბიექტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის.“

ამდენად, კანონმდებლობა ადგენს სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი ქმედების უშუალო შედეგს, უნდა არსებობდეს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი.

განსახილველი დავის ფარგლებში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას, საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს სათანადო შეფასება მიეცეს სარეგისტრაციო სამსახურის კანონის მოთხოვნების შესაბამისად საქმიანობის განხორციელებას თავად საჯარო რეესტრის არსებობის მიზნებისა და მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემდგომში მის მიერ კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად და კანონის შესაბამისად განხორციელების კუთხით.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საჯარო რეესტრის წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, საჯარო რეესტრის მწარმოებელი ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლება-მოვალეობებს. რეგისტრაციის მიზნით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქმიანობა წამოადგენს სარეგისტრაციო წარმოებას, რაც ხორციელდება მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ გადანყვეტილების მიღებით. ამასთან, მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია სარეგისტრაციო წარმოების ვადაში მიიღოს გადანყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის ან რეგისტრაციის შესახებ. „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველი, უფრო კონკრეტულად კი, ეს არის განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადანყვეტილება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, განცხადებას უნდა ერთვოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორ-

მაცია. მითითებული კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეგისტრაცია წარმოებს როგორც უშუალოდ სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტების, აგრეთვე ამ დოკუმენტაციის სათანადო წესით შექმნილი ელექტრონული ასლების საფუძველზე. ამავე კანონის მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო დოკუმენტაცია ეს არის რეგისტრაციის მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტები, ხოლო „კ“ პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო დოკუმენტი არის სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, თუმცა ისინი ამავე ნორმის თანახმად, პასუხისმგებელი არიან რეგისტრირებული მონაცემების და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. ამავე კანონის 23-ე მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების განმავლობაში მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, თუ სარეგისტრაციო მოთხოვნა რეგისტრირებული მონაცემების იდენტურია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

ამდენად, საჯარო რეესტრი აღჭურვილია საკუთრების უფლების არა მხოლოდ ფორმალური ფიქსაციის ფუნქციით, არამედ სამართლებრივი გარანტიის ფუნქციის შესრულების ფარგლებში, იგი უზრუნველყოფს რეესტრში რეგისტრირებული საკუთრების უფლების დაცვასაც. საჯარო რეესტრის სამართლებრივი გარანტიის ფუნქციის ქმედითი შესრულება დაკავშირებულია როგორც საკუთრების უფლების მართებული რეგისტრაციის შედეგად საკუთრების უფლების ფაქტობრივი რეალიზაციისათვის რეესტრში შესაბამისი გარანტიების შექმნასთან, აგრეთვე, უკვე რეგისტრირებული მონაცემების ხელშეუხებლობისა და მათი ხელყოფისაგან დაცვის უზრუნველყოფასთან (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.09.2019წ. №ბს-1505(კ-18) გადაწყვეტილება). საჯარო რეესტრში კონკრეტული მონაცემების დაფიქსირება ხორციელდება სარეგისტრაციო წარმოების გზით, რომელიც გულისხმობს რეგისტრაციას დაქვემდებარებულ მონაცემთა სრულყოფილად აღრიცხვის პროცესს. რეგისტრაცია არის უძრავ ქონებაზე უფლების წარმოშობის,

შეცვლის სახელმწიფოს მხრიდან დადასტურების იურიდიული აქტი, რითაც რეგისტრაციის განმახორციელებელი ორგანო კისრულობს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობათა კომპლექსის დაცვის ვალდებულებას, სახელმწიფო რეგისტრაცია მოწოდებულია მთლიანობაში სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის განმტკიცებისკენ, ის არის ტიტულის, პირის უფლებების სახელმწიფო დაცვის ფორმალური პირობა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 28.02.2013წ. №ბს-367-363(კ-12) გადაწყვეტილება).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საკუთარ პასუხისმგებლობას გამოიციხავს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ვ. ს-ის სახელზე სადავო მიწის ნაკვეთი რეგისტრირებული იყო დაუზუსტებელი მონაცემებით, რა დროსაც მისთვის ცნობილი არ იყო მიწის ნაკვეთის ზუსტი ადგილმდებარეობა, შესაბამისად, გ. ა-ის სახელზე სადავო რეგისტრაციის განხორციელებისას სარეგისტრაციო სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას მოეხდინა ვ. ს-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის იდენტიფიკაცია.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 28.02.2013წ. №ბს-367-363(კ-12) გადაწყვეტილებაზე და აღნიშნავს, რომ მიწა შეიძლება არსებობდეს საკუთრებაში, როგორც დაუზუსტებული, ასევე დაუზუსტებელი მონაცემებით. კანონმდებლობა არ შეიცავს დაუზუსტებელი მონაცემებით მიწის ნაკვეთის სუბიექტზე აღრიცხვის გამომრიცხავ დანაწესს. ამასთანავე, პირველად დაუზუსტებელ რეგისტრაციას არ აქვს მხოლოდ საცნობარო მნიშვნელობა, უმართებულოა მისი დაყვანა მხოლოდ ფაქტობრივ აღრიცხვამდე, რომელიც აღრიცხვის ობიექტის მიმართ არ იწვევს რაიმე სამართლებრივ შედეგს. სააღრიცხვო მონაცემებს იურიდიული მნიშვნელობა გააჩნია. სარეგისტრაციო პროცედურას შედეგად მოსდევს უფლებადამდგენი დოკუმენტის გაცემა. მითითებულ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკუთრება არის ფაქტი და დაუშვებელია ბუნებაში მისი აბსტრაქტული სახით არსებობა. საკითხის საწინააღმდეგოდ გადაწყვეტა ლახავს სამართლებრივ უსაფრთხოებას, ქმნის მდგომარეობას, როდესაც პირი არის საკუთრების უფლების მატარებელი, თუმცა არ გააჩნია საკუთრების უფლების ობიექტი, რაც ეწინააღმდეგება საკუთრების უფლების არსს, რადგან არ არსებობს საკუთრების უფლება ამ უფლების ობიექტისაგან დამოუკიდებლად.

„მინის რეგისტრაციის შესახებ“ 14.11.1996წ. კანონი ითვალისწინებდა რეესტრში ფიქსირებული და მიახლოებითი საზღვრების აღრიცხვას, თუ ადგილი არ ჰქონდა მოსაზღვრე მხარეებს შორის შეთანხმებას და სათანადო წესით შესრულებული კადასტრული სამუშაოების მონაცემების რეესტრში შეტანას, ყველა სხვა სახის საზღვარი მიახლოებით საზღვრად ითვლებოდა (მე-13.1 მუხ.). „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ 28.12.05წ. კანონი ასევე ითვალისწინებდა უძრავი ნივთის სააღრიცხვო ბარათში დაუზუსტებელი ან დაუზუსტებელი ფართობის მითითებას (8.3. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 33.4 მუხლის თანახმად „მინის რეგისტრაციის შესახებ“ კანონის შესაბამისად, ყოფილი მინის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ზონის რეგისტრატურაში რეგისტრირებული უფლებები მიიჩნეოდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებულად. „საჯარო რეესტრის შესახებ“ 19.12.08წ. კანონის საფუძველზე მიღებული იუსტიციის მინისტრის 15.01.10წ. ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 8.7, 31.4 მუხლები ასევე ითვალისწინებენ დაუზუსტებელ რეგისტრაციას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 30.04.1999წ. №206 ბრძანებულებით განისაზღვრა, რომ ახალი გეოდეზიური ქსელით შექმნილი ტოპოგრაფიული რუკებით თანდათანობით დაფარვამდე პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო მანამდე არსებული გეოდეზიური ქსელები და ტოპოგრაფიული რუკები. საკადასტრო აღწერის შედეგების (საკადასტრო აზომვითი ნახაზის) WGS 84 კოორდინატთა სისტემაში და UTM პროექციაში წარმოდგენა პირველად საქართველოს იუსტიციის მინისტრის 13.12.2006წ. №800 ბრძანებით დამტკიცებული „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის 48-ე მუხლით დადგინდა. ამასთანავე, არ არსებობდა მესაკუთრისათვის ადრე განხორციელებული რეგისტრაციის განახლების, რეგისტრაციის მოქმედების გაგრძელებისათვის ელექტრონული აზომვითი ნახაზის UTM პროექციაში წარდგენის ვალდებულების დამდგენი რაიმე ნორმა. საკასაციო პალატა თვლის, რომ ახლად შემოღებული კოორდინატთა ელექტრონული სისტემით მინის ნაკვეთის საზღვრების დაუზუსტებლობა, არ ნიშნავს მინის ნაკვეთზე უკვე წარმოშობილი საკუთრების უფლების ჩამორთმევას. ახალი კოორდინატთა სისტემის შემოღება იუსტიციის მინისტრის 15.01.10წ. №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 26-ე მუხლის თანახმად საკადასტრო აღწერის ტექნიკური პირობაა. გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემის



შეცვლა ტექნიკური საკითხია და მას არ უნდა ეწირებოდეს რეესტრში ასახული უფლებები, რეგისტრაციის ახალი სისტემის დანიშნულება სანივთო უფლებების უკეთესი დაცვაა და არა საკუთრების უფლების შეზღუდვა. ახალი კოორდინატთა სისტემის შემოღება შედეგად არ უნდა იწვევდეს ფორმალურ-სამართლებრივი პროცედურების შესრულებით მესაკუთრეზე უკვე რეგისტრირებული ნაკვეთის მესამე პირის მიერ დაუფლებას, არ უნდა ხელყოფდეს სამართლებრივ უსაფრთხოებას, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, მანამდე წარმოებული რეგისტრაციების იურიდიული ძალის დაკარგვას, მარეგისტრირებელი ორგანოს, როგორც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და საჯარო წესრიგის გარანტიის დანიშნულების შეცვლას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 28.02.2013წ. №ბს-367-363(კ-12) გადაწყვეტილება).

მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ვ. ს-ის სახელზე დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გ. ა-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა, რა დროსაც სარეგისტრაციო სამსახურს არ უმსჯელია და არ შეუფასებია ის დოკუმენტაცია, რომელიც არსებობდა ნაკვეთთან დაკავშირებით გ. ა-ის სახელზე განხორციელებულ რეგისტრაციამდე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის ვ. ს-ის უფლება სადავო მიწის ნაკვეთზე დასტურდება 2007 წლის 24 აპრილს ზ. გ-ესა და ვ. ს-ს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით (რეგისტრაციის №1-1629), რომლის თანახმადაც ზ. გ-ემ მის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე 0,15 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთიდან ვ. ს-ს მიჰყიდა 0,07 ჰა მიწის ნაკვეთი (სარეგისტრაციო ზონა გარდაბანი, კოდი 81, სექტორი ხეხილსანერგე, კოდი 21, კვარტალი №00, ნაკვეთის №354, უფლება კერძო საკუთრება, ფუნქცია სასოფლო-სამეურნეო, განაცხადის რეგისტრაციის №..., უძრავი ქონების სარეგისტრაციო №...), რის საფუძველზეც 2007 წლის აპრილიდან უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღრიცხულია ვ. ს-ის სახელზე. თავის მხრივ, უძრავ ქონებაზე ზ. გ-ის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენდა მიღება-ჩაბარების აქტი გაცემული ხეხილსანერგე მეურნ. მიერ 15.04.93წ. ცნობა №3 გაც. „საქნერგის“ მიერ 16.02.04წ. საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე ვ. ს-ის სახელზე სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2007 წელს განხორციელებულ რეგისტრაციამდე, მიწის ნაკვეთი მარეგისტრირებელ ორგანოში უკვე იყო აღრიცხული ზ. გ-ის სახელზე, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი 2004 წლის 21 აპრილის მდგომარეობით საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი, ხეხილსანერგე მეურ-

ნეობა, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, ფართობი: 0.15ჰა, მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომერი: №..., საკუთრების უფლებით აღრიცხული იყო ზ. გ-ის სახელზე, ხოლო უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენდა მიწის ნაკვეთის მითითებული მიღება-ჩაბარების აქტი, რაც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 28.06.1993წ. №503 დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად წარმოადგენდა მინათსარგებლობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო აქტის გაცემის ძირითად საფუძველს.

მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის თაობაზე მარეგისტრირებული ორგანოს მითითებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაცემულ სარეგისტრაციო მოწმობაზე, რომელიც ნაკვეთის სხვა მახასიათებლებთან ერთად შეიცავს ასევე საკადასტრო გეგმას შესრულებული 1:1000 მასშტაბში, სადაც ასახულია ზ. გ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობი, კონფიგურაცია, ნაკვეთის საზღვრების პარამეტრები, მოსაზღვრე ნაკვეთების ნომრები, ასევე ის, რომ ნაკვეთს სამხრეთით ესაზღვრება გზა, რაც მიუთითებდა ნაკვეთის ადგილმდებარეობაზე. საქმეში ასევე წარმოდგენილია სარეგისტრაციო სამსახურში დაცული საკადასტრო რუკა, შესრულებული 1:1000 მასშტაბში, ვ. ს-ისა და ზ. გ-ის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების ფართობის, კონფიგურაციის, ნაკვეთის საზღვრების პარამეტრების, მოსაზღვრე ნაკვეთების შესახებ. საქმეში წარმოდგენილი სააღრიცხვო ბარათები, სარეგისტრაციო მოწმობა, საკადასტრო რუკა, ვ. ს-სა და ზ. გ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება შეიცავს უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო ზონის და სექტორის კოდებს, ნაკვეთის ნომერს.

საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის დანაწესს და აღნიშნავს, რომ მითითებული ნორმის მიხედვით, მართალია, მარეგისტრირებული ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, მაგრამ ამავე ნორმის მიხედვით მარეგისტრირებული ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხისმგებელნი არიან რეგისტრირებული მონაცემების და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. ამავე კანონის 23-ე მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, რეგისტრაციაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველს სარეგისტრაციო მოთხოვნის რეგისტრირებულ მონაცემებთან იდენტურობა წარმოადგენს. ვი-

ნაიდან უძრავ ნივთზე რეგისტრირებული უფლება გამოორიცხავს იმავე ნივთზე სარეგისტრაციოდ წარდგენილი უფლების რეგისტრაციას, მარეგისტრირებელი ორგანო ასეთ შემთხვევაში უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოებაზე უარის თქმის შესახებ. დაუშვებელია სარეგისტრაციო მონაცემების და ნამდვილი მდგომარეობის შეუსაბამობა, არ დაიშვება რეგისტრირებულ მონაცემებს შორის კონკურენციის არსებობის შესაძლებლობა.

ამდენად, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს გ. ა-ის სახელზე ნაკვეთის რეგისტრაციამდე უნდა გამოეკველია ნაკვეთის სხვა პირის სახელზე რეგისტრაციის არსებობა, შეედარებინა სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია საარქივო ცნობასთან – ქალაქზე შესრულებულ საკადასტრო მონაცემებთან თუ საალრიცხვო ბარათთან და ამონაწერებთან, დაედგინა სადავო მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთების კოდები, მესაკუთრეები, გეოგრაფიული მდებარეობა, რათა სარწმუნოდ დაედგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები და არ დაეშვა ერთი ნაკვეთის მიმართ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერის არსებობა. გადამოწმების ვალდებულება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უფრო მაღალი ხარისხით წარმოემოხა იმის გათვალისწინებითაც, რომ უპირატესად სახელდობრ თავად მარეგისტრირებელი ორგანოსათვის არის ცნობილი რეესტრში რეგისტრირებული ყველა მიწის ნაკვეთის ელექტრონული სისტემით აღურიცხაობის შესახებ. სწრაფი რეგისტრაციის პრინციპის გატარება საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს სხვა სუბიექტების საკუთრების კონსტიტუციურ უფლებას. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით მარეგისტრირებელი ორგანოსთვის დაკისრებული ვალდებულება მასთან დაცული დოკუმენტების ურთიერთშესაბამისობის თაობაზე, გულისხმობს ადმინისტრაციულ ორგანოში დაცული როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური დოკუმენტების ურთიერთშესაბამისობას, რამდენადაც კანონმდებლობა არ გამოორიცხავს დაუზუსტებელი რეგისტრაციის არსებობას, შესაბამისად, რეგისტრაციის არსებობის გადამოწმება მხოლოდ ელექტრონული ნახაზის მეშვეობით არ ადასტურებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული ყოველგვარ აზრს უკარგავს დაუზუსტებელ რეგისტრაციას, სარეგისტრაციო სამსახური ვალდებულია გამოიკვლიოს ნაკვეთზე სხვა რეგისტრაციის არსებობა, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 6<sup>2</sup> პუნ-

ქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია გადაამოწმოს სააგენტოსთვის წარდგენილი საკადასტრო აგეგმვითი/ აზომვითი ნახაზის მონაცემების სისწორე და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებთან შესაბამისობა. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად სარეგისტრაციო სამსახური ვალდებული იყო დაინტერესებული მხარისათვის – ვ. ს-ისთვის ეცნობებინა წარმოების დაწყების შესახებ, მიეცა მისთვის აზრის გამოთქმის შესაძლებლობა. გ. ა-ის სახელზე სადავო მიწის ნაკვეთზე განხორციელებულ რეგისტრაციამდე მარეგისტრირებელ ორგანოს არ გამოუკვლევია ვ. ს-ის სახელზე საჯარო რეესტრის მიერ განხორციელებული სარეგისტრაციო ჩანაწერი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სარეგისტრაციო სამსახურის პასუხისმგებლობის გამოსარიცხად ვ. ს-ის სახელზე მიწის ნაკვეთის დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრაციის ფაქტზე მითითებას. აღნიშნული არა თუ გამორიცხავდა სარეგისტრაციო სამსახურის პასუხისმგებლობას, არამედ აკისრებდა საქმის გარემოებების უფრო მაღალი ხარისხით გამოკვლევის ვალდებულებას, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრაციისას საკუთრების უფლების ხელყოფის შესაძლებლობა.

განსახილველ შემთხვევაში სარეგისტრაციო სამსახურის მიერ დაშვებული დარღვევების შედეგად, რაც გამოიხატებოდა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების სათანადოდ შეუსრულებლობაში, მოხდა ვ. ს-ის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გ. ა-ის სახელზე აღრიცხვა. გ. ა-ის სახელზე სადავო მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით აღრიცხვისას სახეზე იყო როგორც ვ. გ-ის სახელზე გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი და მასზე განხორციელებული რეგისტრაცია, ასევე ძალაში იყო ვ. ს-ის სახელზე განხორციელებული რეგისტრაცია. რეგისტრაციის შესახებ გადანიშნულია არის აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის გაუქმება ხდება აქტისადმი დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის გათვალისწინებით (სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხ.). შესაბამისად, გ. ა-ის სახელზე განხორციელებული რეგისტრაციით საჯარო რეესტრმა დაუშვა ორი პარალელური რეგისტრაცია, იმ პირობებში, როდესაც ვ. ს-ის რეგისტრაციის მიმართ მოქმედებდა რეგისტრაციის კანონიერების და უტყუარობის პრეზუმფცია, მისი კანონიერება ეჭვქვეშ არ დამდგარა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ აღძრულ მოთხოვნას ასა-

ბუთებს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ გ. ა-ის სახელზე რეგისტრაცია განხორციელებულია ყალბი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ხოლო იგი დაზარალებულად არის ცნობილი, რის დასტურადაც საქმეში წარმოდგენილია სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი და ვ. ს-ის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება. წარმოდგენილი სარჩელი ეფუძნება სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მასზე კანონით დაკისრებული ვალდებულების სათანადოდ შეუსრულებლობას, რომელსაც გააჩნდა კანონისმიერი ვალდებულება არ დაეშვა ვ. ს-ის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ საკუთრების უფლებაზე სხვა პირის რეგისტრაცია, ამასთან, საქმეზე დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ სადავო მიწის ნაკვეთი სხვადასხვა დროს გასხვისებულია სხვადასხვა პირზე, კერძოდ, საქმის მასალების მიხედვით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 15 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით სადავო მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით აღირიცხა გ. ა-ის სახელზე. 2015 წლის 17 დეკემბერს, გ. ა-ესა და ვ. პ-ს შორის დადებული გამოსყიდვის უფლებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 18 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით მითითებული უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა ვ. პ-ის სახელზე, ხოლო 2016 წლის 21 მარტის №... გადაწყვეტილებით განხორციელდა ვალდებულების შეწყვეტის რეგისტრაცია. 2016 წლის 21 მარტს, ვ. პ-სა და მ. ლ-ს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2016 წლის 21 მარტის №... გადაწყვეტილებით უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა მ. ლ-ის სახელზე. შესაბამისად, მოსარჩელე სწორედ ადმინისტრაციული ორგანოსთვის ითხოვს ზიანის ანაზღაურების დაკისრებას.

თავის მხრივ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ზიანის ანაზღაურების გამომრიცხავ გარემოებად ასევე მიუთითებს მასზედ, რომ ვ. ს-ს სადავოდ არ გაუხდია და არ გაუსაჩივრებია №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით მიღებული რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებები და მათი საფუძველები და რომ ისინი დღეის მდგომარეობით ძალაშია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს მოცემულ საქმეზე არსებულ იმ უდავო გარემოებებზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 30

იანვრის განაჩენით (საქმე №1/2581-17) დადგენილია იმ მიღება-ჩაბარების აქტის სიყალბე, რომელიც საფუძველად დაედო ვ. ს-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გ. ა-ის სახელზე რეგისტრაციას, დაზარალებულად ცნობის შესახებ 2017 წლის 27 აპრილის დადგენილების თანახმად კი, ვ. ს-ი ცნობილია დაზარალებულად, ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტთან დაკავშირებით. ასევე დადგენილია, რომ მას შემდეგ, რაც ყალბი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ვ. ს-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა გ. ა-ის სახელზე, მიწის ნაკვეთი სხვადასხვა დროს გასხვისებულია სხვადასხვა პირზე.

მოცემულ საქმეზე არსებული გარემოებების პირობებში, საკასაციო სასამართლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას ვ. ს-ის მიერ აღნიშნული რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებებისა და მათი საფუძველების გაუსაჩივრებლობასთან დაკავშირებით. მითითებული რეგისტრაციების გასაჩივრების გარეშეც სისხლის სამართლის საქმეზე არსებული დასახელებული განაჩენითა (საქმე №1/2581-17) და ვ. ს-ის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილებით სახეზეა დამდგარი ზიანი და ამ რეგისტრაციების გასაჩივრება ვერ შეცვლიდა ფაქტობრივ მდგომარეობას, რამდენადაც სახეზეა კერძო სამართალპროცესული გარიგებები – ნასყიდობის ხელშეკრულებები. კასატორის მითითების შესაბამისად, მხარემ უნდა ანარმოს მრავალწლიანი სამოქალაქო დავა აღნიშნული პირების წინააღმდეგ, რაც, დიდი ალბათობით, სარჩელზე უარით დასრულდება შემძენთა კეთილსინდისიერებაზე მითითებით (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 17.10.2017წ. №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) და ამის შემდგომ აღძრას დავა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მაშინ, როდესაც ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელი საფუძველი უკვე ისედაც სახეზეა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 30 იანვრის განაჩენის (საქმე №1/2581-17) მიხედვით, ვ. ს-ის მსგავსად, დაზარალებულად ასევე ცნობილია ჯ. ბ-ი, რომელმაც თავდაპირველად სადავოდ გახადა მის მიწის ნაკვეთზე თაღლითური სქემის შედეგად საჯარო რეესტრში განხორციელებული რეგისტრაციები, რა დროსაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ჯ. ბ-ის სარჩელის საფუძველზე, ბათილად იქნა ცნობილი დასახელებული

განაჩენით დამნაშავედ ცნობილ პირზე განხორციელებული რეგისტრაცია. აღნიშნული დავის ფარგლებში სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული რეგისტრაციების განხორციელებისას მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმის გარემოებები სრულყოფილად არ შეისწავლა, კერძოდ, მოპასუხემ არ გაითვალისწინა მასთან დაცული დოკუმენტები, რომლითაც დგინდებოდა, რომ ჯ. ბ.-ს 2000 წლის 4 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპოვებული ჰქონდა საკუთრების უფლება ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე 1 500 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და აღნიშნული უძრავი ნივთი უკანონოდ დაარეგისტრირა სხვის სახელზე, რითაც დაირღვა მოსარჩელის საკუთრების უფლება. რაც შეეხებოდა მოთხოვნას სადავო მიწის ნაკვეთზე შემდგომ განხორციელებული რეგისტრაციების ბათილად ცნობის ნაწილში, რომლებიც ვ. ს.-ის შემთხვევის მსგავსად, განხორციელებული იყო სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე, არ დაკმაყოფილდა. უფლების დაცვის აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმების გავლის შემდგომ, საბოლოოდ, ჯ. ბ.-ის მიერ აღიძრა სარჩელი საჯარო რეესტრის წინააღმდეგ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილებულ იქნა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.04.2018წ. №ბს-755-751(კ-17) და 16.09.2021წ. №ბს-477(კ) განჩინებები).

მოცემულ შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 30 იანვრის განაჩენის (საქმე №1/2581-17) მიხედვით, აღნიშნული განაჩენით თაღლითობისთვის დამნაშავედ ცნობილ პირებს არაერთი მცდელობა ჰქონდათ ყალბი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე სხვის საკუთრებაში არსებული ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთების დასაუფლებლად, განაჩენში დასახელებულ რიგ შემთხვევებში სარეგისტრაციო სამსახურის მიერ უარი ეთქვათ რეგისტრაციების განხორციელებაზე, ხოლო ნაწილი ნაკვეთების შემთხვევაში, მათ შორის, ვ. ს.-ის მიწის ნაკვეთთან მიმართებით, წარუმატებელი მცდელობის შემდგომ, ყალბი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ქონება დარეგისტრირდა გ. ა.-ის საკუთრებაში, ხოლო შემდგომ სხვადასხვა დროს გასხვისდა სხვადასხვა პირზე. რაც სარეგისტრაციო სამსახურს უზრდიდა პასუხისმგებლობას მოთხოვნილი რეგისტრაციის განხორციელებისას.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამარ-

თლო არ იზიარებს კასატორის მითითებას ზიანის ანაზღაურების დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ სარეგისტრაციო სამსახურის მიერ არ იქნა დაცული „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის იმპერატიული დანაწესის მოთხოვნა, არ იქნა უზრუნველყოფილი მათთან დაცული დოკუმენტაციის საფუძველზე საჯარო რეესტრში 2007 წლიდან რეგისტრირებული მოსარჩელის საკუთრების უფლების უსაფრთხოება, რის გამოც შეუძლებელი გახდა მესაკუთრის მიერ საკუთრების უფლების ობიექტის თავისუფლად ფლობა/სარგებლობა და უფლების ობიექტი გასულია მოსარჩელის საკუთრებიდან სხვა პირზე, მისი ნების საწინააღმდეგოდ, ხოლო, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 30 იანვრის განაჩენითა (საქმე №1/2581-17) და დაზარალებულად ცნობის შესახებ 2017 წლის 27 აპრილის დადგენილებით ვ. ს-ი ცნობილია დაზარალებულად და დადასტურებულია მისთვის ზიანის მიყენება, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ზიანის ანაზღაურების წინაპირობები.

რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 30 იანვრის განაჩენის (საქმე №1/2581-17) თანახმად, ვ. ს-ის კუთვნილი 700 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთის ღირებულებად მითითებულია 72215 ლარი, რაც თავის მხრივ, ეყრდნობოდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2017 წლის 1 მარტს გაცემულ ექსპერტიზის დასკვნას, 2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით (უფლების დარღვევის მომენტისათვის) მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების შესახებ. საკასაციო სასამართლო ვერ განიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ვ. ს-მა მიწის ნაკვეთი შეიძინა 4000 ლარად. სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით, როგორც წესი, მხარეები არა მარტო თავისუფლად ირჩევენ კონტრაჰენტებს და განსაზღვრავენ ხელშეკრულების საგანს, არამედ თანხმდებიან მის არსებით პირობებზეც, მათ შორის, ნასყიდობის



ფასზე. პირი არ არის ვალდებული, რომ თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი გაასხვისოს ბაზარზე არსებულ ფასად, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ უძრავი ნივთის საბაზრო ფასისგან განსხვავებული ღირებულებით გასხვისებაზე. ამავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ვ. ს-ს სადავო მისი ნაკვეთი 4000 ლარად შექცნილი აქვს 2007 წლის მდგომარეობით, საკუთრების უფლება კი შეეზღუდა სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2015 წლის 15 დეკემბერს მიღებული №... გადაწყვეტილებით, როდესაც ვ. ს-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აღირიცხა გ. ა-ის საკუთრების უფლება. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც განსახილველ შემთხვევაში დასახელებული განაჩენით 2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ვ. ს-ისთვის ზიანის მიყენების პერიოდისთვის სადავო მიწის ნაკვეთი შეფასებულია 72215 ლარად, მართებულია სასამართლოს გადაწყვეტილება ვ. ს-ისთვის უფლების დარღვევის მომენტისათვის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების ანაზღაურების თაობაზე.

რაც შეეხება საქმეში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მესამე პირად ჩაბმის თაობაზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობას, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34<sup>1</sup>.2 მუხლზე, რომლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოში ამ კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირები შეიძლება ჩაებან მათივე თანხმობით, თუ ისინი სადავოდ არ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარადგენენ მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს. ამავე კოდექსის 16.2 მუხლის პირველი წინადადების თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლოში მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირი შეიძლება ჩაებას, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ წარმოადგენს მოცემული სამართალურთიერთობის მონაწილეს, უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს აღნიშნული შუამდგომლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სა-

სამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 მაისის განჩინება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს საკასაციო საჩივარზე 15.12.2020წ. №28526 საგადახდო მოთხოვნით, სახელმწიფო ბაჟის სახით, ნაცვლად 3610,75 ლარისა გადახდილი აქვს 3719,07 ლარი, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (ს/კ 202238621) უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე 15.12.2020წ. №28526 საგადახდო მოთხოვნით გადახდილი 3719,07 ლარიდან 108,32 ლარი, როგორც ზედმეტად გადახდილი, შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE 22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობა საქმეში მესამე პირად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
2. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 მაისის განჩინება;
4. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (ს/კ 202238621) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე 15.12.2020წ. №28526 საგადახდო მოთხოვნით გადახდილი 3719,07 ლარიდან 108,32 ლარი, როგორც ზედმეტად გადახდილი, შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE 22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**გამამართლებელი განაჩენიდან გამომდინარე  
მატერიალური ზიანის დაკისრების საფუძვლიანობა და  
დაკისრებული თანხის ოდენობის გონივრულობა**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-705(კ-21)

3 მაისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ბ. სტურუა**

**დავის საგანი:** მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

კ. ა-მა 2020 წლის 16 აპრილს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ და მოითხოვა საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის მის სასარგებლოდ სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემისა და აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის უკანონოდ გამოყენების გამო მიყენებული მატერიალური ზიანის 10000 ლარის და მორალური ზიანის 50000 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

მოსარჩელის განმარტებით, ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურის 2018 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებით, ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, კერძოდ, ოჯახის წევრის მიმართ ოჯახური ძალადობისათვის, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი. 2018 წლის 30 ოქტომბერს ის გამოძახებულ იქნა ისანი-სამგორის რაიონის განყოფილებაში დაკითხვაზე და ადგილზე იქნა დაკავებული. სასამართლო წარმოების პერიოდი (5 თვე) მან გაატარა საპატიმრო დაწესებულებაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მიერ 2019 წლის 26 მარტს გამოტანილი განაჩენით კ. ა-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქ/პუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, გაუქმდა მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება და განთავისუფლდა სხდომის დარბაზიდან.

აღნიშნული განაჩენი გასაჩივრდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პროკურორის მიერ ზემდგომ ინსტანციებში, თუმცა, საბოლოოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 29 იანვრის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი საკასაციო საჩივარი.

მოსარჩელის განმარტებით, დაპატიმრებამდე ის იყო თვითდასაქმებული პირი; ჰყავდა „...ის ტიპის“ ავტომანქანა და ეწეოდა ტურისტულ საქმიანობას, კერძოდ, ემსახურებოდა ტურისტებს საკუთარი ავტომანქანით, ასევე ასრულებდა გიდის მოვალეობას, საიდანაც მიღებული ყოველთვიური შემოსავალი შეადგენდა არანაკლებ 2000 ლარს და უზრუნველყოფილი ჰყავდა ოჯახი ყველა საჭირო საშუალებით. მისივე განმარტებით, უკანონო დაპატიმრების შემდეგ დაკარგა სამსახური, კერძოდ კავშირები მის მუდმივ ტურისტებთან, რომელთაც ემსახურებოდა ხოლმე, მისმა ყოფილმა მეუღლემ ნებართვის გარეშე გაასხვისა მის მიერ შეძენილი ავტომანქანა და საპატიმრო დანესებულებიდან გამოსული დარჩა ყოველგვარი შემოსავლის გარეშე, მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში.

გარდა ამისა, მოსარჩელე მიუთითებს, რომ დაპატიმრებით მიიღო მორალური ზიანი, რადგან საპატიმრო დანესებულებაში ყოფნა იყო შიშის მომგვრელი, რაც იწვევდა სტრესს, სულიერ ტანჯვას და დიდ ტკივილს, აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და ამავე კოდექსის 408-ე, 413-ე მუხლების საფუძველზე მოითხოვა მატერიალური ზიანის სახით 10 000 (ათი ათასი) ლარის, ხოლო მორალური ზიანის სახით 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის მოპასუხისთვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 09 მარტის გადაწყვეტილებით, კ. ა-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაევალა მოსარჩელე კ. ა-ის სასარგებლოდ, როგორც რეაბილიტირებული პირისათვის, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემისა და აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის უკანონოდ გამოყენების გამო მიყენებული მატერიალური ზიანის 5000 ლარის და მორალური ზიანის 5000 ლარის ოდენობით ანაზღაურება; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კ. ა-ი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის სამმართველოს მე-8 განყოფილების გამომძიებლის მიერ იქნა დაკავებული განყოფილების ადმინისტრაციულ შენობაში 2018 წლის 30 ოქტომბერს. 2018 წლის 31 ოქტომბერს მოსარჩელე კ. ა-ის წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის სავარაუდო ჩადენისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით, კ. ა-ის შეეფარდა აღკვეთი ღონისძიება – პატიმრობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 26 მარტის განაჩენით, მოსარჩელე კ. ა-ი გამართლდა წარედგენილ ბრალდებაში და ცნობილ იქნა უდანაშაულოდ. ამავე განაჩენით, კ. ა-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან. აღნიშნული განაჩენი უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ივნისის განაჩენით, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 29 იანვრის განჩინებით, დაუშვებლად იქნა ცნობილი თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორის საკასაციო საჩივარი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტზე და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტზე და აღნიშნა, რომ სახელმწიფო ორგანოს, მათ შორის, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით.

სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი და აღნიშნა, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, გულისხმობს ასეთი დევნის უკანონო-

ბას, მის მართლსაწინააღმდეგო ხასიათს სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული პირისათვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით, რადგან პირს, რომელსაც არ დაუდასტურდა ამა თუ იმ ქმედების ჩადენა, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს ფორმალურად კანონშესაბამისი ქმედებებით ობიექტურად უსაფუძვლოდ მიადგა კონკრეტული ზიანი.

ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის, წარდგენილი ბრალდების დაუდასტურებლობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა იმთავითვე გულისხმობს პირის სამართლებრივ რეაბილიტაციას და წარმოშობს მის უფლებას, მოითხოვოს შესაბამისი კომპენსაცია.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კ. ა-ის განმარტებით, უკანონო პატიმრობამდე იგი იყო თვითდასაქმებული, ეწეოდა ტურისტულ საქმიანობას და მის ყოველთვიურ შემოსავალს შეადგენდა 2000 ლარი. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლება განახორციელოს კანონით აუკრძალავი საქმიანობა და გამოიშუშოს თავისთვის და მისი ოჯახისათვის აუცილებელი საარსებო წყარო, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და მთელი რიგი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მატერიალური ზიანის ფორმალურად დაუდასტურებლობა იმ პირობებში, როდესაც პირს აღკვეთილი აქვს თავისუფლება, არ შეიძლება გამხდარიყო მისთვის გონივრული ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურების დამაბრკოლებელი გარემოება, თუ იგი რეაბილიტირებულია.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიუთითა „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც შეიცავს თითოეული ადამიანის უფლებას საარსებო სახსრები მოიპოვოს საკუთარი შრომით. ამავე პაქტის მე-7 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოები აღიარებენ, რომ თითოეულს ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობები, მათ შორის, სამართლიანი ხელფასი. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 23-ე მუხლის მიხედვით, ყოველ დასაქმებულს აქვს უფლება იღებდეს სამართლიან და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რაც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას როგორც მისთვის, ასევე მისი ოჯახისათვის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (სკ-ის 408.1 მუხ.), ამასთანავე, ზიანის ფულადი ანაზღაურება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები (სკ-ის 409-ე მუხ.). განსახილველ შემთხვევაში, მართალია მოსარჩელე მხარე, მის მიერ ტურისტული საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელ დოკუმენტად მხოლოდ ფოტო-სურათებს ურთავს (იხ. ფოტო-სურათები), თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლომ უდავოდ მიიჩნია ის ფაქტი, რომ კ. ა-ის, უკანონო პატიმრობაში არ ყოფნის შემთხვევაში აუცილებლად მოუწევდა საარსებო წყაროს მოძიება, შესაბამისად, სასამართლოს მოსაზრებით, კონკრეტული ყოველთვიური შემოსავლის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობა არ შეიძლება გამხდარიყო პირის მიერ მიუღებელი შემოსავლის სამართლიან ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი. შესაბამისად სასამართლომ, სსკ-ის 412-ე მუხლის გათვალისწინებით, გონივრულად მიიჩნია მატერიალური ზიანის სახით 5000 ლარის მოპასუხისთვის დაკისრება.

მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ბუნებრივად იწვევს მის სტრესს, შიშს, უარყოფით ემოციებს, ლახავს მის პირად და საქმიან რეპუტაციას და ა.შ., თუმცა მორალური ზიანის და მისი ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ზემოთ აღნიშნული ფაქტორების ხარისხის, მასშტაბის განსაზღვრა, ასევე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში გამოყენებული ღონისძიებების (დაკავება, აღკვეთის ღონისძიებები და ა.შ.) მოცულობის მხედველობაში მიღება. მორალური ზიანის ანაზღაურება ვერ უზრუნველყოფს პირისათვის მიყენებული ფსიქო-ემოციური ზიანის სრულად აღმოფხვრას და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, მაგრამ მის მიზანს შესაბამისი პირის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება და განცდილი სტრესით, შიშით, უარყოფითი ემოციებით მიღებული მდგომარეობის შემსუბუქება წარმოადგენს და ზიანის ოდენობას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით განსაზღვრავს სასამართლო. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა სახელმწიფოს ერთ-ერთ სპეციფიკურ ფუნ-

ქციას წარმოადგენს და მისი შედეგის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, რადგან იგი დამოკიდებულია წინასწარ უცნობ ფაქტობრივ თუ სამართლებრივ გარემოებებზე. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველზე წარმოშობილი უარყოფითი ემოციების, განცდების თუ სხვა სამართლებრივი შედეგების გარკვეულ წილად თმენის ვალდებულება აქვს ყველას, რაც არ გამოირიცხავს შემდგომ, უკანონო გამართლებული პირისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, თუმცა გავლენას ახდენს მორალური ზიანის ოდენობაზე.

სასამართლომ გაითვალისწინა მოსარჩელის მიმართ განხორციელებული იძულების ფორმების სიმძიმე, კერძოდ, კ. ა-ის 2018 წლის 30 ოქტომბერს დაკავება, მისთვის 2018 წლის 31 ოქტომბერს ბრალის წარდგენა და 2018 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით კ. ა-ისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით – პატიმრობის შეფარდება, ასევე ის ფაქტი, რომ 2019 წლის 26 მარტის განაჩენით კ. ა-ი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და მითითებული გარემოებების ერთობლივად შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ მის მიერ განცდილი სტრესის, შიმის და უარყოფითი ემოციების ხარისხის გათვალისწინებით, მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის მოთხოვნილი 50 000 ლარი არ წარმოადგენდა ადეკვატურ ოდენობას, რის გამოც სარჩელი ამ ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელის სასარგებლოდ დაევალა მორალური ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა როგორც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, ასევე კ. ა-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 31 მაისის განჩინებით, კ. ა-ისა და საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 09 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მიუთითა მათზე და სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითებით აღნიშნა, რომ კ. ა-ის მარეაბილიტირებელი გარემოება დადგენილი იყო კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 26 მარტის გამამართლებელი განაჩენით, ამდენად, მას უნდა მისცემოდა შესაბამისი კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან მის უფლებებში გამართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისათვის. მატერიალურ



ზიანთან დაკავშირებით, პალატა დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მსჯელობას მიუღებელი შემოსავლის სახით 5000 ლარის ოდენობით ანაზღაურებასთან დაკავშირებით როგორც მხარისთვის მიყენებული ის მატერიალური ზიანი, რომლის არსებობა სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია საქმეში არსებული ფოტოსურათებით და განმარტა, რომ, მართალია, პირის დასაქმება მრავალ ფაქტორზე იყო დამოკიდებული, თუმცა შრომითი საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებიდან გამომდინარე, თვითდასაქმების შესაძლებლობა, რათა ადამიანმა გამოიმუშაოს თავისთვის და მისი ოჯახისათვის აუცილებელი საარსებო წყარო, კანონმდებლობით შეზღუდული არ იყო. პალატის მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, ფოტოსურათების სახით, უდავოდ ადასტურებდა ნელინადის სხვადასხვა პერიოდში, მიუხედავად სეზონისა, მოსარჩელის დასაქმების ფაქტს ტურისტული მომსახურების სფეროში, რაც, თავის მხრივ, იყო სასყიდლიანი, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ თვითდასაქმებიდან გამომდინარე მიუღებელი ხელფასი, მოცემულ შემთხვევაში, განხილული უნდა ყოფილიყო როგორც მატერიალური ზიანი, ვინაიდან რომ არა მისი პატიმრობაში ყოფნის ფაქტი, მას აღნიშნული დანაკარგი არ წარმოეშობოდა.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე, მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.11.2017წ. ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-509-506(2კ-17) ჩამოყალიბებულ განმარტებაზე და აღნიშნა, რომ „მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულების სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლება, მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მორალური ზიანის არსებობა და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმები“. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კ. ა-ის დაკავება, მის მიერ საპატიმროში გატარებული პერიოდი, გამამართლებელი განაჩენი ერთობლიობაში ქმნიდა მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს. ამასთან სააპელაციო სასამართლომ

გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება მორალური ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 31 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება სააპელაციო საჩივრის უარყოფის ნაწილში კ. ა-ის არ გაუსაჩივრებია.

კასატორი – საქართველოს გენერალური პროკურატურა საკასაციო საჩივარში მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 992-ე და 1005-ე მუხლებზე და აღნიშნავს, რომ არ არსებობს პროკურატურისათვის მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი, რადგან არ დასტურდება პროკურატურის მხრიდან მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენა, რომელმაც გამოიწვია ზიანი.

კასატორის მითითებით, ზიანის ანაზღაურებისათვის სახეზე უნდა იყოს მოხვედრის უკანონო ქმედება, რომელიც პირისთვის ზიანის მიყენების საფუძველი გახდა. მოცემულ შემთხვევაში კი, საქართველოს გენერალური პროკურატურის მხრიდან ამგვარ ქმედებებს ადგილი არ ჰქონია. კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ეფუძნებოდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე, 33-ე, 166-ე, 187-ე მუხლებს და ამავე კოდექსის მე-3, ასევე მე-19 მუხლებს და კანონის საფუძველზე მიღებულ საპროცესო დოკუმენტებს. საჩივრის მიხედვით, 2018 წლის 30 ოქტომბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-... განყოფილების ადმინისტრაციულ შენობაში, ოჯახში ძალადობის ბრალდებით დაკავებულ იქნა კ. ა-ი, შესაბამისად, მის მიმართ დაკავებიდან გამომდინარე, საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, რაც არ უკავშირდება საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებულ კონკრეტულ ქმედებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით, კ. ა-ის აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა და ვადის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2018 წლის 30 ოქტომბრის 13:55 საათიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 26 მარტის განაჩენით, კ. ა-ი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, რაც უცვლელად იქნა დატოვებული ზემდგომი სასამართლო ინსტანციების მიერ.

კასატორის განმარტებით, მორალური ზიანის ანაზღაურების თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურია, დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა პირობაზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სარჩელში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვს მორალური ზიანის საკომპენსაციოდ, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა მთლიანად სასამართლოს გონივრული განსჯისათვის არის მინდობილი. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ კომპენსაციის ოდენობა ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ მდგომარეობას, შესაბამისად, ოდენობა უნდა გამომდინარეობდეს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებიდან, აუცილებელია შეფასდეს როგორც კონკრეტული პიროვნება და მისი სუბიექტური დამოკიდებულება ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე ობიექტური გარემოებები. სწორედ აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში არსებული ჩანაწერის შეფასება – „მორალური ზიანი უნდა ანაზღაურდეს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“, მიანდო სასამართლოს. კასატორის მოსაზრებით, კ. ა-ის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გატარებული დროის გათვალისწინებით, მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მიკუთვნებული 5000 ლარი არაგონივრულად მაღალ ოდენობას წარმოადგენდა და არ შესაბამებოდა მსგავს საკითხებზე ეროვნული და ევროპული სასამართლოების მიერ დადგენილ პრაქტიკას.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ არასწორად დაეკისრა კ. ა-ის სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, ვინაიდან სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ „მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, განაცდურ მოგებას, რომელიც შესაძლოა მიღებულიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში და რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის კომერციულ ინტერესში შედის. იმისთვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების ისეთი ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებულ

ექვის საფუძველს. აღსანიშნავია, რომ მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილება, ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აკისრია. ამასთან, ზიანი ობიექტური მოცემულობით უნდა შეფასდეს და არა სუბიექტური დამოკიდებულებით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს უნდა წარმოედგინა მისთვის მიყენებული ზიანისა და მისი მოცულობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი მხოლოდ იმ შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს მხარეს, რომელიც ობიექტური მოცულობითაა ნაკარნახევი და არა პირის სუბიექტური შეფასებით (სუსგ №ას-406-383-2014, 17.04.2015წ.). მოსარჩელეს იმგვარი მტკიცებულებები უნდა წარმოედგინა, რომლებიც შექმნიდა შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით ობიექტურ, რეალურ სურათს და არა ვარაუდს, ალბათობას შემოსავლის მიღების თაობაზე (სუსგ საქმეზე №ბს-740-736(კ-17))

კასატორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლო მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას დაეყრდნო მხოლოდ მოსარჩელის წარმომადგენლის ურთიერთგამომრიცხავ ზეპირსიტყვიერ განმარტებას, რომ კ. ა-ი იყო თვითდასაქმებული და ეწეოდა ტურისტულ საქმიანობას, საიდანაც მას ჰქონდა ყოველთვიური შემოსავალი. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და უდავოდ მიიჩნია, რომ „კ. ა-ის, უკანონო პატიმრობაში არყოფნის შემთხვევაში აუცილებლად მოუწევდა საარსებო წყაროს მოძიება“ და ფოტოსურათებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ჰქონდა შემოსავალი, ეწეოდა ტურისტულ საქმიანობას, რაც კასატორის მოსაზრებით ყოველგვარ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველებს მოკლებულია, რადგან, საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ მოსარჩელე სისხლის სამართლის საქმეზე დევნის მიმდინარეობამდე მუშაობდა და იღებდა გარკვეული სახის შემოსავალს და აღნიშნული გარემოების გამო მან ვერ მიიღო შემოსავალი. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ მიუღებელი შემოსავლის საკითხი სასამართლომ დააფუძნა მოსაზრებებს და აბსტრაქტულ გარემოებებს, იმ პირობებში, როდესაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 105-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, სასამართლოს მიერ არ მომხდარა მტკიცებულებათა შეფასება მათი სარწმუნოებისა თუ არასარწმუნოების მიხედვით, ასევე არ განხილულა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელ ფაქტს ადასტურებდა ესა თუ ის მტკიცებულება. სასამართლოს მიერ არ ყოფი-

ლა მტკიცებულებები შეფასებული როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლიობაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის უარყოფას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 სექტემბრის განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ კერძოდ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 31 მაისის განჩინება მოპასუხეზე მატერიალური ზიანის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება მოპასუხეზე მატერიალური ზიანის დაკისრების ნაწილში დაუსაბუთებელია, არ ეფუძნება ფაქტობრივი გარემოებების სრულ და ყოველმხრივ გამოკვლევას, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მიმართ სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის გამოტანიდან გამომდინარე, საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლიანობა და დაკისრებული თანხის ოდენობის გონივრულობა. ამასთანავე, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 31 მაისის განჩინება არ არის გასაჩივრებული კ.ა.ის მიერ, სასამართლო ვერ იმსჯელებს სადავო განჩინების კანონიერებაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, ყველასთვის გა-

რანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

მითითებული კონსტიტუციური დებულებების შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მიხედვით პირს უფლება აქვს მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმების, პრინციპებისა და საფუძვლების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ამავე კოდექსით არის დადგენილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.

მნიშვნელოვანია, რომ პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგი პირობები: 1. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეული უნდა იყოს უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/630 „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). აღსანიშნავია, რომ ნორმაში მოცემული პირობები კუმულაციური სახით არის წარმოდგენილი და აღნიშნულ ელემენტთაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია. რაც შეეხება მართლსაწინააღმდეგო ქმედების განმარტაციულზელი პირის ბრალეულობას, საქართველოს

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მიყენებული ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ვინაიდან არ დაიშვება ნორმის იმგვარად განმარტება, რომ პირს არ მიეცეს უფლების აღდგენის ეფექტური, ქმედითი შესაძლებლობა (აღამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-13 მუხლი), საწინააღმდეგო ინტერპრეტაცია არ თავსდება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ აღამიანის და მისი უფლებების, როგორც უმაღლესი ფასეულობის პრიორიტეტულობასა და პატივისცემასთან. პალატა აღნიშნავს, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია, იგი არ არის დამოკიდებული ზიანის მიმყენებლის ცნობიერებასა და მის სამართლებრივ შეფასებაზე. ასეთი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია დადგინდეს ქმედების უკანონობა და სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. ამდენად, პირს, რომლის მიმართაც გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან მის უფლებებში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისთვის. ზემოაღნიშნული ნორმის მიზანია დაზარალებულის დაცვა და გამართლებული პირისათვის სახელმწიფო ორგანოების მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანით გამოწვეული ნეგატიური შედეგების კომპენსირება.

როგორც უკვე აღინიშნა, პირის რეაბილიტაციის უმთავრესი იურიდიული საფუძველი გამამართლებელი განაჩენია. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 270-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამამართლებელი განაჩენი ნიშნავს ბრალდებულისთვის წაყენებული ბრალის დაუდასტურებლობას. ამავე კოდექსის 276-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება გამართლებულის უფლება, აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიმართ დამდგარია გამამართლებელი განაჩენი, შესაბამისად, სახეზეა მარეაბილიტირებელი გარემოება.

პალატა მიუთითებს „აღამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის 1984 წლის 22 ნოემბრის №7 ოქმის (რეტიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 23.02.2000წ. №155-III დადგენილებით) მე-3 მუხლზე, რომლის თანახმად, „თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა, ან სასჯელის მოხდისაგან ის გათავისუფლდა, რადგან ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხად-

ყო, რომ მართლმსაჯულება არაჯეროვნად განხორციელდა, ამგვარი მსჯავრდების გამო შეფარდებული სასჯელისათვის მას მიეკუთვნება კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის ან დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით“.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაკავშირებულია არაქონებრივი უფლებების დარღვევასთან, ხოლო ქონებრივი უფლებების უკანონო შეზღუდვა იწვევს მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (Case of Poghosyan and Baghdasaryan v. Armenia, 12.09.2012წ., განაცხადი №22999/06) განმარტა, რომ ზემოაღნიშნული №7 ოქმის მე-3 მუხლის მიზანი არ არის მხოლოდ იმ ფინანსური ზიანის ანაზღაურება, რომელიც პირს მიადგა არასწორი მსჯავრდებით, არამედ უსწორო მართლმსაჯულების პირობებში მსჯავრდებული პირისთვის ისეთი მორალური ზიანის ანაზღაურება, როგორცაა მწუხარება, ნერვული აშლილობა, უხერხულობა და სიცოცხლით ტკობის დაკარგვა. ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო შედეგის არსებობა (დადასტურებული უკანონო მსჯავრდება/ბრალდება, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ შეფარდება) განაპირობებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას, რადგან პირს, რომლის მიმართაც გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, უნდა მიეცეს გონივრული ფულადი საზღაური სახელმწიფოს მხრიდან მის უფლებებში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისთვის. ზემოაღნიშნული ნორმის მიზანია დაზარალებულის დაცვა და გამართლებული პირისათვის სახელმწიფო ორგანოების მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანით გამონეული ნეგატიური შედეგების კომპენსირება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 26 მარტის განაჩენი უდავოდ წარმოადგენს მოსარჩელის რეაბილიტაციის საფუძველს, ვინაიდან უტყუარად დგინდება მოსარჩელის მიმართ ნაყენებული ბრალის დაუდასტურებლობა, რა გარემოებაც მოსარჩელეს ანიჭებს მორალური ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლებას.

მორალური ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებთან მიმართებაში სასამართლოს



მიერ არამატერიალური ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს უფლებების სრულყოფილი რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. ძალიან ხშირად დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, რის გამოც კომპენსაციის ოდენობა უსაზღვროდ არ უნდა იყოს გაზრდილი და რეალობასთან შეუსაბამო. იგი უნდა განისაზღვროს გონივრულად და სამართლიანად.

მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია: დამდგარი ზიანის სიძიძი, შელახული უფლების მნიშვნელობა, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, საპატიმრო დაწესებულებაში პირის ყოფნის დრო და სხვა. აღსანიშნავია, რომ პირის უკანონო ბრალდება/პატიმრობა ნეგატიურ გავლენას ახდენს პირის რეპუტაციაზე, წარმოქმნის უარყოფით გავლენას და მათი თმენის ვალდებულება შესაძლებელია დაეკისროს მხოლოდ იმ პირს, რომლის მიმართაც კანონიერად იქნა გამოყენებული ამ სახის იძულებითი საპროცესო ღონისძიება.

საკასაციო პალატა მორალური ზიანის მოპასუხეზე დაკისრების ნაწილში მართებულად მიიჩნევს სააპელაციო პალატის შეფასებას იმის შესახებ, რომ კ. ა-ის პატიმრობაში გატარებული დროისა და იმ განცდების გათვალისწინებით, რაც თან ახლავს უკანონო მსჯავრდებას, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხისათვის 5000 ლარის დაკისრება მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნების პროპორციულია და ექცევა გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებში, შესაბამისად, ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

რაც შეეხება მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხს, საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს (შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს) გასაჩივრებულ განჩინებაში განვითარებულ მსჯელობას მტკიცებულებათა არარსებობის მიუხედავად ზიანის ანაზღაურების აბსტრაქტულ საფუძვლებზე აპელირებით და მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესზე, რომლის თანახმად, ზიანის მიმყენებელი ვალდებულია აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამ-

დგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

აღნიშნული ნორმა შესაძლებელს ხდის დაზარალებული პირის უფლებების აღდგენას პირვანდელ მდგომარეობაში (*restitutio in integrum*). ქონებრივი ზიანის შემთხვევაში მისი დადგენისა და გამოთვლისას გამოიყენება ე.წ. დიფერენციის ჰიპოთეზა, ანუ სხვაობა „უნდა ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის. დიფერენციის ჰიპოთეზის თანახმად, ზიანი არის ნეგატიური სხვაობა არსებულ ქონებრივ მდგომარეობასა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც ზიანის გამომწვევი მოვლენის გარეშე იარსებებდა. ზიანის გამოთვლისას გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ქონების რეალურად შემცირებული ღირებულება, არამედ – მიუღებელი შემოსავალიც (*lucrum cessans*), რაც გათვალისწინებულია იმავე კოდექსის 411-ე მუხლით. (გ. ბათლიძე, ავტორთა კოლექტივი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი III, გვ. 689, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2019 წ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული მუხლის თანახმად, უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი, არამედ მიუღებელი შემოსავალიც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მატერიალურ ზიანად აკვალისფიცირებს ფაქტობრივად მიყენებულ (რეალურ) ზიანს და მიუღებელ შემოსავალს. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს ეკონომიკურ დანაკარგს, რომელიც მხარემ განიცადა და რომელიც არ დადგებოდა, რომ არა ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა სკ-ის 411-ე მუხლის შინაარსში ნაგულისხმევი ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულების არსი და აღნიშნა, რომ დასახელებული ნორმა მხოლოდ იმ შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც ობიექტური მოცემულობითაა ნაკარნახევი და არა კრედიტორის სუბიექტური შეფასებით. მიუღებელი შემოსავალი ეს არის ანაცდენი სარგებელი (მოგება), რომელიც არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე და რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად (სუსგ №ას-218-210-2013, 10.03.2014წ.; სუსგ №ას-406-383-2014, 17.04. 2015წ.). „საგულისხმოა უშუალოდ ტერმინი „მიუღებელი შემოსავალი“, სახელდობრ შინაარსი, რომელიც მის მიღმა დგას. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განწილების წესიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მისი მოცულობა (იხ. სუსგ. №ას-153-2019, 08.05.2019 წ.).

„მიუღებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრისას სასამარ-

თლომ უნდა იხელმძღვანელოს ობიექტური, დადასტურებადი გარემოებებით, რათა არ მოხდეს დაზარალებულის უსაფუძვლოდ გამდიდრება (სუსგ №ბს-19-18(კ-17), 29.06.2017წ). ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი მხოლოდ იმ შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს მხარეს, რომელიც ობიექტური მოცემულობითაა ნაკარნახევი და არა პირის სუბიექტური შეფასებით“ (სუსგ №ას-406-383-2014, 17.04.2015წ.).

„მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება ჯერონად რომ შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით, ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება“ (სუსგ-ები №ას-945-895-2015, 14.03.2016 წ., №ას-307-291-2011, 24.10.2011 წ., №ას-899-845-2012, 22.11.2012 წ.).

ზიანის ოდენობის განსაზღვრა იმ განცდილი ზიანის კომპენსირებაში მდგომარეობს, რომელიც მოსარჩელეს მიადგა მოპასუხის ქმედებით. განცდილი ზიანის ოდენობა კი, განეკუთვნება არა სამართლის, არამედ ფაქტის საკითხს; ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება და რელევანტური მტკიცებულებების წარდგენა კი, მოსარჩელის საპროცესო ვალდებულებაა.

ზემოაღნიშნული მსჯელობებიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ მიუღებელი შემოსავლის თაობაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული სასარჩელო მოთხოვნის არსებობისას მტკიცების ტვირთი მოსარჩელის მხარეზეა. სწორედ მოსარჩელეს ევალება შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ობიექტური, რეალური სურათის ამსახველი და არა ვარაუდზე ან აღბათობაზე დაფუძნებული შემოსავლის მიღების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა მტკიცების სტანდარტი განაპირობებს იმას, რომ სათანადო მტკიცებულებებისა და გარემოებების კომპლექსურად შეფასებით მიუღებელი შემოსავ-

ლის აბსტრაქტულად არსებული შინაარსის მოთხოვნა იქცევს რეალურად არსებულ ზიანად. იმისათვის, რომ შემოსავალი რეალურად მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან. ზიანის ანაზღაურების (როგორც ფაქტობრივად დამდგარი დანაკლისის, ასევე მიუღებელი შემოსავლის) მოვალეობის დაკისრების უმთავრესი წინაპირობა მიზეზობრივი კავშირია მოვალის ქმედებასა და ქმედების შედეგად დამდგარ ზიანს შორის, რაც დგინდება ე.წ. ეკვივალენტურობის თეორიის საფუძველზე, რომლის თანახმად, ნებისმიერი პირობა მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან და შედეგისთვის თანაბარმნიშვნელოვანს წარმოადგენს („ეკვივალენტურს“), თუკი დადგინდება, რომ ამ პირობის გარეშე შედეგი თავისი კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა (*condicio sine qua non*). მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვი შეიძლება აერთიანებდეს ერთ ან რამდენიმე, შემთხვევით ან მოსალოდნელ, პირდაპირ ან არაპირდაპირ მიზეზს. პალატა აღნიშნავს, რომ მიზეზშედეგობრივი კავშირისას უმნიშვნელოვანესია მიზეზებისა და დამდგარი შედეგის ფაქტობრივი ურთიერთკავშირის დადგენა. ამ მიზნით, დაზარალებული პირი ვალდებულია დაამტკიცოს როგორც ზიანის არსებობა, აგრეთვე მიზეზობრივი კავშირი მოვალის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მიზეზობრივი კავშირი, ხოლო მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ქმედების მართლზომიერება და ბრალის გამომრიცხავი გარემოებები. ზიანის მიყენების ფაქტის დასადასტურებლად იმ პირმა ვისაც ზიანი მიადგა, უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რათა დაამტკიცოს, შესაძლებლობის ფარგლებში, ზიანის არა მარტო არსებობა, არამედ მისი რაოდენობა და ლირებულება. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია რეალური ზიანის ზუსტი გამოანგარიშება, სასამართლო გამოანგარიშებას განახორციელებს მის ხელთ არსებული ფაქტების საფუძველზე.

ამრიგად, პალატა მიუთითებს, რომ მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილებას არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის მართებულად გადაწყვეტისთვის, რაც განპირობებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული დანაწესით, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები.

ამრიგად, მხარე ვალდებულია უზრუნველყოს მისი მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით სასარჩელო მოთხოვნას აფუძნებდა იმ გარემოებაზე, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე იყო თვითდასაქმებული, ეწეოდა ტურისტულ საქმიანობას და თავისივე კუთვნილი ავტომანქანით ემსახურებოდა ტურისტებს, შესაბამისად, ყოველთვიურად იღებდა შემოსავალს 2000 ლარის ოდენობით. დაპატიმრების შემდეგ მეუღლემ მისი ნებართვის გარეშე გაასხვისა მანქანა, რის გამოც, საპატიმროდან გამოსულმა დაკარგა როგორც კონტაქტი მუდმივ დამკვეთებთან, ასევე – შემოსავლის წყარო. მითითებული გარემოებების დასადასტურებლად კ. ა-იმა სასამართლოს წარუდგინა ფოტოსურათები და ახსნა-განმარტება.

სააპელაციო პალატამ წარმოდგენილ ფოტოსურათებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ დადასტურებული იყო მოსარჩელის მიერ ტურისტული საქმიანობა, სისხლისსამართლებრივი დევნის გამო აღნიშნული საქმიანობიდან შემოსავლის დაკარგვა და შედეგად მატერიალური ზიანის მიყენება, რა დასკვნაც საკასაციო პალატის მოსაზრებით, საკმარისად დასაბუთებული არ არის.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 657-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ტურიზმის ხელშეკრულებით მოგზაურობის მომწყოები (ტურისტული საწარმო) მოვალეა გაუწიოს ტურისტს (მოგზაურს) შეთანხმებული მომსახურება. ტურისტი მოვალეა მოგზაურობის მომწყობს გადაუხადოს შეპირებული ანაზღაურება განეული მომსახურებისათვის.

„ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-20 პუნქტის მიხედვით, ტუროპერატორი არის იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მენარმე, რომელიც ახორციელებს ტურისტული პროდუქტის ფორმირებასა და რეალიზაციას.

მოცემულ საქმეზე მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ემსახურებოდა ტურისტებს და იღებდა შესაბამის ანაზღაურებას, თუმცა აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად საქმეში არ არის წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულებები საგადასახადო ორგანოს მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულების (გადასახადის გადახდელად აღრიცხვა, მიღებული შემოსავლის დაბეგვრა) და მომსახურების საფასურის მიღების თაობაზე. რაც შეეხება ფოტოსურათებს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხოლოდ ფოტოსურათები ვერ მიიჩნევა სარჩელის ფაქტობრივი დასაბუთების საკმარის მტკიცებულებად, იმის გათვალისწინებით, რომ ფოტოსურათები არ შეიცავს სისხლისამართლებრივი დევნის დანყებადმდე არსებულ მოსარჩელის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ მონაცემებს.

პალატის მოსაზრებით გაურკვეველია, რომელ მტკიცებულებაზე დაყრდნობით დაადგინა სააპელაციო პალატამ, რომ მარეაბილიტირებული გარემოების არარსებობის შემთხვევაში, კ. ა-ი მიიღებდა შემოსავალს, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კ. ა-ი არ იხდიდა საშემოსავლო გადასახადს, რაც ეკონომიკური საქმიანობიდან გამომდინარე (ტურისტული მომსახურების მიზნით მომსახურების განევა, მისი სასყიდლიანობის გათვალისწინებით), უპირობო ვალდებულებას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ. საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კ. ა-ის უკანონო პატიმრობაში არყოფნის შემთხვევაში აუცილებლად მოუწევდა საარსებო წყაროს მოძიება, რამდენადაც აღნიშნული პოზიცია ემყარება აბსტრაქტულ შესაძლებლობებს.

პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე უთითებდა კანონით მკაცრად მონესრიგებული საქმიანობიდან გამომდინარე შემოსავლის მიღებაზე, უფრო მეტი გულისხმიერებით გააჩნდა ამ საქმიანობის დადასტურების ვალდებულება. საკასაციო პალატისთვის გაუგებარია არა მარტო მოსარჩელის მიერ მიუთითებული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების დასაბუთებლად წარდგენილი მტკიცებულებების რელევანტურობა, არამედ – სასამართლოს მიერ მოპასუხეზე დაკისრებული თანხის დაანგარიშების მეთოდიკა, ასევე გაურკვეველია, ითვალისწინებს თუ არა აღნიშნული თანხა სავალდებულო საგადასახადო გადასახ-

დელებს თუ წარმოდგენს ე.წ. წმინდა მოგებას დანახარჯების გარეშე. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მატერიალური ზიანის მოთხოვნის ნაწილში სრულყოფილად არ გამოიკვლიეს და დაადგინეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ამ საკითხის მართებულად გადანყვეტიისთვის კი მხოლოდ მოსარჩელის ახსნა – განმარტება და ფოტოსურათები არ იძლევა სათანადო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადანყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ, სასამართლოს ვალდებულებას, გადანყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადანყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადანყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine §§55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, §30; Van de Hurk v. the Netherlands, §59; Perez v. France, §80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ, ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. Milatova and others v. The Czech republic §59; Niderost-huber v. Switzerland, § 24; K.S. v. finland §21;).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონებს გადანყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქ-

ტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამდენად, სააპელაციო პალატა არა მარტო უფლებამოსილია შეამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მიმართებით დარღვევების არსებობა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების შესახებ მსჯელობა, არამედ თავად გამოიკვლიოს და შეაფასოს მტკიცებულებები, რომელიც აუცილებელია საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისთვის. სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა გამოიხატება არა ფაქტების დადგენაში, არამედ დასადგენ ფაქტებზე მითითებაში. პროცესუალური დანაწესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აფასებს არა მტკიცებულებებს, არამედ ამ მტკიცებულებათა სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასების მართებულობას (სუსგ საქმეზე №ბს-985(კ-20), 2021 წლის 24.11.2021 წ.).

მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლო შემოიფარგლა კ. ა-ის სარჩელთან დაკავშირებით მის მიერ წარდგენილი არასაკმარისი მასალების შეფასებით, ისე რომ დამატებითი მტკიცებულების წარდგენა სასამართლოს არც მოსარჩელისთვის დაუფალდება და არც ადმინისტრაციული ორგანოდან გამოითხოვია. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, დავის გადაჭრისათვის საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, მათი სამართლებრივი ანალიზისა და მიღებული დასკვნების საფუძველზე დავის გადანაცვება, სსკ-ის 377-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანაცვტილების სააპელაციო საჩივრების ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სრულყოფილი შემოწმება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოკლებულია სათანადო ფაქტობრივ და პროცესუალურ წინამძღვრებს, სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე<sup>1</sup>“ ქვეუნიქტის აბსოლუტური საფუძველი – გადანაცვტილება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც, თავის მხრივ, არის სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-



მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 31 მაისის განჩინება მოსარჩელე კ. ა-ის სასარგებლოდ, საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მატერიალური ზიანის 5000 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 31 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელი;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **მატერიალური ზიანის ვალდებულების წარმოშობის წინაპირობები**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-1055(კ-21)

24 მაისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. სტურუა,  
გ. მაკარიძე**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2020 წლის 07 დეკემბერს მ. ი-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ, უძრავ ნივთზე სა-

კუთრების უფლების აღიარებაზე უკანონოდ უარის თქმის საფუძვლით მიყენებული ზიანის – 35 260 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის დაკისრების მოთხოვნით.

სარჩელის მიხედვით ირკვეოდა, რომ 2016 წლის 23 მაისს მ. ი-ემ განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას ქ. თბილისში, ...ის მე-2 მ/რ., მე-5 კვ., მე-5 კორპუსის მიმდებარედ არსებულ 612 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით. საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2016 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით, მ. ი-ის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ უფლებაასაღიარებელ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის სიმცირიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, იგი წარმოადგენდა დროებით ნაგებობას, რის გამოც აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მ. ი-ის საკუთრების უფლების აღიარება ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას. ზემოხსენებული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით მ. ი-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №3/6919-16) მ. ი-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მ. ი-ის მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 06 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3ბ/1084-17) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2016 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება მ. ი-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 06 სექტემბრის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არ-

სებულმა თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. ზემოხსენებული წარმოების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჩატარდა ადგილზე დანთავალიერება, განცხადების ზეპირი მოსმენა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2018 წლის 22 მარტის №410 განკარგულებით, მ. ი-ეს კვლავ უარი ეთქვა ქ. თბილისში, ...ის ფერდობზე, მე-2 მ/რ-ში, მე-5 კვ., №5 კორპუსის მიმდებარე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე. მითითებული განკარგულებით, მ. ი-ის მოთხოვნის უარყოფის საფუძვლად მიეთითა ის გარემოება, რომ მ. ი-ის მიერ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი მოქცეული იყო თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში და კვეთდა ამხანაგობა „...ის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთს. აღნიშნული განკარგულების ბათილად ცნობისა და 526 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით მ. ი-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებით, მ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2018 წლის 15 თებერვლის №645 სხდომაზე 41-ე საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება, ასევე კომისიის 2018 წლის 22 მარტის №410 განკარგულება და მოპასუხეს დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. ი-ის საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე ქ. თბილისში, ...ის მე-2 მ/რ., მე-5 კვ., მე-5 კორპუსის მიმდებარე, შპს „...“ის მიერ 2015 წლის 16 თებერვალს მომზადებული აზომვითი ნახაზით მითითებული მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე, რომელიც არ კვეთდა ამხანაგობა „...ის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთს. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულმა თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ 2019 წლის 22 ოქტომბერს მიიღო განკარგულება ქ. თბილისში, ...ის მე-2 მ/რ., მე-5 კვ., მე-5 კორპუსის მიმდებარედ, 526 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მ. ი-ის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ.

მ. ი-ის მითითებით, შპს „ა...ის“ დამოუკიდებელი შემფასებლის 2020 წლის 06 ნოემბრის №06/11-20/2 დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ...ის მე-2 მ/რ., მე-5 კვ., მე-5 კორპუსის მიმდებარედ, 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება შეადგენდა 410 აშშ დო-

ლარს. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 21 სექტემბრის №37.14.807 განკარგულებისა და 2016 წლის 25 ნოემბრის №382-ე განკარგულების გამოცემით მესამე პირს, ამხანაგობა „...“-ს, გადაეცა ის უძრავი ქონება, რომელიც მოიცავდა მ. ი-ის მიერ საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში წარდგენილი განცხადებით მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის ნაწილს (86 კვ.მ.). მერიამ აღნიშნული ქმედება განახორციელა იმ პირობებში, როდესაც მ. ი-ე სასამართლოში დავობდა 612 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და სწორედ აღნიშნულ ფართზე ითხოვდა საკუთრების უფლების აღიარებას. მოსარჩელის მითითებით, თბილისის მერიის მიერ 2015-2017 წლებში დასახელებული აქტები არ უნდა გამოცემულიყო, ვინაიდან არსებობდა კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, რომლითაც აღიარების კომისიას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ამდენად, მოსარჩელის მოსაზრებით, იცოდა რა მოპასუხე მხარემ, რომ მიმდინარეობდა სამართალწარმოება და არსებობდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, სახელმწიფოს არ უნდა მიეთვისებინა მოსარჩელის მიერ უფლებასაღიარებელი მიწის ნაკვეთის ნაწილი. სარჩელის ავტორმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მოიქცა უკანონოდ, რადგან არ ჰქონდა აღნიშნული ქმედების განხორციელების უფლებამოსილება, რაც დადასტურებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 მაისის განჩინებაში, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება და რაც უნდა დაქვემდებარებოდა კანონმდებლობით დადგენილი წესით ანაზღაურებას, ვინაიდან მ. ი-ე ჯერ პირველი ინსტანციის სასამართლოს და შემდგომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საბოლოოდ გადაწყვეტილებით მიიღებდა მიწის ნაკვეთის თავდაპირველად მოთხოვნილ ოდენობას, ანუ 612 კვ.მ.-ს. მას შემდეგ, რაც მ. ი-ეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით საბოლოოდ მიეკუთვნა უძრავი ქონება და ამავდროულად, საკასაციო სასამართლომ თავის განჩინებაში სპეციალურად დაუთმო მსჯელობა და ცალკე გამოყო გარემოება, რომლის თანახმად მ. ი-ისათვის არ უნდა მომხდარიყო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მოქმედების ფარგლებში 86 კვ.მ-ის ფართობის მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა, სწორედ აღნიშნულის შემდეგ გადაწყვიტა მოსარჩელემ, რომ დაეცვა თავისი დარღვეული უფლებები, რადგან საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 მაისის განჩინებით იგი უფლებამოსილი გახდა ედავა მიყენებულ ზიანზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით, მ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელე მ. ი-ის სასარგებლოდ დაევალა 35 260 აშშ დოლარის ექვივალენტის ქართული ლარის და მ. ი-ის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სახით 3000 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა საქმეთა კოლეგიამ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლება, თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია და იგი გულისხმობს მესაკუთრეთა თავისუფლებას განკარგონ საკუთრების უფლება, მიიღონ მისგან სარგებელი და ამ მიზნით გაითვალისწინონ, გამოიყენონ კანონით გათვალისწინებული მათი საკუთრების უფლების დაცვის შესაძლებლობები. ამასთან, საკუთრების ძირითადი უფლებით დაცული სფეროს განუყოფელი ნაწილია ასევე პირის მოთხოვნის უფლება, რომელიც კანონმდებლობით წარმოემოხება მას, მათ შორის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სახით და იგი ისეთივე დაცვის ღირსი ობიექტია, როგორც მთლიანად საკუთრების უფლება. სასამართლომ მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება №1/14/184,228 საქმეზე სააქციო საზოგადოებები – „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, გვ.5) და აღნიშნა, რომ ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლება პირველ რიგში გულისხმობს საკუთრების უფლების ყველასათვის თანაბრად აღიარებასა უზრუნველყოფას, იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რა სახით ვლინდება საკუთრების უფლება – ფიზიკურ ნივთებზე უშუალო საკუთრების უფლებით, თუ მოთხოვნის უფლებაზე საკუთრებით. იქვე, საკონსტიტუციო სასამართლო უთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, რომლის მიხედვითაც მოთხოვნის უფლება, ასევე შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საკუთრების უფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონზე და აღნიშნა, რომ საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან (ქალაქ თბილისის მუ-

ნიციპალიტიტში - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტიტის მერთან) არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია. თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის განხილვის საფუძველია დაინტერესებული პირის მიერ წერილობითი განცხადების წარდგენა კომისიაში. თუ დაინტერესებული პირის მოთხოვნა თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მთლიანად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს და კომისია დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს, კომისია გასცემს საკუთრების უფლების მონმობას და დამონმებულ საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზს, რომელზედაც სხვა საკადასტრო მონაცემებთან ერთად ასახული უნდა იყოს საკუთრების უფლებათა აღიარებული მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობის საზღვრები და ფართობი. სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 23 მაისს ქ. თბილისის მუნიციპალიტიტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას წარედგინა მ. ი-ის განცხადება ქ. თბილისში, ...ის მე-2 მ/რ, მე-5 კვ., მე-5 კორპუსის მიმდებარე 612 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით. ქალაქ თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2016 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით (ოქმი №511) მ. ი-ის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მ. ი-ის მიერ გასაჩივრებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. ამ უკანასკნელის 2017 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ი-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 06 სექტემბრის გადაწყვეტილებით კი სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ი-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ქალაქ თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2016 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება მ. ი-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი და ქალაქ თბილისის მუნი-

ციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევის და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თავისი შინაარსით მის უკანონობას გულისხმობდა და ასეთი აქტის საფუძველზე პირისათვის მიწის ნაკვეთის ნაწილის დანაკლისი, ჩაითვლებოდა უკანონოდ მიყენებულ ზიანად, რამდენადაც უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არ არსებობის პირობებში განმცხადებელს აღნიშნული დანაკლისი არ წარმოეშობოდა, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა სამართლებრივი თვალსაზრისით ნიშნავდა იმ მდგომარეობის აღდგენას, რაც არსებობდა უკანონო აქტის გამოცემამდე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გამო, მოსარჩელე მ. ი-ემ ვერ შეძლო მის მიერ თვითნებურად დაკავებულ, 86 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, რაც მას ეკუთვნოდა კანონის საფუძველზე, რადგან მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ იგი გასხვისებული იქნა მოსარჩელის მიერ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით განცხადების წარდგენის შემდგომ და სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდში, რის გამოც მას მიაღდა ზიანი 86 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დანაკლისის სახით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით მ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები და დამატებით აღნიშნა, რომ პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუ-

ნაზღაუროს მას ეს ზიანი. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქმეზე დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები ცალსახად ადასტურებდა პირდაპირი და უშუალო მიზეზობრივი კავშირის არსებობას, კერძოდ კავშირს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულებების სათანადოდ შეუსრულებლობას და საკუთრების უფლების შეზღუდვას შორის. ამასთანავე, სააპელაციო პალატამ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე და აღნიშნა, რომ საკუთრების ცნება, ასევე მოიცავდა მოთხოვნის უფლებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით განმარტებულია, რომ „ქონების“ ცნება შეიძლება მოიცავდეს როგორც „ამჟამინდელ ქონებას“, ისე ქონებრივ ღირებულებებს, მათ შორის, ვალებს, რომლებზე დაყრდნობითაც მომჩივანს შეუძლია პრეტენზია ჰქონდეს სულ ცოტა „ლეგიტიმური მოლოდინის“ ქონაზე, მიიღოს სარგებელი საკუთრების უფლებიდან (საქმეზე კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ საჩივრის №7975/06 02.02.2010 წელი).

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის მოსაზრება, რომლის თანახმად მოსარჩელის მიერ სადავოდ არ გამხდარა სადავო მინის ნაკვეთის ნაწილის გადაცემა ამხანაგობა „...“-ისათვის, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრების/სადავოობის გარეშეც სახეზე იყო დამდგარი ზიანი და აღნიშნული აქტების გასაჩივრება ვერ შეცვლიდა ფაქტობრივ მდგომარეობას. ზემოაღნიშნული მსჯელობა გულისხმობდა მხარის მიერ აღნიშნული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნის შესახებ მრავალწლიანი დავის წარმოებას, რაც პალატის მოსაზრებით დიდი ალბათობით დასრულდებოდა სარჩელზე უარით და ამის შემდეგ მოუწევდა მხარეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვა, რაც არ მიიჩნია მართებულად, მით უფრო იმ პირობების გათვალისწინებით, რომ ზიანის ანაზღაურებისთვის აუცილებელი ყველა კომპონენტი (ქმედება, შედეგი, ბრალი, მიზეზობრივი კავშირი) უკვე ისედაც სახეზე იყო. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანო თავისი მსჯელობით ფორმალურად უდგებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქმედების კანონიერების შეფასებას, რაც თავის მხრივ ეწინააღმდეგებოდა მუნიციპალიტეტის საქმიანობის მიზნებსა და პრინციპებს.

სააპელაციო პალატამ ამასთანავე არ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის მოსაზრება, რომ მ. ი-ის რისკს წარ-



მოადგენდა სადავო ნივთის გასხვისება, ვინაიდან მას ჰქონდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების უფლება და აღნიშნა, რომ მ. ი-ის მიერ სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებასთან ერთად მოთხოვნილი იყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რაც არ დაკმაყოფილდა არც პირველი და არც მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის სამართლებრივი შედეგი არ წარმოადგენდა მ. ი-ის რისკს.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, წარმოშობილი ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი და იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომლის თანახმად მ. ი-ის დანაკლის წარმოადგენდა 86 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელზეც მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო ვერ შეძლო საკუთრების უფლების აღიარება – ვერ გადაეცა საკუთრებაში, არსებობდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის 35 260 აშშ დოლარის ეკვივალენტი ქართული ლარის ოდენობით ანაზღაურების დავალების საფუძველი. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გადანყვეტილების აღსრულება განხორციელდა იმ ფარგლებში, რაც გათვალისწინებულ იქნა კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 აგვისტოს გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით; კერძოდ, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ახალი აქტის გამოცემა მ. ი-ის საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე, მ. ი-ის მფლობელობაში არსებულ, ქ. თბილისში, ...ის მე-2 მ/რ., მე-5 კვ., მე-5 კორპუსის მიმდებარედ, შპს ...ის მიერ 2015 წლის 16 თებერვალს მომზადებული აზომვით ნახაზით მითითებული მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე, რომელიც არ კვეთდა №... საკადასტრო ერთეულს. ამასთანავე კასატორი ყურადღებას ამახვილებს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მ. ი-ის მიერ წარდგენილ კორექტირებულ საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე, რომელშიც მიწის ნაკვეთის საერთო ფართობად მითითებული იყო 526 კვ.მ. ამდენად, კასატორის მოსაზრებით არ არსებობდა მ. ი-ის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველები.

კასატორი უთითებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობაზე და აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გამოყე-

ნებული უზრუნველყოფის ღონისძიება. აღნიშნული ღონისძიება გამოიყენება კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში სასამართლო უარს ამბობს მის გამოყენებაზე. შესაბამისად, კასატორის მოსაზრებით, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების დავასთან დაკავშირებით, სრულად მოსარჩელის რისკს წარმოადგენდა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება/გამოუყენებლობის სამართლებრივი შედეგი.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზიანის ანაზღაურებისათვის კუმულაციურად უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი, ბრალი. რომელიმე პირობის არ არსებობა ავტომატურად გამორიცხავს ზიანის არსებობას. კასატორის მოსაზრებით კი მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ადგილი არ აქვს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღების შემდეგ მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არ შეიძლება განიხილოს რომელიმე სხვა სასამართლომ ან ორგანომ. ამასთანავე, მხარეებს არ ერთმევათ უფლება, გაყიდონ ან სხვა გზით გაასხვისონ დავის საგანი, ანდა დათმონ თავიანთი მოთხოვნა. ამ უკანასკნელი ნორმის თელეოლოგიური განმარტებიდან გამომდინარე, დავის საგნის ნებისმიერი ფორმით გასხვისება დასაშვებია. გარდა ამისა, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო ვერ უთითებს, კონკრეტულად რაში გამოიხატება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. მეტიც, სასამართლომ შეფასების მიღმა დატოვა ხსენებული ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი მოცემულობის არსებობა/არარსებობა. მხარე თავადაც აღიარებს, რომ აქტები, რომლებითაც მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის ნაწილი გადაეცა ამხანაგობა „...“ს, სადავოდ არ გაუხდია და კანონიერ ძალაშია. ამდენად, მოცემულობა არის პარადოქსული, სასამართლო უთითებს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქმედებამ (მიწის გასხვისებამ) მიაყენა ზიანი, ეს ქმედება გამოხატულია კონკრეტულ აქტებში, ხოლო ეს უკანასკნელი აქტები კანონიერია და მხარეს პრეტენზია არ გამოუთქვამს. სასამართლომ, თითქოს წინასწარ განსაზღვრა ხსენებული აქტების კანონიერების საკითხი, რაც გაურკვეველი და უსაფუძვლოა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ხსენებული აქტების კანონიერება არ არის შეფასებული სასამართლოს მხრიდან. კასატორის მოსაზრებით, ხსენებული ნორმის წინაპირობების მტკიცების ტვირთი მ. ი. ეს ეკისრებოდა, თუმცა წარმოდგენილი საქმის მასალებით ერთმნიშვნელოვნად დადგინდა, რომ აღნიშნული ვალდებულება მხა-

რემ ვერ უზრუნველყო. ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მოსარჩელეს სრულად უნდა ეთქვას უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 202 წლის პირველი მარტის განჩინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დასაშვებად და მიღებულ იქნეს არსებითად განსახილველად, ამასთან გადანყდა საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

2021 წლის 01 დეკემბერს მ. ი-ემ წარმოადგინა საკასაციო შესაგებელი. საკასაციო შესაგებლის ავტორმა აღნიშნა, რომ მ. ი-ე წლების განმავლობაში ცდილობდა საკუთრების უფლების მოპოვებას იმ ქონებაზე, რომელიც მას კანონის მიხედვით ეკუთვნოდა. საბოლოოდ, მ. ი-ემ ეს მოახერხა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ თბილისის მერიას არ უნდა ემოქმედა ისე, როგორც ის მოქმედებდა წლების განმავლობაში. მ. ი-ის მოსაზრებით, სწორედ თბილისის მერიის მოქმედების შედეგად დაირეგისტრირა 86 კვ.მ.-ით ნაკლები მიწის ნაკვეთი, რაზეც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ პირდაპირი თქვა, რომ არასწორი იყო.

მოწინააღმდეგე მხარე ყურადსაღებად მიიჩნევს საქმეში დაცულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 მაისის განჩინებას, რომლითაც მისი მოსაზრებით, უდავოდ და ერთმნიშვნელოვნად დადასტურდა, რომ მ. ი-ეს თბილისის მერიამ მიაყენა ზიანი. კერძოდ, 2019 წლის 16 მაისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით მ. ი-ეს საბოლოოდ მიეკუთვნა უძრავი ქონება და ამავდროულად, საკასაციო სასამართლომ თავის განჩინებაში გამოყო ის გარემოება, რომ მ. ი-ისთვის არ უნდა მომხდარიყო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მოქმედების ფარგლებში 86 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა. ანუ, სახეზე იყო ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან უკანონო მოქმედება (დელიქტი), რამაც მოსარჩელისთვის ანუ, მოწინააღმდეგე მხარისთვის (მ. ი-ისთვის) ზიანის მიყენება გამოიწვია.

ამდენად, მ. ი-ის მოსაზრებით, იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, რომლითაც პირდაპირ ითქვა, რომ მ. ი-ის მიმართ თბილისის მერიამ განახორციელა უკანონო და ზიანის მომტანი მოქმედებები, ცხადია, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა აბსოლუტურად სწორად შეაფასეს საქმის გარემოებები და ისე მიიღეს გადაწყვეტილება, რაც თბილისის მერიამ მარტოოდენ დროის გაჭია-

ნურების მიზნით გაასაჩივრა საკასაციო სასამართლოში. შესაბამისად, ცხადია, რომ ამ პირობებში საკასაციო საჩივარი დასაშვებობის მინიმალურ სტანდარტსაც კი ვერ აკმაყოფილებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული განჩინებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების კანონიერების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით, ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლით, რომლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის მხრიდან განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით თავისი სამსახურებრივ მოვალეობის დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამ ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს. აღნიშნული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, ცალსახად დგინდება, რომ ზიანის ანაზღაურების დასაკისრებლად უნდა არსებობდეს სათანადო მტკიცებულებით დადასტურებული, სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება და უკანონო ქმედების შედეგადაც სახეზე უნდა იყოს მიყენებული ზი-

ანი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულებითი სამართალი ანესრიგებს ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთა დარღვევისათვის დამრღვევს სასამართლოს მეშვეობით შეიძლება დაეკისროს შესრულება ან ზიანის ანაზღაურება. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 317.1. მუხლი ვალდებულების წარმოშობის წინაპირობად მიიჩნევს როგორც ხელშეკრულებას, ასევე დელიქტს, უსაფუძვლო გამდიდრებას ან კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებს.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო მოქმედებაზე მითითებით, ამდენად, მოცემული დავის ფარგლებში შესაფასებელია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოსარჩელის კანონიერი უფლების ხელყოფისა და შესაბამისად უკანონო ქმედებით გამოწვეული მატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხი დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით კი, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

ამ ნორმების ანალიზიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უწინარესად მიმართულია შელახული სამართლებრივი სიკეთის ან დარღვეული უფლების აღდგენისა და შენარჩუნების ინტერესისაკენ. გამონაკლისის სახით, ანუ როდესაც რესტიტუციის გზით შელახული სამართლებრივი სიკეთის, ან დარღვეული უფლების აღდგენა და შენარჩუნება შეუძლებელია,

ან არათანაზომიერად დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, შესაძლებელია, კრედიტორს მიეცეს ფულადი ანაზღაურება, ანუ ზიანი ანაზღაურდეს მატერიალური ბალანსის აღდგენის გზით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

პალატა განმარტავს, რომ კანონმდებლობა ზიანის ლეგალურ დეფინიციას არ იცნობს, თუმცა ზიანის ცნებაში მოიაზრება პირის სამართლებრივად დაცულ სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები. ზოგადად, ვალდებულების დარღვევა (უკანონო მმართველობითი ღონისძიება) სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველია, რომელიც იურიდიული პასუხისმგებლობის სახეა. მნიშვნელოვანია, რომ პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით (2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/630 „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“), „კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის (ამჟამად კონსტიტუციის 18.4 მუხლი) უპირველეს მიზანს წარმოადგენს დაზარალებული პირის ინტერესების დაცვა მიყენებული ზარალის ანაზღაურების გზით. სახელმწიფო რესურსის მასშტაბის, მოცულობის და ბუნების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერ ქმედებათა განხორციელება ხშირ შემთხვევებში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბიექტების მხრიდან განხორციელებულ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით. ამიტომ მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დანესება ხელს უწყობს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობის და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ზარალის ანაზღაურების უფლებას რამდენიმე წინაპირობის არსებობას უკავშირებს: 1. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზარალი გამოწვეული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული სუბიექ-

ტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის.“ აღსანიშნავია, რომ ნორმაში მოცემული პირობები კუმულაციური სახით არის წარმოდგენილი და აღნიშნულ ელემენტთაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია.

ზიანის ფაქტის არსებობისა და ამ ზიანის მოპასუხის მიერ მიყენების ფაქტის მტკიცების თვალსაზრისით, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველსა და მე-3 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამდენად, მოსარჩელეა ვალდებული, სათანადოდ დაასაბუთოს მისი მოთხოვნის მართებულობა, ამასთან მტკიცება არ უნდა ეფუძნებოდეს აბსტრაქტულ, მხოლოდ მოსაზრებაზე დამყარებულ გარემოებებს, არამედ უნდა დასტურდებოდეს კონკრეტული ფაქტებითა და მტკიცებულებებით.

მოცემულ შემთხვევაში შესაფასებელია „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება – სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის თვითნებურად (კანონიერი საფუძვლის გარეშე) დაკავება მასზე საკუთრების უფლების მოპოვების განზრახვით, შესაბამისი ადმინისტრაციული პროცედურის დასრულებამდე ანიჭებდა თუ არა განმცხადებელს, როგორც პოტენციურ მესაკუთრეს ქონების მიღების ლეგიტიმური მოლოდინს. პალატა მიიჩნევს, რომ თავად ამ კანონის თავისებურებიდან გამომდინარე, შესაბამისი გარემოებების დადგენის გარეშე ამგვარი სახის დასკვნის გაკეთება ერთმნიშვნელოვნად და უტყუარად შეუძლებელია, რამეთუ ამ სახის მოთხოვნის მხოლოდ ფორმალური გამართულობა (კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვა) არ არის საკმარისი დადებითი გადწყვეტილების მისაღებად. ამ სახის დავებში ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია ფართო დისკრეცია, მათ შორის კანონმდებელი უფლებას აძლევს გაითვალისწინოს სახელმწიფოს პრიორიტეტულობა უფლებასაღიარებელი მიწის ნაკვეთის მიმართ (მაგ. სივრცის დაგეგმარება, ქალაქმშენებლობითი გეგმების პირობები და სხვა) და მხარეს უარი უთხრას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (ან დააკმაყოფილოს ნაწილობრივ). მართალია მხარის მოთხოვნის უარყო-

ფის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს უართან დაკავშირებით არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 06 სექტემბრის გადაწყვეტილება, თუმცა მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილება მიღებული იქნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, რაც ითვალისწინებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსთვის არა მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ აქტის გამოცემის დავალებას, არამედ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად დასაბუთებული აქტის გამოცემას, ამასთანავე აღნიშნული მუხლის საფუძველზე სადავო აქტის ბათილად ცნობა არ გამოორიცხავს ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების შედეგად იმავე შინაარსის გადაწყვეტილების მიღებას (სუსგ 20.04.2006წ. №ბს-1291-866(კ-05); 18.10.2018წ. №ბს-368-368(კ-18)). ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მ. ი-ის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მას უღიარებოდა მოთხოვნილ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (86 კვ.მ.) საკუთრების უფლება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს არ ევალება კონკრეტული შინაარსის ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, ასეთ შემთხვევაში გასაჩივრებული აქტი უქმდება სადავო საკითხის გადაწყვეტლად, შესაბამისად გამოსაცემი აქტის შინაარსი დამოკიდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების შედეგად საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შედეგებზე.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მ. ი-ის მიერ კანონით დადგენილი წესით სადავოდ არ გამხდარა ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „...“-სთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის №382 განკარგულება და იგი ძალაშია. შესაბამისად იმის თქმა, რომ ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ამ განკარგულების გამოცემით ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია საჯარო და კერძო ინტერესთა ბალანსი და უფლებასადასაღიარებელი მიწის ნაკვეთის ნაწილი განკარგა უკანონოდ, განკარგულების შინაარსობრივი შეფასების გარეშე, შეუძლებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ სარჩელის საფუძველზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები არც პირდაპირ და არც ირიბად არ უთითებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მმართველობითი ღონისძიების უკანონობაზე, ამგვარი შეფასების გარეშე კი ქვედა ინ-



სტანციის სასამართლოების მსჯელობა მ. ი-ის მოთხოვნის საკუთრების უფლებასთან გაიგივების შესახებ, არამართებულია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო დავას იხილავს წარდგენილი სარჩელის ფარგლებში. შესაბამისად სასამართლოს უფლება არა აქვს თავისი გადაწყვეტილებით მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე იგი მოითხოვდა (სსკ-ის 248-ე მუხ.). მოსარჩელე იღებს გადაწყვეტილებას არა მხოლოდ სარჩელის აღძვრის შესახებ, არამედ თავადვე განსაზღვრავს დავის საგანს (სსკ-ის მე-3 მუხ.). სასარჩელო განცხადების მიხედვით, მ. ი-ის სასარჩელო მოთხოვნაა მხოლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურება. მესამე პირზე სადავო მიზნის ნაკვეთის გასხვისების განკარგულების ბათილად ცნობა არ შეადგენს განსახილველი დავის საგანს. ამდენად, განსახილველი დავის ფარგლებში სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს სადავო მიზნის ნაკვეთის განკარგვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების მართლზომიერების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მ. ი-ის მიმართ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა – თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფოს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარება სწორედ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდა. ამ სამართალწარმოების მიმდინარეობისას მოსარჩელემ შემცირებულ, 526 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მოითხოვა საკუთრების უფლების აღიარება, რაც დაკმაყოფილდა, შესაბამისად სასამართლოს არ უმსჯელია მხარის თავდაპირველი მოთხოვნის გათვალისწინებით შემცირებულ (86 კვ.მ.) მიწის ნაკვეთის საკუთრებაში აღიარების შეუძლებლობაზე ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეულობიდან გამომდინარე. ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას არც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის განჩინებაში განვითარებული მსჯელობა არ იძლევა. ამ განჩინებით საკასაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საკასაციო საჩივარი და ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომლის აღსრულების ფარგლებში ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოსცა აქტი 526 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ. ამ განჩინებაში განვითარებული მსჯელობა 2804 კვ.მ. მიწის ნაკვეთის

(მათ შორის უფლებასაღიარებელი ფართის ნაწილის) თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციის სასამართლო გადაწყვეტილების პირობებთან შეუსაბამობის შესახებ, არ წარმოშობს მოსარჩელის უფლებას ზიანის მოთხოვნის შესახებ, რამეთუ საკასაციო სასამართლოს პრაქტიკით არაერთგზის ითქვა, რომ „კომისია უფლებამოსილია შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მოახდინოს საკუთრების უფლების აღიარება, მათი გადაცემა ფიზიკური პირის საკუთრებაში მიუხედავად იმისა, თუ ვის – სახელმწიფოს თუ ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში იმყოფება მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთზე ფიზიკური პირისათვის საკუთრების უფლების აღიარება ხდება კომისიის მიერ, რომელსაც აქვს დელეგირებული ფუნქცია ქონების განსახელმწიფოებრიობაზე (სუსგ 28.10.2019წ. №ბს-504-501(კ-17). შესაბამისად საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთის თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაცია არ წარმოადგენდა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების გამომრიცხავ გარემოებას.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის წინაპირობები – სათანადო წესით არ დასტურდება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რასაც შედეგად მოჰყვა პირის კანონიერი უფლებების შეზღუდვა და მატერიალური ზიანი, შესაბამისად, არ არსებობს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოსარჩელისთვის მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტი, რა გარემოებებიც სარჩელის უარყოფის საფუძველია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით

მ. ი-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 20 ოქტომბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ი-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ს.ტ-ის (პ/ნ: ...) მიერ მ. ი-ის სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 3000 ლარის ოდენობით დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 20 ოქტომბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. ი-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები

## ბანკინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-319(კ-21)

23 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე,  
ბ. სტურუა

**დავის საგანი:** მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 4 სექტემბერს ნ. ა-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი დაბადებული და გაზრდილია სვანეთში, ...ის ხეობაში. დაოჯახების შემდგომ, იგი ...ის რაიონში, სოფელ ...ში. 1993 წლიდან იგი ქმართან – მ. ა-თან, შვილთან – ი. ა-თან და ძმასთან – ე. კ-თან ერთად მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში – „...“, რომელიც ტერიტორიულად იმყოფებოდა ...ის ხეობაში. ამ პერიოდში მძაფრი ბრძოლები მიმდინარეობდა საქართველოსა და რუსეთს შორის, ...ის ხეობის დასაპყრობად. 1994 წლის 4 მაისს ერთ-ერთი საბრძოლო შემოტევის დროს, ჭურვის აფეთქების შედეგად, მან მიიღო სხეულის მრავლობითი ჭრილობა და თავის ქალის დახურული ტრავმა, თავის ტვინის კონტუზია. იგი მოათავსეს აჯარის საუბნო საავადმყოფოში, სადაც წლების განმავლობაში იმყოფებოდა ნევროპათოლოგის მეთვალყურეობისა და მკურნალობის ქვეშ. 2003 წლის 23 მაისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სსე ბიუროს საერთო პროფილის კომისიის მიერ მისი გამოკვლევის შედეგად გამოვლენილ იქნა სამხედრო ტრავმით გამოწვეული ქმედუნარიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვა, რის შედეგადაც გაიცა №... ცნობა, რომლითაც იგი მიჩნეულ იქნა „შრომისუნარდაკარგულად“ და ომის II ჯგუფის ინვალიდად.

მოსარჩელის მითითებით, 2001 წლის 27 აპრილს საქართველოს

თავდაცვის მინისტრის №812 ბრძანებით, მას მიენიჭა სამხედრო ნოდება, კაპიტანი. 2001 წლის 14 ოქტომბერს პრეზიდენტის №1072 განკარგულებით იგი დაჯილდოვდა მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ საქართველოს პროკურატურამ მას ბრალად წაუყენა უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა, ცეცხლსასროლი იარაღისა და სამხედრო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში მყოფი, დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება. მიუხედავად ამისა, მის მიმართ გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი, ამასთან, დაწყებულია სისხლის სამართალწარმოება იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ხელოვნურად შექმნეს ის დოკუმენტაცია, რომლის გამოც მას ციხეში ჯდომა და წამება მოუწია. იგი ცნობილია დაზარალებულად, ასევე, მას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების საფუძველზე აუნაზღაურდა მორალური და მატერიალური ზიანი, რომელიც საქართველოს მთავარი პროკურატურის მხრიდან მიყენებულ იქნა მისი უსამართლოდ გასამართლებისა და ხელფასის მიუღებლობის გამო. მოსარჩელის მითითებით, იგი ასევე ითხოვდა საქართველოს პროკურატურისაგან ნივთებთან მიმართებით ზიანის ანაზღაურებას, თუმცა სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნა, რამდენადაც მიიჩნია, რომ ამ ნაწილში პროკურატურა არ წარმოადგენდა პასუხისმგებელ პირს.

მოსარჩელის განმარტებით, მას მატერიალური ზიანი მიადგა 2006 წლის 25 ივლისს ...ის ხეობაში შემოსული, თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული ჯარების მხრიდანაც, რომლებიც განთავსდნენ სოფელ ...ში მდებარე მის 2 საცხოვრებელ სახლში (ერთი სახლის ფართობია 200 კვ.მ, ხოლო მეორე სახლის – დაახლოებით 300 კვ.მ). ოჯახის კუთვნილი ნივთები სახლებიდან გაიტანეს ეზოში და იქ დაყარეს, ზოგიერთი მათგანი მოიპარეს. საერთო ჯამში, ყველაფერი დაიკარგა. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ცხადია, სახლში არსებულ ძვირფას ნივთებს – ოქროსა და ვერცხლს იქ არაფერ დაყრიდა. იმ დროს ოჯახის წევრები სახლში არ იმყოფებოდნენ და მათი პირადი და საოჯახო ნივთები უგზო-უკვლოდ დაიკარგა. წლობით ნაგროვები უძრავი თუ მოძრავი ქონება რამდენიმე საათში გაიფანტა, გაქრა და განადგურდა.

მოსარჩელის მითითებით, მნიშვნელოვანია, რომ მან არაერთხელ განაცხადა საოჯახო ნივთების ქურდობისა და განადგურების შესახებ, განაცხაადეს მოწმეებმაც, მაგრამ პროკურატურამ დანაშა-

ულის ჩადენის ფაქტზე სამართალწარმოება არ დაიწყო, რისი ვალდებულებაც მას ეკისრებოდა. მართალია, 2008 წლის აგვისტოში ...ის ხეობა დაიკარგა, თუმცა იგი ნივთების გამოტანას იქამდე მაინც შეძლებდა. სწორედ ამიტომ, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ იგი პრეტენზიას არ აცხადებს სახლებთან დაკავშირებით, თუმცა თავდაცვის სამინისტროს მიმართ იგი ითხოვს ომამდე 2 წლით ადრე დაკარგული მოძრავი ნივთების ღირებულების ანაზღაურებას.

მოსარჩელე განმარტავს, რომ აღნიშნული ფაქტების ნამდვილობის შესახებ ნამსჯელია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის გამამართლებელ განაჩენშიც, რომელსაც, მოსარჩელის მოსაზრებით, პრეიუდიციული ძალა აქვს. მის მიერ დასახელებული მოწმეები კარგად იცნობდნენ მის ოჯახში არსებულ ნივთებს. ისინი იყვნენ ნ. ა-ის მეზობლები და იმ პერიოდში, თითქმის სულ მასთან იმყოფებოდნენ. მოსარჩელის მითითებით, მას ჰქონდა 50 ოჯახი ფუტკრის სკა, საიდანაც მოპოვებული თაფლი მის ოჯახს ჩამოჰქონდა და აბარებდა რაიონში. მას ასევე ჰყავდა საქონელი და ეწეოდა ხორცისა და რძის ნაწარმის რეალიზაციას. მას სახლში გააჩნდა საგვარეულო ვერცხლეულობა და სხვა ძვირფასი ნივთები. მატერიალური თვალსაზრისით, მას მიადგა ზიანი, რომელიც „დამადასტურებელ აქტსა“ და ჩატარებულ ექსპერტიზის დასკვნაშია ასახული, სულ – 129 800 ლარი, ასევე, 3 000 აშშ დოლარი, რომელიც მას სახლში ჰქონდა და სამთავრობო ჯარების შესვლის შემდგომ, აღარ უნახავს. ამასთან, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ აქტში გამოჩენილია 50 ოჯახი ფუტკრის სკა, თითოეული სკის ღირებულება ფუტკრებიანად საშუალოდ 300 ლარია, ჯამურად 50 სკის ღირებულება კი შეადგენს 15 000 ლარს. მოწმეების მიერ შედგენილ და სანოტარო წესით დამოწმებულ „დამადასტურებელ ოქმში“ არსებული ჩამონათვალი არასრულია, რამდენადაც ოჯახში საჭირო ნივთების სრულყოფილად ჩამოთვლა და შეფასება შეუძლებელია.

ამდენად, მოსარჩელემ მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ნ. ა-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის 50 000 ლარის ოდენობით, ასევე, მატერიალური ზიანის 129 800 ლარისა და 3000 აშშ დოლარის ოდენობით ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2019 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის პროკურატურის 2006 წლის 20 ოქტომბრის დადგენილებით (საქმეზე №06/1933) ნ. ა-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით და 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ნ. ა-მა ჩაიდინა უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა. მანვე ჩაიდინა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში მყოფი დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მოთვისება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 19 აგვისტოს ბრძანებით (საქმე №92060976) დაკმაყოფილდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს გამომძიებლის შუამდგომლობა და ბრალდებულ ნ. ა-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა. პატიმრობის ვადის ათვლა დაიწყო ბრძანების გამოცემის მომენტიდან – 2006 წლის 19 აგვისტოდან.

გალისა და გულრიფშის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის განაჩენით (№1/21-07 საქმე) ნ. ა-ი გამართლდა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ნაწილში; ნ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 223-ე მუხლის პირველი ნაწილით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა სსკ-ის 223-ე მუხლის პირველი ნაწილით 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა, 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით ვადით 3 (სამი) წლით. სსკ-ის 59 მუხლის (ძველი რედაქცია) საფუძველზე, განსასჯელ ნ. ა-ს საბოლოოდ განესაზღვრა 6 (ექვსი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა, საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით ვადით 3 (სამი) წლით. განაჩენით ძირითადი სასჯელის მოხდა დაენყო დაკავების

დღიდან – 2006 წლის 29 ივლისიდან. გალისა და გულრიფშის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის განაჩენი (№1/21-07 საქმეზე) უცვლელი დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2007 წლის 6 ივლისის განაჩენით, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 17 ივლისის განაჩენით დაუშვებლად იქნა ცნობილი ნ. ა-ის საკასაციო საჩივარი აღნიშნულ საქმეზე.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ სასჯელალსრულების დეპარტამენტის 2012 წლის 6 ნოემბრის №0686384 ცნობის თანახმად, ნ. ა-ი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფებოდა 2012 წლის 29 ივლისიდან 2012 წლის 6 ნოემბრამდე.

„დაზარალებულად ცნობის შესახებ“ 2016 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით ნ. ა-ი ცნობილ იქნა დაზარალებულად. დადგენილების მიხედვით, 2015 წლის 13 აგვისტოს საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №074130815801 საქმეზე, საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამშრომლების მიერ ნ. ა-ის მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 24 თებერვლის განაჩენით გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენი ნ. ა-ის მიმართ და გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი; ნ. ა-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, სსკ-ის 223-ე მუხლის პირველი ნაწილითა და სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულებში.

განაჩენის თანახმად, 2006 წლის 25 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების დანაყოფებმა სრულად დაიკავეს ...ის ხეობა და ამ დროიდან მოყოლებული, ხეობას ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი ძალოვანი უწყებების თანამშრომლები აკონტროლებდნენ. იმავე დღეს, ძალოვანი უწყებების თანამშრომლები შევიდნენ და განთავსდნენ სოფელ ...ში მდებარე ნ. ა-ის საცხოვრებელ სახლში, ხოლო ოჯახის კუთვნილი ნივთები სახლიდან ეზოში გამოიტანეს. 2006 წლის 25 ივლისიდან 2006 წლის 28 ივლისამდე პერიოდში, შეიარაღებული პირების მიერ



სრულად იყო ბლოკირებული ნ. ა-ის საცხოვრებელი სახლი და არც ნ. ა-ს და არც მის ახლობლებს არ ეძლეოდათ მასში შესვლის უფლება, ხოლო 2006 წლის 27 ივლისს, დღის საათებში, ...ის ხეობაში, ...ის რაიონის სოფელ ...ში, ა.კ-ის საცხოვრებელ სახლთან დააკავეს ნ. ა-ი და ავტომანქანით წაიყვანეს ...ის ხეობიდან.

განაჩენის მიხედვით, სააპელაციო წესით საქმის განხილვის დროს ნ. ა-ის მიერ მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ იგი თავისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკას არ დასწრებია. მას შემდგომ, რაც 2006 წლის 25 ივლისს ...ის ხეობაში შევიდნენ ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული პირები, მან ის ღამე სოფელ ...ში მცხოვრები ე.კ-ის საცხოვრებელ სახლში გაათია. მომდევნო დღეს, ის რ.გ-თან ერთად მივიდა თავის საცხოვრებელ სახლთან, თუმცა მისი სახლი უკვე დაკავებული ჰქონდათ შეიარაღებულ პირებს და მათ არ მისცეს სახლში შესვლის უფლება. იმავე დღეს ნ. ა-ი მივიდა ა.კ-ის საცხოვრებელ სახლში და ის ღამე მათ ოჯახში გაათია. მომდევნო დღეს კი თბილისში წაიყვანეს. სააპელაციო წესით საქმის განხილვის დროს რ.გ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2006 წლის 26 ივლისს ნ. ა-თან ერთად იგი მივიდა ამ უკანასკნელის საცხოვრებელ სახლთან. მისი განმარტებით, ნ. ა-ის სახლში იყო სრული ქაოსი, რადგან ოჯახის კუთვნილი საყოფაცხოვრებო ნივთები გამოყრილი იყო გარეთ, სახლის ეზოში. მიუხედავად მისი და ნ. ა-ის სურვილისა, შესულიყვნენ სახლში, შეიარაღებულმა და სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა ათეულობით პირმა მათ ამის საშუალება არ მისცა. მომდევნო დღეს, კ...ის ოჯახში ყოფნისას, მოხდა ნ. ა-ის დაკავება და მისი ქალაქ თბილისისკენ გამგზავრება.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს მთავარ პროკურატურას დაეკისრა ნ. ა-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება 50 000 (ორმოცათაი ათასი) ლარის ოდენობით და მატერიალური ზიანის ანაზღაურება 29 265 (ოცდაცხრა ათას ორას სამოცდახუთი) ლარის ოდენობით. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

გადაწყვეტილების მიხედვით, ნ. ა-ის ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 205 800 (ორას ხუთი ათას რვაასი) ლარისა და 3000 დოლარის ოდენობით, საიდანაც მიუღებელი სახელფასო შემოსავლის ანაზღაურების სახით ითხოვდა 76 000 ლარის დაკისრებას, ხოლო ნ. ა-ის კუთვნილი ქონების დაზიანებით და განადგურებით მიყენებული ზიანის ანაზ-

ლაურების სახით იგი ითხოვდა 129 800 ლარის ანაზღაურებას. სასამართლომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა ნაწილობრივ – ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის (თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულს) პოზიციიდან გათავისუფლების გამო მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების ნაწილში, სხვა ნაწილში კი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს მოსარჩელის კუთვნილი დაკარგული და განადგურებული ნივთების ღირებულების დაკისრების ნაწილში. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება საქართველოს მთავარი პროკურატურის ბრალეულობით აღნიშნული ზიანის დადგომა. მოსარჩელე მხარის არგუმენტაციის მიხედვით, მისი სახლი დაკავებული ჰქონდათ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ შეიარაღებულ პირებს, რომლებმაც ოჯახის კუთვნილი ნივთები გამოიტანეს სახლებიდან და ეზოში დაყარეს, ზოგიერთი მათგანი დაიკარგა, ზოგიერთი – მოიპარეს. მოსარჩელის მოსაზრებით, პროკურატურის ბრალეულობა აღნიშნულ მატერიალურ დანაკარგში გამოიხატება იმაში, რომ პროკურატურის ნებართვის გარეშე არ უშვებდნენ ნივთებთან მისივე ახლობლებს, რომლებიც შეძლებდნენ მოძრავი ნივთების წამოღებას და გადარჩენას. ამასთან, თავად ნ. ა-ი 25-26 ივლისს იმყოფებოდა სოფ. ...ში, 31 ივლისს კი დააკავეს, რის გამოც ვერ მოახდინა ნივთების გამოტანა სახლიდან. გარდა ამისა, პროკურატურამ არ დაინყო თავისი ინიციატივით რეაგირება დანაშაულებრივი ფაქტის აღკვეთის მიზნით. თავად ნ. ა-მა კი, მიუხედავად იმისა, რომ ჰყავდა ადვოკატი, დაკავებაში პატიმრობაში ყოფნის გამო ვერ მოახერხა საჩივრის წარდგენა შესაბამის უწყებაში“.

გადაწყვეტილების თანახმად, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია პროკურატურის ბრალეულობასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „არც ერთი მტკიცებულებით არ დადასტურებულა, რომ პროკურატურის უფლებამოსილი პირების მხრიდან შეეზღუდათ ნ. ა-ს და მის ახლობლებს სახლიდან ნივთების გატანის შესაძლებლობა. მხოლოდ მონმის სახით დაკითხულმა რ.გ-მა აღნიშნა, რომ როგორც სახლთან მისულებს უთხრეს, პროკურატურისგან ჰქონდათ დავალება, არავინ შეეშვათ. მონმემ ვერ დაასახელა, კონკრეტულად ვინ მიანოდა აღნიშნული ინფორმაცია, ასევე არ დასტურდება თავად წყაროს მიერ მინოღებული ინფორმაციის ავთენტურობა. საქმის მასალებით უტყუარად არ დასტურდება ის გარემოებაც, რომ თუკი პროკურატურა დაინყებდა გამოძიებას და დროულ რეაგირებას მოახ-

დენდა, ეს ზიანი არ დადგებოდა, თავიდან იქნებოდა აცილებული ან რაიმე კონკრეტული მოცულობით შემცირდებოდა. შესაბამისად, ამ ნაწილში სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს“.

სასამართლო სხდომაზე დაკითხული მონშეების – რ. გ-ის, მ. ა-ის, ლ. გ-ის, ნ. გ-სა და ს. გ-ის ჩვენებებით სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ნ. ა-ს სოფ. ...ში მდებარე საცხოვრებელ სახლში ჰქონდა სხვადასხვა საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნივთები, ტექნიკა, ავეჯი, ფული, ძვირფასეულობა, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ფრინველი, ფუტკრის სკები. მთელი ეს ქონება დაიკარგა 2006 წელს ნ. ა-ის დაკავების შემდგომ.

სასამართლო სხდომაზე მონშის სახით დაკითხულმა ს. გ-მა, ლ. გ-მა, რ. გ-მა და მ. ა-მა მიუთითეს, რომ სახლი დაკავებული ჰქონდათ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს. ს. გ-მა და ლ. გ-მა მიუთითეს, რომ ფორმების მეშვეობით მიხვდნენ ნ. ა-ის სახლში დაბანაკებული სამხედროების თავდაცვის სამინისტროსადმი კუთვნილებას, ხოლო რ. გ-ს თავად ნ. ა-ის სახლში განთავსებულმა სამხედროებმა უთხრეს აღნიშნულის შესახებ. ამასთან, მ. ა-მა აღნიშნულის შესახებ არაფორმალურად შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროსაგან მიიღო ინფორმაცია.

სასამართლომ ასევე დადგინებულ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ შპს „ე...ის“ დირექტორს – გ. კ-სა და ნ. ა-ს შორის დაიდო საექსპერტო მომსახურებაზე 2017 წლის პირველი ნოემბრის №06-01 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, გამოიცა „ნ. ა-ის ოჯახში არსებული საოჯახო ნივთების და სხვა ქონების შეფასებაზე“ №063 ექსპერტის დასკვნა, რომლის თანახმად, ...ის ხეობაში, სოფელ ...ში ნ. ა-ის ოჯახში არსებული საოჯახო ნივთები და სხვა ქონება, 2006 წლის ივლისის თვის მდგომარეობით, საბაზრო ფასებში, შეფასებულია 129 800 ლარად (ქონების ღირებულების შეფასების თარიღია 2017 წლის 5 ნოემბერი).

დასკვნის მიხედვით, შეფასების პროცესს თან ახლდა შემდეგი სახის შემზღუდავი პირობები და ამ პირობებიდან შემფასებლების მიერ გაკეთებულ/მიღებულ იქნა შემდეგი სახის დაშვებები: მოცემული დასკვნა მოიცავს შემფასებლების პროფესიონალურ აზრს მის მიერ დადგენილი ღირებულების მაჩვენებელთან მიმართებაში/ობიექტის სავარაუდო გასაყიდი ფასი და არ შეიძლება ჩაითვალოს გარანტიად იმისა, რომ შეფასებული ქონება ხელიდან ხელში გასხვისებული იქნება ზუსტად შეფასებული ღირებულების მიხედვით. შეფასების ჩატარების დროს იგულისხმებოდა, რომ არ არსებობდა რაიმე ფარული ფაქტორები, რომლებიც გავლენას იქონიებდა შესაფასებელი ქონების ღირებულების განსაზღვრაზე. შემფა-

სებლებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ასეთი ფაქტორების აღ-  
მოჩენაზე. შემფასებლების მიერ მოხდა ნივთების შეფასება დამ-  
კვეთის მიერ მონოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელ-  
საც ამყარებს მონმეების აქტი. შემფასებლების მიერ ვერ მოხდა  
ნივთების უშუალოდ დათვალიერება, რადგან ეს ნივთები დაკარ-  
გულია 2006 წელს. შემფასებლებს არ ეკისრება არანაირი პასუხის-  
მგებლობა შესაფასებელი ქონების მესაკუთრის ან/და საკუთრე-  
ბის უფლებებზე. ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი წარმოად-  
გენს მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად მიღებულ შე-  
დეგს და არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ბაზარზე არ შეიძ-  
ლება არსებობდეს სხვა შეთავაზებები ან გარიგების ფაქტები, რომ-  
ლებიც განსხვავდებიან თანხობრივი მაჩვენებლით. შემფასებლე-  
ბის მიერ მიღებული ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი მოქმე-  
დია მხოლოდ შეფასების თარიღისათვის. შემფასებელი არ იღებს  
არანაირ პასუხისმგებლობას ეკონომიკური, იურიდიული, ბუნებ-  
რივი და სხვა ფაქტორების ცვლილებებზე, რომლებიც შეიძლება  
წარმოიშვას ამ თარიღის შემდეგ და გავლენა იქონიოს საბაზრო სი-  
ტუაციაზე და შესაფასებელი ობიექტის ღირებულებაზე. ანალო-  
გებზე მონაცემები მოპოვებულია ინტერნეტით და გაზეთებით,  
რომელთაც გააჩნია ყველაზე მაღალი ნდობის ფაქტორი. შეფასე-  
ბის პროცესი: 1) ქონების იდენტიფიკაცია; 2) ქონების მფლობელის  
გამოკითხვა შესაფასებელი ქონების წარმომავლობის და მათი ტექ-  
ნიკური მახასიათებლების დადგენის მიზნით; 3) აუცილებელი ინ-  
ფორმაციის დამუშავება და ანალიზი, ბაზრის ანალიზი, ღირებუ-  
ლების სახეების გამოთვლა; 4) შედეგების შეთანხმება და საბო-  
ლოო ღირებულების დადგენა; 5) შეფასების ანგარიშის შედგენა. ამ  
შეფასების მიზნებისათვის, შემფასებლის მიერ გამოყენებულ იქ-  
ნა მხოლოდ შედარების მეთოდი.

ამასთან, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბუღალტრუ-  
ლი აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის  
სამსახურის 2016 წლის პირველი დეკემბრის №161 ბრძანების სა-  
ფუძველზე, გ. კ-ე რეგისტრირებულია აუდიტორების სახელმწიფო  
რეესტრში.

სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლო სხდომაზე დაიკით-  
ხა დასკვნის ავტორი, რომელმაც განმარტა, რომ შეფასება გან-  
ხორციელდა დამკვეთის მიერ მონოდებული ინფორმაციის საფუძ-  
ველზე, კერძოდ, მან მიაწოდა ინფორმაცია ნივთების ჩამონათვა-  
ლის, მათი შეძენის პერიოდისა და შეძენისას ნივთების ფასის შე-  
სახებ. ამასთან, მოძიებულ იქნა 2006 წელს არსებული საბაზრო ფა-  
სები. შეფასების საერთაშორისო სტანდარტებით ქონების საბაზ-  
რო ფასის დადგენა მოხდა მსგავსი ქონების ღირებულებით, შესა-

ბამისად, აღნიშნული ფასი არის სავარაუდო. საბაზრო ღირებულების განსაზღვრისათვის, ხსენებული ქონების მწარმოებლის და ტექნიკური მახასიათებლის დადგენის მიზნით, მოხდა ქონების მფლობელის გამოკითხვა. შემფასებელი დაეყრდნო მფლობელთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციას, კერძოდ, სად და რა ფასად შეიძინეს აღნიშნული ნივთები. ამასთან, საბაზრო ფასის განსაზღვრის მიზნით შემფასებლებმა მოიკვლიეს 2006 წელს არსებული ფასები, რაც სირთულეებთან იყო დაკავშირებული. თუმცა, გამოყენებულ იქნა გაზეთი „...“ (50% და მეტი საბაზრო ფასისა დადგინდა აღნიშნული გაზეთის მეშვეობით), ინტერნეტ-წყაროები და შემფასებლების პირადი გამოცდილებაც იქნა გამოყენებული, რადგან შემფასებლები 2000 წლიდან ახორციელებენ აღნიშნულ საქმიანობას, ასევე, გამოყენებულ იქნა ოქროს ბირჟაზე ოქროს გამყიდველებთან ინტერვიუების მეთოდი და შემკვეთის ინფორმაცია, რა გადაიხადა აღნიშნულ ნივთებში.

ექსპერტის განმარტებით, ყველა ღონისძიება იქნა გამოყენებული, რათა დადგენილიყო სადავო ნივთების ღირებულება. შესწავლილ იქნა შეძენის წყარო (მაღაზიიდან თუ შეკვეთის საფუძველზე მოხდა შეძენა) და გადამოწმდა დამკვეთის მიერ მინორდებული ინფორმაცია. სადავო ნივთების შეფასება განხორციელდა 2006 წლის ფასების შესაბამისად. ექსპერტმა განმარტა, რომ ვინაიდან მან ფიზიკურად ვერ ნახა ნივთები, საქონლის შედარება ვერ მოხდა, შედარება განხორციელდა მხოლოდ საქონლის დასახელებების მიხედვით. შემფასებელმა დაადგინა მიახლოებითი საშუალო ფასი ანალოგიურ საქონელზე.

ამასთან, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 6 თებერვლის №00775918 აქტის თანახმად, წარდგენილი ინფორმაციის (დოკუმენტაციის) საფუძველზე შეუძლებელია სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარება, რადგან შეუძლებელია მოძრავი ქონების იდენტიფიკაცია და ბიუროს არ გააჩნია 2006 წლის მდგომარეობით აღნიშნული მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ ინფორმაცია.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის (ძველი რედაქციით – 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი), ასევე მოიხმო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილების (საქმე №2/3/423) განმარტება, რომლის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით „გათვალისწინებულია როგორც მატერიალური, ასევე,

პროცესუალური ხასიათის კონსტიტუციური გარანტიები. 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ყველას ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს და მიიღოს ზარალის ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან. გარდა ამისა, ყველასთვის არის უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის საშუალება – სასამართლოსათვის მიმართვა. ნათლად არის დადგენილი ანაზღაურების მასშტაბებიც – ზარალი სრულად უნდა ანაზღაურდეს. ამ სახით ჩამოყალიბებული კონსტიტუციური ნორმა კანონმდებელს უტოვებს თავისუფალი მოქმედების ვიწრო არეალს, რაც, უპირატესად, კონსტიტუციური მოთხოვნების დაცვით პროცედურული საკითხების მოწესრიგებას მოიცავს“.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის უპირველეს მიზანს წარმოადგენს დაზარალებული პირის ინტერესების დაცვა მიყენებული ზარალის ანაზღაურების გზით. სახელმწიფო რესურსის მასშტაბის, მოცულობის და ბუნების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერ ქმედებათა განხორციელება, ხშირ შემთხვევებში, გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბიექტების მხრიდან განხორციელებულ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით. ამდენად, მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დანერგვა ხელს უწყობს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობისა და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლზე, 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ნ. ა-ის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება. სარჩელში საფუძვლად მითითებული იყო, რომ 2006 წლის 2 ივლისს ...ის ხეობაში შესული თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული ჯარის ნ. ა-ის საცხოვრებელ სახლში განთავსების შედეგად, დაიკარგა და დაზიანდა ოჯახის კუთვნილი ნივთები, მათ შორის, ოქრო, ვერცხლი და სხვა ძვირფასი ნივთები. სარჩელში ასევე აღნიშნული იყო, რომ ნ. ა-ის მიმართვის მიუხედავად, საგამოძიებო ორგანოებს არ განუხორციელებიათ რაიმე რეაგირება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების მიზნით. სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებაში მოსარჩელე მიუთითებდა, ასევე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 24 თებერვლის განაჩენზე და აღნიშნავდა, რომ მოცემული

განაჩენით დადგენილ გარემოებებს პრეიდუციული ძალა ჰქონდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლში 2010 წლის 24 სექტემბერს №3619 კანონით შეტანილი ცვლილებების თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ აქტებს არ აქვთ პრეიუდიციული მნიშვნელობა, მაგრამ შესაძლებელია მისი მტკიცებულებად დაშვება და შეფასება. ამდენად, სასამართლომ ხსენებული განაჩენი სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეაფასა.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის განმარტება, რომ ნ. ა-ს ანალოგიური სასარჩელო მოთხოვნით მიმართული ჰქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის, რომლის დროსაც ზიანის ანაზღაურებას მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს გენერალური პროკურატურისაგან, შესაბამისად, სახელმწიფოს ერთხელ უკვე დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ აღნიშნული თანხების გადახდა და არ არსებობდა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები.

სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, დადგენილი იყო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს მთავარ პროკურატურას ნ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 50 000 (ორმოცათი ათასი) ლარის ოდენობით და მატერიალური ზიანის ანაზღაურება 29 265 (ოცდაცხრა ათას ორას სამოცდახუთი) ლარის ოდენობით. გადაწყვეტილების მიხედვით, მართალია, მატერიალური ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთ საფუძველად ნ. ა-ი მიუთითებდა მისი კუთვნილი ქონების დაზიანებასა და განადგურებას, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია პროკურატურის ბრალეულობასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ არც ერთი მტკიცებულებით არ დადასტურებულა, რომ პროკურატურის უფლებამოსილი პირების მხრიდან ნ. ა-ს და მის ახლობლებს შეეზღუდათ სახლიდან ნივთების გატანის შესაძლებლობა. შესაბამისად, ამ ნაწილში სასამართლომ სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

განსახილველ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით ნ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილებულა მისი კუთვნილი ნივთების განადგურებისა და დაზიანების

ნების ნაწილში. ამასთან, საქართველოს გენერალური პროკურატურის ბრალეულობის გამორიცხვა თავისთავად, ავტომატურად არ გულისხმობდა მოსარჩელის მხრიდან ხსენებული საფუძვლით სასარჩელო მოთხოვნის დაყენების შეუძლებლობას სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ. შესაბამისად, სასამართლოს, კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებები ყოველმხრივ და სრულყოფილად უნდა შეეფასებინა, რათა დადგენილიყო სასარჩელო მოთხოვნა იყო თუ არა დასაბუთებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

სასამართლომ მოიხმო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი, ამავე კოდექსის 412-ე მუხლი და აღნიშნა, რომ დელიქტური პასუხისმგებლობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ზიანის მიყენების ფაქტი და მიზეზობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მიზეზობრივი კავშირი, ტრადიციული გაგებით, პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი აუცილებელი ელემენტია. მიზეზობრივი კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის აუცილებელი კავშირია, რაც გულისხმობს ორი მოვლენის არა უბრალო მუდმივ თანმიმდევრობას, არამედ შედეგის თანმიმდევრობას თავისი მიზეზის მიმართ. მიზეზობრიობის მთავარ მომენტს წარმოადგენს არსებითი კავშირი, სადაც დამოკიდებულება მიზეზსა და შედეგს შორის აქტიურ ხასიათს ატარებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს წარმოადგენს. პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს მიყენებული ზიანისთვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან.

სასამართლომ განმარტა, რომ მხარისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი, რომლის არსებობა და მიზეზშედეგობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და ზიანის წარმოქმნას შორის დასტურდება სათანადო მტკიცებულებებით, ექვემდებარება სრულად ანაზღაურებას, რადგან ზიანის ანაზღაურების მთავარ მიზანს წარმოადგენს მიყენებული დანაკლისის გამოსწორება.

სასამართლომ მიუთითა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 24 თებერვლის განაჩენზე, რომლის თანახმად, 2006 წლის 25 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების დანაყოფებმა სრულად დაიკავეს ...ის ხეობა და ამ დროიდან მოყოლებული, ხეობას ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი ძალოვანი უწყებების თანამშრომლები აკონტროლებდნენ. იმავე დღეს, ძალოვანი უწყებების თანამშრომლები შევიდნენ და განთავსდნენ სო-



ფელ ...ში მდებარე ნ. ა-ის საცხოვრებელ სახლში, ხოლო ოჯახის კუთვნილი ნივთები სახლიდან ეზოში გამოიტანეს. 2006 წლის 25 ივლისიდან 2006 წლის 28 ივლისამდე პერიოდში, შეიარაღებული პირების მიერ სრულად იყო ბლოკირებული ნ. ა-ის საცხოვრებელი სახლი და არც ნ. ა-სა და არც მის ახლობლებს არ ეძლეოდათ მასში შესვლის უფლება, ხოლო 2006 წლის 27 ივლისს, დღის საათებში, ...ის ხეობაში, ...ის რაიონის სოფელ ...ში, ა.კ-ის საცხოვრებელ სახლთან დააკავეს ნ. ა-ი და ავტომანქანით წაიყვანეს ...ის ხეობიდან.

სასამართლო სხდომაზე მონმის სახით დაკითხულმა ს. გ-მა, ლ. გ-მა, რ. გ-მა და მ. ა-მა მიუთითეს, რომ სახლი დაკავებული ჰქონდათ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს. ს. გ-მა და ლ. გ-მა მიუთითეს, რომ ფორმების მეშვეობით მიხვდნენ ნ. ა-ის სახლში დაბანაკებული სამხედროების თავდაცვის სამინისტროსადმი კუთვნილებას, ხოლო რ. გ-ს თავად ნ. ა-ის სახლში განთავსებულმა სამხედროებმა უთხრეს ხსენებულის შესახებ. ამასთან, მ. ა-მა აღნიშნულის შესახებ არაფორმალურად შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროსაგან მიიღო ინფორმაცია.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, ამავე კოდექსის მე-17 მუხლის პირველ ნაწილზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, ამავე კოდექსის 102-ე მუხლზე და 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების წინაპირობების დადასტურება წარმოადგენს მოსარჩელის ვალდებულებას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის, მე-17 მუხლის პირველი ნაწილის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, შეჯიბრებითობის პრინციპის და მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი სტანდარტის მიხედვით, მოსარჩელეს ეკისრება მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოების მტკიცების ვალდებულება, რაზედაც ამყარებს სასარჩელო მოთხოვნას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრალეულობით აღნიშნული ზიანის დადგომა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 24 თებერვლის განაჩენში ზოგადად იყო მითითებული იმ ფაქტზე, რომ 2006 წლის 25 ივლისს ...ის ხეობა სრულად დაიკავეს როგორც საქართველოს თავდაცვის, ისე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებული ძალების დანაყოფებმა. განაჩენში აღნიშნული იყო, რომ ნ. ა-ის სახლი ბლოკირებულ იქნა შეიარაღებული პირების მიერ, თუმცა მითი-

თებული არ იყო, რომელი უწყების წარმომადგენლები იყვნენ ხსენებული პირები. რაც შეეხება მოწმეთა (ს. გ-ი და ლ. გ-ი) ჩვენებებს, სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითება სამხედრო ფორმაზე, ზოგადად, ავტომატურად არ გულისხმობდა, რომ ნ. ა-ის სახლში შეჭრილი პირები იყვნენ საქართველოს თავდაცვის წარმომადგენლები. ამასთან, მოწმეებს (რ. გ-ი და მ. ა-ი) არ დაუსახელებიათ, კონკრეტულად ვინ მიაწოდა მათ ინფორმაცია, რომ ნ. ა-ის სახლში იმყოფებოდნენ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რამდენადაც საქმეში არ იყო დაცული სათანადო მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას, რომელიც მიზეზობრივ კავშირში იქნებოდა ნ. ა-ისათვის მიყენებულ ზიანთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი იყო დაუსაბუთებელი და იგი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში. ამასთან, ვინაიდან არ დგინდებოდა მიზეზშედეგობრივი კავშირი მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ქმედებასა და მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტს შორის, სასამართლომ დამატებით აღარ შეაფასა მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობის საკითხი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ა-ის სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში ასევე დაუსაბუთებელი იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო ზემოთ მითითებული საფუძვლებიდან გამომდინარე. ამასთან, სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესს ითვალისწინებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, ხოლო ამავე კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ განმარტა, რომ კანონით ერთმნიშვნელოვნად დადგენილი მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლების გარდა კანონით დაცული სხვა უფლებების, მათ შორის, საკუთრების უფლების შეზღუდვა, მისი დადასტურების შემთხვევაშიც კი, არ წარმოშობდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიუთითებდა მოძრავი ნივთების დაკარგვის ფაქტს.

სასამართლომ მოიხმო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის განჩინება

(საქმეზე №ას-1156-1176-2011), სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კერძო სამართლით გათვალისწინებული სხვადასხვა ურთიერთობების შედეგად შეიძლება ადგილი ჰქონდეს მორალურ, სულიერ ტანჯვას, მაგრამ მისი ანაზღაურება დაიშვება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, ე.ი. კანონი პირდაპირ ადგენს, თუ კონკრეტულად რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება მოითხოვოს დაზარალებულმა არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება. ამდენად, კანონის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი. ადამიანის ჯანმრთელობა წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს, რომლის ხელყოფისათვის დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება. მითითებული ნორმით დადგენილი შედეგის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა, რის შედეგად დაზარალებულმა, ასევე განიცადა სულიერი ტანჯვა, ფსიქიკური სტრესი. ამდენად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო და არა – ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოხსენებული ნორმის მოქმედება უნდა გაგვევრცელებინა ნებისმიერი ქონებრივი ვალდებულების დარღვევისას განცდილი სულიერი ტანჯვის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობის გაუარსებაზე, რაც ყოველად დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიუთითა, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება დასაშვებია იყო მხოლოდ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისას, რომელიც არ იყო დაკავშირებული საკუთრების უფლების ხელყოფასთან. საკუთრების უფლების ხელყოფა წარმოშობდა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. შესაბამისად, სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული არგუმენტი დამატებით ამყარებდა დასკვნას, რომ არ არსებობდა მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2020 წლის 14 დეკემბრის განჩინებით ნ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი შეფასებები და დამატებით აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ნ. ა-ის მოთხოვნას წარმოადგენდა – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის სასარგებლოდ დაეკისროს მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების საფუძველად მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მატერიალური ზიანი მიადგა 2006 წლის 25 ივლისს ...ის ხეობაში შემოსული, თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული ჯარის მხრიდანაც, რომლებიც განთავსდნენ მის საცხოვრებელ ორ სახლში სოფელ ...ში. სახლებიდან გამოიტანეს და ეზოში დაყარეს ოჯახის კუთვნილი ნივთები, ზოგი მოიპარეს და საბოლოოდ ყველაფერი დაიკარგა. სარჩელში ასევე მითითებული იყო, რომ ნივთების ქურდობისა და განადგურების ფაქტზე მოსარჩელეს არაერთხელ ჰქონდა მიმართული პროკურატურისთვის.

სააპელაციო პალატამ ასევე ყურადღება მიაქცია, რომ ნ. ა-ი სასარჩელო მოთხოვნას ფაქტობრივად ამყარებდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის გამამართლებელ განჩინებასა და საქმეზე მოწმეთა ჩვენებებზე და მიიჩნევდა, რომ აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სარჩელის დაკმაყოფილების კუთხით.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ზიანის, როგორც სამართლებრივ ცნებაზე მსჯელობისას, უნდა გამოიყოს როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი

გარემოება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებულ ნორმათა საფუძველზე, ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანი, რომელიც გამონვეულია პირის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით. რამდენადაც ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება პირს დაეკისრება ერთდროულად რამდენიმე პირობის არსებობის შემთხვევაში: უნდა არსებობდეს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, დამდგარი ზიანი, მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას შორის, ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძღოდეს ბრალი.

ამდენად, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, იმისათვის, რომ არსებობდეს ზიანის ანაზღაურების წინაპირობები, სახეზე უნდა იყოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (სამინისტროს თანამშრომელთა) მიერ განხორციელებული ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც განაპირობებდა ნ. ა-ის მიმართ ზიანის დადგომას.

პირველ რიგში, სააპელაციო პალატამ მნიშვნელოვნად მიიჩნია მტკიცებულებათა შეფასების თვალსაზრისით, ყურადღება გამამხვილებინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ განმარტებაზე, სადაც სასამართლომ მიუთითა, რომ მტკიცებულებათა შეფასებას სასამართლო ახდენდა ორი თვალსაზრისით: მათი სარწმუნოებისა თუ არასარწმუნოების თვალსაზრისით და, ასევე იმის მიხედვით, თუ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელ ფაქტს ადასტურებდა ესა თუ ის მტკიცებულება. სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასება გულისხმობდა მტკიცებულებათა, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლიობაში შეფასებას, ამასთან, სასამართლო ვალდებული იყო საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება შეეფასებინა მათი შინაარსის და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით.

გარდა ზემოხსენებულისა, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლო ხელმძღვანელობს თავისი შინაგანი რწმენით, რაც გულისხმობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების სრულ და ობიექტურ განხილვას. სააპელაციო პალატამ ასევე მოიხმომო საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომ მტკიცებულებათა შეფასება არა სპონტანური და ინტუიციური, არამედ სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს (სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი) (სუსგ №ას-

279-264-2017, 21.04.2017წ). მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებაზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ, მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, 103-ე მუხლის პირველი ნაწილზე და ყურადღება გაამახვილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის გამამართლებელ განაჩენზე, სადაც აღნიშნულია, რომ „2006 წლის 25 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულმა დანაყოფებმა სრულიად დაიკავეს ...ის ხეობა და ამ დროიდან მოყოლებული, ხეობას ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი ძალოვანი უწყებების თანამშრომლები აკონტროლებდნენ. იმავე დღეს ძალოვანი უწყებების თანამშრომლები შევიდნენ და განთავსდნენ სოფელ ...ში მდებარე ნ. ა-ის საცხოვრებელ სახლში, ხოლო ოჯახის კუთვნილი ნივთები სახლიდან ეზოში გამოიტანეს“.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად ზემოხსენებულ არგუმენტზე მითითება, ვინაიდან ის ეპიზოდი, რომელიც ნ. ა-ის საცხოვრებელი სახლის დაკავებასა და ნივთების ეზოში გამოტანას ეხებოდა, ზოგადად ძალოვანი უწყებების თანამშრომლების ქმედებაზე მიუთითებდა, რაც თავისთავად შეუძლებელს ხდიდა ბრალეული სუბიექტის გამოვლენას. ასეთ პირობებში კი, ზოგადი მითითების საფუძველზე, სასამართლო ვერ განსაზღვრავდა კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოში დასაქმებულ იმ თანამშრომელს, რომელსაც შესაძლოა ჩაედინა მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ის, რომ პირის დარღვეული უფლების აღდგენა ადმინისტრაციულ სამართალში სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ლეგიტიმურ შესაძლებლობას უკავშირდება, ეფუძნება სახელმწიფო მოხელეთა თუ საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივი უფლებამოსილების არასათანადოდ, არაკეთილსინდისიერად, უკანონოდ განხორციელების დადგენილი წესით უტყუარად დადასტურებას. სახელმწიფო სწორედ ასეთი დადასტურებების პირობებშია ვალდებული, თავის თავზე აიღოს საჯარო-სამართლებრივი ქმედებებით გამოწვეულ შედეგებზე პასუხისმგებლობა. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი 2017 წლის

25 ივლისის გამამართლებელი განაჩენით არ დგინდებოდა უშუალოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რომელიმე თანამშრომლის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედების შედეგად ნ. ა-ისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების ფაქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ განაჩენში გამოკვეთილად არ ჩანდა, თუ კონკრეტულად რომელ უწყებას წარმოადგენდნენ ის პირები, რომლებსაც ბლოკირებული ჰქონდათ ნ. ა-ის სახლი.

რაც შეეხებოდა მოწმეთა ჩვენებებს, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, აპელანტი ნ. ა-ი სააპელაციო საჩივრით პრეტენზიას გამოთქვამდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეზე მოწმის სახით დაკითხულ პირთა ჩვენებებთან დაკავშირებით და მიიჩნევდა, რომ სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ს.გ-ის, ლ.გ-ისა და რ.გ-ის ჩვენებები, კერძოდ, ის, რომ მათ ჰქონდათ სამხედრო ნოდებები, შესაბამისად, მათი ჩვენება, რომ კარგად იცნობდნენ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს ჩაცმულობითა და ფორმით, რეალური იყო.

სააპელაციო პალატამ, პირველ რიგში, განმარტა, რომ წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებისგან განსხვავებით, რომლებიც თავისი შინაარსით, ფორმით ან თვისებებით წარმოადგენენ მტკიცებულებას და ამ მხრივ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მიღების ობიექტურ წყაროდ მიიჩნევიან, მოწმის ჩვენება უფრო კრიტიკულად უნდა იქნეს შეფასებული. თითოეული მოწმე ინდივიდია განსხვავებული პიროვნული თვისებებით, მეხსიერებით, აღქმისა და გადმოცემის უნარით, ემოციურობით თუ ინტერესებით, რაც გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ იმახსოვრებს პირი ამა თუ იმ მოვლენას და როგორ გადმოსცემს მას. გასათვალისწინებელია, ასევე, გარემო ფაქტორები და მოწმის პირადი ინტერესი განვითარებული მოვლენებისადმი. მართალია, მოწმე, როგორც წესი, არ არის სამართლებრივი თვალსაზრისით დაინტერესებული პირი, მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ მას ჰქონდეს საქმის გადაწყვეტის შედეგით სხვაგვარი დაინტერესება, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ერთ-ერთ მხარესთან მეგობრული, მტრული ურთიერთობებით, სიმპათიითა და ანტიპათიით, სამსახურებრივი ურთიერთკავშირებით. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ყოველივე აღნიშნული, ცხადია, თავისთავად არ განაპირობებს მოწმის ჩვენების მტკიცებულებითი მნიშვნელობის დაკარგვას, მაგრამ იძლევა მისი კრიტიკული შეფასების საფუძველს (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 11.04.2017 წლის №2ბ/4510-16

განჩინება).

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოწმეთა ჩვენებებთან დაკავშირებით მოსარჩელის პოზიცია და მიიჩნია, რომ მხოლოდ საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებით შეუძლებელი იყო იმ ფაქტის ცალსახად დადასტურება, რომ მოსარჩელისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება თავდაცვის სამინისტროს რომელიმე წარმომადგენლის ქმედებამ გამოიწვია. სააპელაციო პალატამ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმას, რომ მოწმეთა ჩვენებების შეფასება მეტწილად დამოკიდებულია საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებზე, ხოლო მოცემულ შემთხვევაში კი, ერთ-ერთი ძირითადი მტკიცებულება, რაზედაც მოსარჩელე ამყარებდა სასარჩელო მოთხოვნას – გამამართლებელი განაჩენი, სასამართლოს მიერ უარყოფილ იქნა. შესაბამისად, ამ გარემოებამ კიდევ უფრო დაუკარგა მოწმეთა ჩვენებებს ის მტკიცებულებითი ძალა, რასაც შეეძლო არსებითი ზეგავლენა მოეხდინა და საქმეზე სხვაგვარი გადანყვეტილების მიღება გამოენდია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მოწმეთა ჩვენებებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა იგი.

რაც შეეხება სააპელაციო (სასარჩელო) მოთხოვნას მოპასუხეებისათვის მოსარჩელისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

სააპელაციო პალატამ, ასევე, მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. სააპელაციო პალატამ იქვე განმარტა, რომ კანონით ერთმნიშვნელოვნად დადგენილი მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლების გარდა კანონით დაცული სხვა უფლებების შეზღუდვა, მისი დადასტურების შემთხვევაშიც კი, არ წარმო-



შობს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. ამასთან, ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია პირდაპირი ზიანის არსებობის კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა, ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის (იხ. სუსგ საქმე №ბს-648-623(2კ-13), 10.04.2014წ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ხდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისას, რომელიც არ იყო დაკავშირებული საკუთრების უფლების ხელყოფასთან. საკუთრების უფლების ხელყოფა წარმოშობდა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა დავა, აპელანტის მიერ არ ყოფილა მითითებული გარემოებებზე, რომლებიც გააბათილებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს. შესაბამისად, სახეზე არ იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გარემოებები, რისი გათვალისწინებითაც უცვლელად უნდა დარჩენილიყო გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 14 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა ნ. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატა უთითებს, რომ საჭიროა მონმეთა ჩვენებების კრიტიკულად შეფასება. წერილობითი მტკიცებულებების მიხედვით, მონმეები ნამდვილად არიან ძალოვანი უწყების თანამშრომლები და აქვთ სამხედრო ნოდებები. თავად ნ. ა-იც თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელია და

აქვს კაპიტნის წოდება. ყველა მათგანს წლების განმავლობაში ჰქონდა შეხება ჯართან. ისინი უშუალოდ არიან თავდაცვის სამინისტროს ჯარის მებრძოლები.

კასატორის მითითებით, საქართველოს კონსტიტუცია ყველას ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს და მიიღოს ზარალის ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან. დადგენილია ანაზღაურების მასშტაბები – ზარალი უნდა ანაზღაურდეს სრულად. ზიანის ანაზღაურების დაკისრება შესაძლებელია, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. კასატორი მიიჩნევს, რომ ყოველივე აღნიშნული დასტურდება ნ. ა-ის გამამართლებელი განაჩენითა და მოწმეთა ჩვენებებით.

რაც შეეხება საექსპერტო დასკვნას, რომელიც შეეხება ნ. ა-ის ოჯახში არსებული საოჯახო ნივთებისა და სხვა ქონების შეფასებას, კასატორი აღნიშნავს, რომ იგი შედგენილია დამკვეთის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც ამყარებს მოწმეთა ჩვენებები. კერძოდ, ისინი ადასტურებენ, რომ ჩამოთვლილი ნივთები ნამდვილად არსებობდა ნ. ა-ის ოჯახში. ამასთან, კასატორი მიუთითებს, რომ ანალოგებზე მონაცემები მოპოვებულია ინტერნეტითა და გაზეთებით, სადაც არსებული ინფორმაცია სანდოობის მაღალი ხარისხით სარგებლობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. ა-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 30 სექტემბრის განჩინებით ნ. ა-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაიწინა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 14 დეკემბრის განჩინება.

საკასაციო სასამართლო უპირველესად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, წარმოდგენილი სარჩელით ნ. ა-ი

არ ითხოვს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მის საცხოვრებელ სახლში განთავსებით საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის საფასურის, როგორც მატერიალური ზიანის ანაზღაურებას. კერძოდ, სარჩელში იგი გარკვევით მიუთითებს, რომ სახლებთან მიმართებით იგი არაფერს აღნიშნავს და არაფერს ითხოვს. მოსარჩელე ნ. ა-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მის საცხოვრებელ სახლში შეჭრის შედეგად საყოფაცხოვრებო ნივთების დაკარგვითა და განადგურებით მისთვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. მატერიალური ზიანის ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობას მოსარჩელე ამტკიცებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 24 თებერვლის განაჩენზე მითითებით, რომელშიც აღნიშნულ იქნა, რომ ნ. ა-ის მსჯავრდების საქმის შესწავლასთან ერთად, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში მსჯავრდებულის უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტის დასადგენად ჩატარდა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, რომელთა შედეგად მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები, გამოვლინდა ახალი ფაქტები და გარემოებები. სწორედ ასეთ გარემოებად იქნა მითითებული ის ფაქტი, რომ 2006 წლის 25 ივლისს, ძალოვანი უწყებების თანამშრომლები შევიდნენ და განთავსდნენ სოფელ ...ში მდებარე ნ. ა-ის საცხოვრებელ სახლში, ხოლო ოჯახის კუთვნილი ნივთები სახლიდან ეზოში გამოიტანეს. ამასთან, მოსარჩელე ნ. ა-ი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ განაჩენთან ერთად, მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობის მტკიცებას მონმეთა ჩვენებებით ცდილობს.

საკასაციო სასამართლო საგულისხმოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ნ. ა-ის მიერ მატერიალური ზიანის სახით მოთხოვნილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის იმ მოძრავი ქონების ღირებულების დაკისრება, რომელიც, მოსარჩელის მითითებით, მის საცხოვრებელ სახლში ინახებოდა და რომლის დაკარგვაც/მოპარვაც სწორედ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან მის საცხოვრებელ სახლში შეჭრას მოჰყვა შედეგად. საყურადღებოა ისიც, რომ სარჩელში მითითებული თანხის – 129 800 ლარისა და 3000 აშშ დოლარის მოთხოვნა ეფუძნება საექსპერტო დასკვნას, რომელიც, თავის მხრივ, გაანგარიშებულია მოსარჩელის მიერ აუდიტორისათვის (ექსპერტისათვის) მიწოდებული მოძრავი ნივთების ჩამონათვალში (სიაში) დასახელებული ნივთების ღირებულების განსაზღვრისა და საბოლოოდ, ამ ნივთ-

ბის ღირებულებათა დაჯამების საფუძველზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებაზე, კერძოდ, გასაჩივრებულ განჩინებაში სააპელაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის გამამართლებელი განაჩენის იმ ეპიზოდზე, რომელიც შეეხება ძალოვანი უწყებების თანამშრომლების ნ. ა-ის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში შესვლას, მასში განთავსებას და ოჯახის კუთვნილი ნივთების სახლიდან ეზოში გამოტანას. აღნიშნულთან მიმართებით, სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ „ის ეპიზოდი, რომელიც ნ. ა-ის საცხოვრებელი სახლის დაკავებასა და ნივთების ეზოში გამოტანას ეხება, ზოგადად ძალოვანი უწყებების თანამშრომლების ქმედებაზე მიუთითებს, რაც თავისთავად შეუძლებელს ხდის ბრალეული სუბიექტის გამოვლენას. ასეთ პირობებში კი, ზოგადი მითითების საფუძველზე სასამართლო ვერ განსაზღვრავს კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოში დასაქმებულ იმ თანამშრომელს, რომელსაც შესაძლოა ჩაედინა მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება. ის, რომ პირის დარღვეული უფლების აღდგენა, ადმინისტრაციულ სამართალში სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ლეგიტიმურ შესაძლებლობას უკავშირდება, ეფუძნება სახელმწიფო მოხელეთა თუ საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივი უფლებამოსილების არასათანადოდ, არაკეთილსინდისიერად, უკანონოდ განხორციელების დადგენილი წესით უტყუარად დადასტურებას. სახელმწიფო სწორედ ასეთი დადასტურებების პირობებშია ვალდებული თავის თავზე აილოს საჯარო-სამართლებრივი ქმედებებით გამოწვეულ შედეგებზე პასუხისმგებლობა. განსახილველ შემთხვევაში პალატას მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი 2017 წლის 25 ივლისის გამამართლებელი განაჩენით არ დგინდება უშუალოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რომელიმე თანამშრომლის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედების შედეგად ნ. ა-ისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების ფაქტი.“

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ შეფასებას და მის საწინააღმდეგოდ განმარტავს, რომ სახელმწიფოს თუ საჯარო მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის დაკისრება არ არის დამოკიდებული ზიანის მიმყენებელი საჯარო მოსამსახურეების იდენტიფიცირებაზე. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგომის დროს გადამწყვეტი არ არის ქმედების განმახორციელებელი კონკრეტული ინდივიდ(ებ)ის ვინაობის დადგენა. ამასთან, მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, მიცემულ იქნენ თუ არა აღნიშნული პირები სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში.

თუმცა საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლების, აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლისა და 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, არსებითა დასტურდებოდეს უშუალოდ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ზიანის მიყენება და მიზეზობრივი კავშირი ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეულ მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სწორედ ამგვარი მიმართულებით არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 ივნისის №ბს-1031(კ-20) განჩინებით „საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სკ-ის 1005.1 მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას გამორიცხავს სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის არარსებობა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 24.09.2010წ. კანონით სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმდა სსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც მანამდე პრეიუდიციულ ძალას ანიჭებდა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ, კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს ცალკეულ ფაქტთან მიმართებით, ცვლილება განიცადა აგრეთვე სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტმა, რის შედეგადაც სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების შეჩერების სავალდებულო საფუძველს აღარ წარმოადგენს საქმის სისხლის სამართლის წესით განხილვა. ხსენებული ცვლილებებით კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, მოხდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მტკიცებითი სტანდარტების ურთიერთგამიჯვნა. საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოება არაა დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის შედეგებზე პრეიუდიციული ძალით, ისევე როგორც სისხლის სამართალწარმოება – სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმის შედეგზე. ამასთან, პრეიუდიციული ძალის არ ქონა არ გამორიცხავს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მიღებული პროცესუალური აქტების მტკიცებულებად მიღებისა და მათი სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთშეჯერებით შესაბამისი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. სასამართლოს არ ერთმევა უფლებამოსილება იმსჯელოს განაჩენზე, მისი არსებობის შემთხვევაში, როგორც წერილობით მტკიცებულებაზე და გაიზიაროს ან არ გაიზიაროს მასში ასახული ფაქტობრივი გარემოებები (სუსგ №ბს-144-141(2კ-14), 22.01.2015წ.). ამდენად, არ არის სრულიად გამო-

რიცხული სისხლის სამართლის საქმის შედეგის განსხვავება ადმინისტრაციული საქმის შედეგისგან და პირიქით. სხვაობა შესაძლოა ახსნილ იქნას სამართლის შესაბამისი დარგით მონესრიგებული პასუხისმგებლობის სხვადასხვაგვარი მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობებით (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.07.2018წ. გადაწყვეტილება საქმეზე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Sarishvili-Bolkvadze v Georgia), no. 58240/08, §87). სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობები უკავშირდება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გამო ინდივიდის დასჯას, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივის – დელიქტური სამართალურთიერთობის მონაწილე ორგანოს მიერ ზიანის მიყენებით ხელყოფილი უფლების აღდგენას. პასუხისმგებლობის წინაპირობების სხვაობა შედეგად იწვევს მტკიცების სტანდარტების სხვადასხვა საფეხურის გამოყენებას სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე. ამდენად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან დამოუკიდებლად მოწმდება სკ-ის 1005.1 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობების არსებობა.

მართალია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ, კანონიერ ძალაში მყოფ განაჩენს ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას, სსკ-ის XXXIV<sup>3</sup> თავის მიხედვით, შეუძლია გამოიწვიოს საქმის გამარტივებული წესით განხილვა, თუმცა ასეთის არ არსებობა არ ნიშნავს სარჩელის აღძვრის შეუძლებლობას, ასეთი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსათუოდ უარის თქმას. სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენი, გარემოების მტკიცების თვალსაზრისით, სარჩელის განხილვის წესის გამარტივების საფუძველია. განაჩენის არარსებობა იწვევს მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის საერთო წესით განხილვას და არა მის დაკმაყოფილებაზე უპირობო უარის თქმას. სარჩელი, როგორც უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო დაცვის საშუალება, სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტურ კატეგორიათა რიცხვს მიეკუთვნება. სარჩელი მოიცავს როგორც პროცესუალურ ელემენტს (სასამართლოსადმი მიმართვის უფლება), ისე მატერიალურ-სამართლებრივს (სარჩელის წარმდგენი პირის უფლება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე). სარჩელის წარდგენის უფლება არის სასამართლოსათვის მიმართვის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის ფორმა. სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება ფორმალურად სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას გულისხმობს, ხოლო შინაარსობრივად ყოვლისმომცველ სამართლებრივ დაცვას უზ-

რუნველყოფს, რაც ნიშნავს საჯარო ხელისუფლების ყველა მოქმედების თუ გადანაცვების სამართლებრივი შემომწების შეადგენლობას.“

ამავე განჩინებით საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „სკ-ის 1005.1 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელია ორგანოს სახელწოდებით მოქმედი იმ ფიზიკური პირის იდენტიფიცირება, რომლის ქმედებამაც გამოიწვია ზიანი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სკ-ის 1005.1 მუხლით მონესრიგებულ დელიქტურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობები გამომდინარეობენ საქართველოს კონსტიტუციის 18.4 და სზაკ-ის 208-ე მუხლებიდან. საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. სზაკ-ის 208.2 მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი. მითითებული ნორმები ორიენტირებული არიან ქმედების განმახორციელებელი ორგანოს და არა ინდივიდის პასუხისმგებლობაზე. ორგანიზაციაზე (სახელმწიფოზე) ორიენტირებული პასუხისმგებლობის დროს ზიანის გამომწვევი ქმედების ორგანოსთვის შესარაცხად აუცილებელი არაა ქმედების განმახორციელებელი კონკრეტული ინდივიდის ან ინდივიდების ვინაობის დადგენა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მოქალაქე სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფება რთული სტრუქტურული აგებულების მქონე ორგანოსთან, შესაბამისად ანგარიშგასაწევია ორგანიზაციის გარეთ მყოფი პირის გაურკვევლობა დანესებულების სამუშაო და ფუნქციონირების საკითხებში. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს ზიანის წარმომშობი საქმიანობის განმახორციელებელი კონკრეტული ფიზიკური პირის ვინაობის დადგენის საჭიროება სზაკ-ის 208-ე, სკ-ის 1005.1 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის, თუმცა უნდა დასტურდებოდეს ორგანოს მონაწილეობა დელიქტურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში.“

ამდენად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს

უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგომისათვის უშუალოდ ზიანის მიმყენებელ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობის დადგენის საჭიროების არარსებობას. სააპელაციო სასამართლოს მიერ სარჩელის უარყოფის საფუძველად განვითარებული მსჯელობა კი ეწინააღმდეგება ზემოთ მოხმობილ განმარტებებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით კი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოხელის ქმედება, რომელმაც ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურებრივი მოვალეობიდან და უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული, რაც გამოიხატება პირის შეგნებულ, მიზანმიმართულ უმოქმედობაში ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ანუ პირი შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგომას და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს მის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, არსებითია დადასტურდეს ქმედების უკანონობა, ხოლო ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრე-



ბას უკავშირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი (სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის), რომლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს. მითითებული დანაწესით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების პრინციპი 992-ე მუხლის ზოგადი დანაწესიდან გამომდინარეობს და მოიაზრებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესაძლებლობას მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობის პირობებში, ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენით. გარდა ამისა, ზიანის გამომწვევი ქმედება კავშირში უნდა იყოს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან და ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების ჩამდენ პირზე, არამედ ფუნქციაზე, რომლის შესრულებასაც შეიძლება ემსახურებოდეს სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სარჩელის საფუძვლიანობის მტკიცება საჭიროებს მოსარჩელის მხრიდან არა მხოლოდ იმ გარემოების დადასტურებას, რომ სწორედ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები შეიჭრნენ მის საცხოვრებელ სახლში, არამედ, ასევე, უშუალოდ იმის დადგენას, თუ რამდენად დასტურდება საქმესთან დაკავშირებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით კონკრეტულად ზიანის ოდენობის დადგენის მიზნით ჩამოთვლილი მოძრავი ნივთების დაკარგვა, განადგურება თუ მოპარვა. ამ კუთხით, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ რამდენადაც განსახილველი დავის ერთი ნაწილი მატერიალური ზიანის ანაზღაურებას შეეხება, არსებითია განისაზღვროს, საქმეში დაცული მტკიცებულებები უტყუარად ადასტურებს თუ არა იმ ფაქტს, რომ ნ. ა-ის საცხოვრებელ ბინაში სწორედ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების შეჭრამ განაპირობა იმ მოძრავი ქონების სრულად დაკარგვა, რომლის ჯამური ღირებულებაც გაანგარიშებულ იქნა „ნ. ა-ის ოჯახში არსებული საოჯახო ნივთების და სხვა ქონების

შეფასებაზე“ №063 ექსპერტის დასკვნით საბოლოოდ მოსათხოვი თანხის ოდენობის დადგენის მიზნით. ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო დგას ორი გარემოების შეფასების საჭიროების წინაშე, კერძოდ, საქმეში არსებული მტკიცებულებებით: 1. რამდენად დასტურდება ნივთების მოპარვისა თუ დაკარგვის ფაქტი; 2. საქმეში დაცულ მტკიცებულებათა ერთობლიობა რამდენად ვარგისია იმის დასადასტურებლად, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების ნ. ა-ის საცხოვრებელ სახლში შეჭრას შედეგად მოჰყვა ყველა იმ მოძრავი ნივთის დაკარგვა, რომლის საერთო საბაზრო ღირებულებაც №063 ექსპერტის დასკვნით იქნა გაანგარიშებული.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნივთების დაკარგვის ფაქტს მოსარჩელე ადასტურებს მხოლოდ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის გამამართლებელ განაჩენსა და მონმეთა ჩვენებებზე მითითებით. საკასაციო სასამართლო უპირველესად მიუთითებს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ განაჩენში, მართალია, საუბარია ნ. ა-ის საცხოვრებელ სახლში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების შეჭრასა და სახლში არსებული საყოფაცხოვრებო ნივთების ეზოში გამოტანაზე, თუმცა არც განაჩენსა და არც საქმეში წარმოდგენილ გამოძიების მასალებში არ არის იდენტიფიცირებული, თუ კონკრეტულად რა ნივთები იქნა ეზოში გამოტანილი. ამასთან, განაჩენში ცხადად არის აღნიშნული, რომ საცხოვრებელ სახლში ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული პირების შეჭრის მომდევნო დღეს, ნ. ა-ი საქმეზე დაკითხულ ერთერთ მონმესთან – რ.გ-თან ერთად მივიდა თავის საცხოვრებელ სახლთან, თუმცა მისი სახლი უკვე დაკავებული ჰქონდათ შეიარაღებულ პირებს და მათ არ მისცეს სახლში შესვლის უფლება. მიუხედავად აღნიშნულისა, ნ. ა-ის მოძრავი ქონების საცხოვრებელი სახლიდან ეზოში გამოტანის ფაქტის დადასტურებულად მიჩნევის პირობებშიც კი, ვერც განაჩენით დადგენილი ფაქტებით და მასში განვითარებული მსჯელობით და ვერც საქმეში არსებული რომელიმე მტკიცებულებით ხდება შესაძლებელი იმის უტყუარად დადგენა, რომ ნ. ა-ს საკუთარ საცხოვრებელ სახლში მისვლის მომენტში შეიარაღებულმა პირებმა არ მისცეს ეზოში გამოტანილი მოძრავი ნივთების დაუფლების შესაძლებლობა.

რაც შეეხება მონმეთა ჩვენებებს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მონმის ჩვენება წარმოადგენს ვერბალურ, სუბიექტური ხასიათის მტკიცებულებას. მონმის ჩვენება ასახავს მონმის სუბიექტური თვალით დანახულ რეალობას, რომლის ნამდვილობა დამოკიდებულია მის მახსოვრობისა თუ გადმოცემის უნარზე, აგრეთ-

ვე, სხვა პიროვნულ მახასიათებლებზე. მოწმის ჩვენების ნამდვილობისა და სანდოობის ხარისხზე ზემოქმედებს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორცაა მოწმის მიერ დანახული ინფორმაციის მოცულობა, ასევე დროის ის ინტერვალი, რომელიც მოვლენის დადგომიდან ინფორმაციის გადმოცემამდე არის გასული. ცხადია, დროის სვლასთან ერთად, უმეტეს შემთხვევაში, ბუნებრივად სუსტდება მოწმის მხრიდან მომხდარი სურათის აღდგენის შესაძლებლობა, რაც წარმოშობს მოწმის ჩვენების მიმართ მკაცრი შეფასებითი სტანდარტის გამოყენების საჭიროებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამდენად, სასამართლო არ არის შეზღუდული შეაფასოს კონკრეტულ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულების მტკიცებითი ძალა, მეტიც, აღნიშნული სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, დაკარგული, განადგურებული თუ მოპარული მოძრავი ქონების იდენტიფიცირებას ახდენს მხოლოდ თავად მოსარჩელე ნ. ა-ი სარჩელში მითითებული და სასამართლო სხდომებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით, ასევე, საექსპერტო დასკვნის შედგენისათვის გამოყენებული მოძრავი ქონების ნუსხა (რომელიც პრაქტიკულად ნ. ა-ის კარნახით არის შედგენილი, რაც დასტურდება პირველი ინსტანციის სასამართლოში გამართულ სხდომაზე დასკვნის ავტორის დაკითხვით, რომელმაც განმარტა, რომ შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, კერძოდ, მან მიაწოდა ინფორმაცია ნივთების ჩამონათვალის, მათი შექმნის პერიოდის და შექმნისას ნივთების ფასის შესახებ). რაც შეეხებათ საქმეზე დაკითხულ მოწმეებს და მათ ჩვენებებს, ისინი ადასტურებენ, რომ ნ. ა-ი ნამდვილად ფლობდა იმ მოძრავ ქონებას, რომელიც საექსპერტო დასკვნაზე თანდართულ ჩამონათვალში არის მითითებული.

საკასაციო სასამართლო არასაკმარისად თვლის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან კასატორისათვის მატერიალური ზიანის მიყენების, კერძოდ, ზემოხსენებულ ჩამონათვალში დასახელებული ნივთების დაკარგვის, განადგურე-

ბისა თუ მოპარვის ფაქტის დადასტურებულად მიჩნევისათვის თავად ნ. ა-ის ერთპიროვნულ ახსნა-განმარტებას და საექსპერტო დასკვნაში მოძრავი ქონების ჩამოთვლას, ასევე, მონმეთა ჩვენებებს. ჩამონათვალში დასახელებული თითოეული ნივთის დაკარგვა ვერ იქნება დადასტურებული მონმეთა ჩვენებებით, რომლებიც, თავის მხრივ, ეფუძნება ნ. ა-ის მიერ შედგენილ მოძრავი ნივთების ნუსხას. მონმეთა ჩვენებების სანდოობას, მათ მტკიცებულებით ძალას კიდევ უფრო მეტად ასუსტებს სარჩელზე თანდართული ე.წ. „დამადასტურებელი აქტი“, რომლითაც მონმეები – ლ. გ-ი, ნ. გ-ი, ს. გ-ი და ლ. ა-ი დეტალურად, თითოეული ტიპის მოძრავი ნივთის რაოდენობის, მათი ზუსტი მახასიათებლებისა და საბაზრო ღირებულების მითითებით ადასტურებენ ნ. ა-ის დაკავებამდე მის საცხოვრებელ სახლში კონკრეტული ნივთების არსებობის ფაქტს. საკასაციო სასამართლოსათვის ძნელად წარმოსადგენია, მონმეებს 2017 წლის მდგომარეობით (ნ. ა-ის დაკავებიდან 10 წელზე მეტი დროის გასვლის შემდგომ), მრავალი საყოფაცხოვრებო ნივთის ზუსტი აღწერილობისა და რაოდენობის მითითებით დეტალურად ახსოვდეთ, კონკრეტულად რომელი ნივთები იყო განთავსებული ნ. ა-ის საცხოვრებელ სახლში, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან ეზოში იქნა გამოტანილი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს საილუსტრაციოდ ყურადღება გაამახვილოს უშუალოდ იმ ჩამონათვალზე, რომელსაც დაეფუძნა საექსპერტო დასკვნა. მაგალითად, მოძრავ ნივთთა ნუსხაში შეტანილია ისეთი ნივთები, როგორიცაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (9 ძროხა) და ცხენი. საკასაციო სასამართლოსთვის ძნელად წარმოსადგენია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების ნ. ა-ის საცხოვრებელ სახლში 3 დღით განთავსებას როგორ შეიძლებოდა გამოეწვია დასახელებული ქონების განადგურება, ხოლო მათი მხრიდან ნივთების შეგნებულად დაზიანება-განადგურება საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება. საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ მოძრავი ქონების ზუსტ იდენტიფიცირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზიანის ოდენობის განსაზღვრის კუთხით. მაგალითისათვის, საექსპერტო დასკვნაში მოცემულ მოძრავ ნივთთა ჩამონათვალში მითითებულია არაბული ჯიშის ცხენი, რომლის ღირებულება შეფასებულია 9 000 ლარად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ცხენის ჯიში მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ცხენის ღირებულებაზე, თუმცა ის ფაქტი, რომ ნ. ა-ის კუთვნილი ცხენი ნამდვილად არაბული ჯიშის იყო, მონმეთა ჩვენებებთან ერთობლიობაშიც კი ვერ იქნება დადასტურებული მარტოოდენ ნ. ა-

ის განმარტებით.

რაც შეეხება მოსარჩელის მიერ ძვირფასეულობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან მოპარვის თაობაზე მითითებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელის საფუძვლიანობის მტკიცების მიზნით დასახელებული გარემოებები ქმნის ქურდობის სამართლებრივ შემადგენლობას, რომელიც არ არის დადასტურებული კანონით დადგენილი წესით, ამასთან, საქმეში არ არის წარმოდგენილი სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა ნ. ა-ის საცხოვრებელ სახლში ძვირფასი ნივთების არსებობისა და მისი მოპარვის ფაქტს. თავის მხრივ, აღნიშნული გარემოება ვერ იქნება დადასტურებული მარტოოდენ მოსარჩელის ახსნა-განმარტებითა და მითითებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის საფუძვლიანობის მტკიცებისათვის არ კმარა მხოლოდ დამდგარი სამართლებრივი შედეგის – ზიანის მიყენების ფაქტის ან/და განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღწერა. არსებითია, ამგვარ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობის მტკიცება, კერძოდ, ზიანის მიყენება უნდა წარმოადგენდეს განხორციელებული ქმედების უშუალო და გარდაუვალ შედეგს. მოცემულ შემთხვევაში, იმ ფაქტის დადასტურებულად მიჩნევა, რომ სწორედ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები განთავსდნენ ნ. ა-ის საცხოვრებელ სახლში, არ არის საკმარისი მატერიალური ზიანის მიყენების დადასტურებისათვის, რამდენადაც არსებითი იყო დადგენილი იის გარემოება, რომ ჩამოთვლილი ნივთების განადგურება სწორედ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების სახლში განთავსებას მოჰყვა შედეგად და აღნიშნული არ ყოფილა გამონეული რაიმე სხვა მიზეზით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ ვერ იქნა დაძლეული ხსენებული გარემოების მტკიცების ტვირთი. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს საყოველთაოდ ცნობილ იმ ფაქტობრივ გარემოებაზეც, რომ ნ. ა-ის დაკავებიდან მალევე, ნ. ა-ის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, 2008 წლის აგვისტოში ...ის ხეობა საქართველოსა და რუსეთს შორის მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს დაიკარგა, რასაც შედეგად მოჰყვა ...ის ხეობაში მცხოვრები არაერთი პირის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების დაკარგვა-განადგურება. მიუხედავად აღნიშნულისა, კასატორი ვერ ადასტურებს, რომ მისი კუთვნილი მოძრავი ქონების (საყოფაცხოვრებო ნივთების) განადგურება უშუალოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების ბრალე-

ული და მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგს წარმოადგენდა და ამ ქონების დაკარგვას ადგილი არ ჰქონია ...ის ხეობის დაკარგვის შემდგომ. ყოველივე ზემოაღნიშნული კი მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს ქმნის.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას საცხოვრებელი სახლის დაკავებით და მოძრავი ნივთების დაკარგვით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, საკასაციო პალატა განმეორებით აღნიშნავს, რომ მოსარჩელე ნ. ა-ი არ ითხოვს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მის საცხოვრებელ სახლში განთავსებით საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის საფასურის, როგორც მატერიალური ზიანის ანაზღაურებას. კერძოდ, სარჩელში იგი გარკვევით მიუთითებს, რომ სახლებთან მიმართებით იგი არაფერს ითხოვს. იგი მოითხოვს იმ არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მან სამინისტროს თანამშრომლების მის საცხოვრებელ სახლში შეჭრით და მოძრავი ქონების დაკარგვით განიცადა.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლზე, რომლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლებით კანონმდებელმა იმთავითვე შეზღუდა მიყენებული არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების შემთხვევების უსაფუძვლო გაფართოვების შესაძლებლობა. მიუხედავად აღნიშნულისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სასამართლო პრაქტიკით ერთმნიშვნელოვნად განიმარტა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევის კანონით გაუთვალისწინებლობით დაზარალებულ პირს არ უნდა წაერთვას შესაძლებლობა, სასამართლოს გზით მოითხოვოს და მიიღოს კომპენსირება განცდილი არაქონებრივი ზიანის სანაც-

ვლოდ (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“, CASE OF SARISHVILI-BOLKVAZDE v. GEORGIA (საჩივარი №58240/08)). ამდენად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კონტექსტში სასამართლო უნდა აფასებდეს შელახული სიკეთის ხასიათს, უფლების დარღვევით სულიერი თუ ფსიქიკური ტანჯვის მიყენების ობიექტურ შესაძლებლობას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წინაპირობას ქმნის არა ნებისმიერი სიკეთის ხელყოფით ზიანის მიყენება, არამედ მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომლის შედეგადაც ადამიანის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ადგილი აქვს ადამიანის სულიერ თუ ფსიქიკურ ტანჯვას, რადროსაც მიყენებული ზიანის ოდენობის ზუსტი ექვივალენტით განსაზღვრა შეუძლებელია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მოთხოვნილია მის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების დაკარგვისათვის. შესაბამისად, მორალური ზიანის მოთხოვნა ეფუძნება საკუთრების უფლების შელახვას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკუთრების უფლების დარღვევა წარმოშობს მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, რამდენადაც მას გააჩნია ფულადი ექვივალენტი და ასეთ დროს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა დასაშვებია მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების გზით. როგორც უკვე აღინიშნა, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წინაპირობას ქმნის არა ნებისმიერ შემთხვევაში მიყენებული სულიერი ტანჯვა, არამედ მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როდესაც განხორციელებული ქმედება ობიექტურად იწვევს ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობის შელახვას. მართალია, საკუთრების უფლების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს პირის ფსიქოემოციური მდგომარეობის გაუარესება, თუმცა ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლის დროს მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის დაშვების შემთხვევაში, დასაშვებად უნდა მიჩნეულიყო ნებისმიერი ქონებრივი ვალდებულების დარღვევისას განცდილი სულიერი ტანჯვის მორალური კომპენსირება, რაც ყოველად დაუშვებელია. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ნ. ა-ი ვერ ადასტურებს უშუალოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მის საცხოვრებელ სახლში განთავსებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დაკარგვის გამო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შელახვას.

საკასაციო სასამართლო ასევე დამატებით აღნიშნავს, რომ რო-

გორც საქმის მასალებით არის დადგენილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს მთავარ პროკურატურას დაეკისრა ნ. ა-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება 50 000 (ორმოცათი ათასი) ლარის ოდენობით და მატერიალური ზიანის ანაზღაურება 29 265 (ოცდაცხრა ათას ორას სამოცდახუთი) ლარის ოდენობით. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. შესაბამისად, ნ. ა-ს აუნაზღაურდა ის არაქონებრივი ზიანი, რომელიც მას უკანონო მსჯავრდების შედეგად მიადგა. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს მორალური ზიანის მოთხოვნის ნაწილში ნ. ა-ის სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 14 დეკემბრის განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 14 დეკემბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



# აღმასრულებლის მიერ მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების კანონიერება

## განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-109(კ-21)

20 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „დ...ს“ დირექტორმა 2016 წლის 27 დეკემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და სასარჩელო მოთხოვნათა და მოპასუხეთა წრის დაზუსტების შედეგად, მოპასუხეებისთვის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის მოსარჩელის სასარგებლოდ 2 064 506,50 (ორი მილიონ სამოცდაოთხი ათას ხუთას ექვსი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

სარჩელის მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 ნოემბრის განაჩენით დამტკიცდა ბრალდებულ გ. ქ-სა და პროკურორ დ. ჩ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება; აღმასრულებელი – გ. ქ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 333.1 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის და 4 თვის ვადით, მასვე 6 თვით ჩამოერთვა დანიშნებითი თანამდებობის დაკავების უფლება სახელმწიფო სამსახურში; დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით. განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებული – გ. ქ-ი მუშაობდა აღსრულების ეროვნულ ბიუროში აღმასრულებლის თანამდებობაზე. მან 2006 წლის 4 აპრილს წარმოებაში მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი, რომლის მიხედვით, კრედიტორს წარმოადგენდა სს „ს...“, ხოლო მოვალეს – თ. კ-ი. სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების თა-

ნახმად, მხარეთა შორის შეთანხმების საგანს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავა, რომელიც ეხებოდა 2004 წლის 1 ივლისის №010704/04, 2004 წლის 13 ივლისის №130704/02, 2004 წლის 16 აგვისტოს №... და 2004 წლის 17 სექტემბრის №170904/01 საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავალიანების – 1 031 469.16 ლარისა და ბანკის მიერ გადახდილი ბაჟის – 5000 ლარის დაფარვას. კერძოდ, თ. კ-მა აიღო ვალდებულება, ბანკთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით დაეფარა დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებდა უფლებას, მოეთხოვა იძულებითი აღსრულება 1 031 469.16 ლარზე. ამავე განაჩენის თანახმად, თ. კ-მა ვერ შეასრულა მორიგების პირობები, რის გამოც, სს „ს...სადმი“ არსებული საკრედიტო დავალიანების ამოღების მიზნით, აღმასრულებელმა – გ. ქ-მა დაიწყო იძულებითი აღსრულება. აღსრულების პროცესში მან გადაამეტა მის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, კერძოდ, 2006 წლის 14 ნოემბერს გამართულ იძულებით აუქციონზე სს „ს...ს“ დავალიანების ამოღება განახორციელა მხოლოდ შპს „დ...ს“ უძრავი ქონებით (ქალაქ თბილისში, ...ზე №...-...-ში მდებარე 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით, ფართობით – 297.70 კვ.მ.), რომლითაც უზრუნველყოფილი იყო 2004 წლის 16 აგვისტოს №... ხელშეკრულება, აღმასრულებლის ქმედებამ შპს „დ...სა“ და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

დასახელებულ გარემოებებზე მითითებით, მოსარჩელემ მოითხოვა ზიანის ანაზღაურება, რაც მისი მოსაზრებით, სახელმწიფოს მიერ აღიარებული ლარის ინფლაციის გათვალისწინებით, შეადგენდა 2 064 506.50 ლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 9 თებერვლის საოქმო განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და გ. ქ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „დ...ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 475 518.54 ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში შპს „დ...ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

**პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

– სს „ს...სა“ და თ. კ-ს შორის 2004 წელს გაფორმდა რამდენიმე

საკრედიტო ხელშეკრულება, რომელთაგან ერთ-ერთი უზრუნველყოფილი იყო შპს „დ...ს“ კუთვნილ უძრავ ნივთზე რეგისტრირებული იპოთეკით. კერძოდ, 2004 წლის 16 აგვისტოს გაფორმებული №... საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, კრედიტის ოდენობად განისაზღვრა 34 8175 ლარი, წლიური საპროცენტო სარგებელი კი შეადგენდა 24%-ს. აღნიშნული ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად იმავე დღეს გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება და იპოთეკით დაიჭირთა შპს „დ...ს“ კუთვნილი მიწის ნაკვეთი (ფართობი 2000 კვ.მ.) მასზე მდგარი შენობა-ნაგებობებით (ფართობი 279.7 კვ.მ.). დასახელებული ხელშეკრულების მე-7 პუნქტის შესაბამისად, განისაზღვრა, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაცია განხორციელდებოდა სასარჩელო წარმოების გზით მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, იპოთეკის საგნის იძულებით აუქციონზე გაყიდვით, რომლის ჩატარების პირობები განსაზღვრულია „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. იპოთეკის საგნის იძულებით აუქციონზე გაყიდვის შემთხვევაში მიღებული თანხიდან გამოიქვითებოდა აუქციონის ჩატარების ხარჯები, შემდეგ დაიფარებოდა ბანკის მოთხოვნა, ხოლო ნაშთი (თუ ასეთი იქნებოდა) გადაეცემოდა მესაკუთრეს;

– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 29 დეკემბრის განჩინებით დამტკიცდა მორიგება სს „ს...სა“ და თ. კ-ს შორის. მორიგების თანახმად, მხარეთა შორის შეთანხმების საგანს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავა, რომელიც ეხებოდა 2004 წლის 1 ივლისის №010704/04, 2004 წლის 13 ივლისის №130704/02, 2004 წლის 16 აგვისტოს №... და 2004 წლის 17 სექტემბრის №170904/01 საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავალიანების – 1 031 469.16 ლარისა და ბანკის მიერ გადახდილი ბაჟის – 5000 ლარის დაფარვას. კერძოდ, თ. კ-მა აიღო ვალდებულება, ბანკთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით დაეფარა დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებდა უფლებას, მოეთხოვა იძულებითი აღსრულება 1 031 469.16 ლარზე. ამავე განჩინებაზე 2006 წლის 29 მარტს გაიცა სააღსრულებო ფურცელი;

– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 29 მარტის სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლოს აღმასრულებელმა – გ. ქ-მა 2006 წლის 18 მაისის წერილით, შპს „დ...ს“ სახელზე რიცხულ შენობა-ნაგებობებსა (297.70 კვ.მ.) და მიწის ნაკვეთზე (2000 კვ.მ.) ყადაღის დადება მოითხოვა, რომელზეც შედგა 2006 წლის 15 მაისის დაყადაღების აქტი. აღმასრულებელმა ასევე წერილით მიმართა შპს „კ...ს“ შპს „დ...ს“ იპოთეკით დატვირთული

უძრავი ქონების შეფასების მოთხოვნით;

– შპს „კ...ის“ 2006 წლის 11 ივლისის №04/07 აუდიტორული დასკვნის თანახმად, უძრავი ქონების (მის.: ქალაქი თბილისი, ...ს №...-..., მიწის ნაკვეთი, ფართობით – 2000 კვ.მ., შენობა-ნაგებობები, ფართობით – 297.70 კვ.მ) საბაზრო ფასი, მისი შეფასების მომენტისათვის, ადგილმდებარეობისა და ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეადგენდა სულ 1 035 770 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, მათ შორის, 1702.3 კვ.მ მიწის ფართობი – 851150 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში; 297.70 კვ.მ შენობა-ნაგებობების, მის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად – 178620 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში; ეზოში არსებული ნარგავები – 6000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში;

– შპს „დ...ს“ იზოთეკით დატვირთულ ქონებაზე ჩატარდა პირველი აუქციონი, რომელიც დახურულად გამოცხადდა დამსწრე პირებიდან შეთავაზების არქონის გამო. განმეორებით იძულებით აუქციონზე კი, უძრავი ქონება შეიძინა სს „ს...მა“. თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლის – გ. ქ-ის 2006 წლის 15 ნოემბრის №01/08-443 განკარგულებით, შპს „დ...ს“ სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების (მის.: ქ. თბილისი, ... – №...-...) მესაკუთრე იძულებით საჯარო აუქციონზე გახდა სს „ს...“ – 967960 ლარად;

– უძრავი ქონება (ს/კ ...) 2007 წლის 18 ივნისის №1-8987 ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე დარეგისტრირდა შპს „დ...ის“ საკუთრებად; 2008 წლის 13 სექტემბრის №1-7144 უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით – გ. გ-ის საკუთრებად, ხოლო 2014 წლის 8 ივლისის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე – გ. რ-ას საკუთრებად; 2014 წლის 21 ივლისის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე კი – ი. კ-ის საკუთრებად;

– აღსანიშნავია, რომ „სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ“ 2008 წლის 19 დეკემბრის დადგენილებით, ქალაქ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორმა – ზ. გ-ამ განიხილა სისხლი სამართლის საქმე №... საქმე – სასამართლო აღმასრულებელ გ. ქ-ის მიერ სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით. შპს „დ...ს“ ქონების მითვისების ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გამოძიება შეწყდა, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, რადგან სააღსრულებო წარმოებისას არ დადასტურდა გ. ქ-ის მხრიდან სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენის ფაქტი.

– შპს „დ...მ“ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2006 წლის 14 ნოემბრის განმეორებით იძულებითი აუქციონის ოქმისა და 2006 წლის 15 ნოემბრის №01/08-443 განკარგულების ბათილად ცნობა მათი ძალაში შესვლის დღიდან და თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტები კანონიერი იყო და არ არსებობდა მათი ბათილად ცნობის საფუძველი. ამასთან მიუთითა, რომ აღნიშნული აქტების ბათილად ცნობის შემთხვევაშიც კი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელი იქნებოდა, რადგან აუქციონზე რეალიზებული ქონება შემდგომში კიდევ ორჯერ გასხვისდა და საქმის განხილვის პერიოდში მისი მესაკუთრე იყო მესამე პირი – გ. გ-ი. ამასთან, მოსარჩელეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სადავოდ არ გაუხდია შპს „დ...სა“ და გ. გ-ის უფლების დამდგენი დოკუმენტი. აღნიშნული გადაწყვეტილება შპს „დ...ს“ მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 სექტემბრის განჩინებით, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული;

– შპს „დ...ს“ დირექტორის განცხადების საფუძველზე, „შენყვეტილ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების განახლების შესახებ“ 2014 წლის 22 სექტემბრის დადგენილების თანახმად, განახლდა სისხლის სამართლის საქმის გამოძიება; „პირის ბრალდების შესახებ“ 2015 წლის 19 ნოემბრის დადგენილების თანახმად, გ. ქ-ი ცნობილ იქნა ბრალდებულად; 2015 წლის 26 ნოემბრის ბრალდებულის დაკითხვის ოქმის თანახმად, გ. ქ-მა წარდგენილ ბრალდებაში თავი სრულად ცნო დამნაშავედ. ჩვენების მიხედვით, აღსრულების პროცესში, 2006 წლის 14 ნოემბერს გ. ქ-ის მიერ ჩაინიშნა განმეორებითი იძულებითი აუქციონი, რომელზეც სს „ს...ს“ წერილობითი მიმართვისა და მოთხოვნის საფუძველზე, გ. ქ-მა განახორციელა მათ მიმართ წარმოშობილი დავალიანების ამოღება მხოლოდ 2004 წლის 16 აგვისტოს №... ხელშეკრულების ფარგლებში, შპს „დ...ს“ უძრავი ქონებით. შედეგად აუქციონზე გაიყიდა მხოლოდ შპს-ს ქონება, ხოლო ვინაიდან კრედიტორის მოთხოვნა ამით სრულად დაკმაყოფილდა, აღარ მომხდარა დანარჩენი ქონების რეალიზაცია. ჩვენების თანახმად, გ. ქ-მა მიუთითა, რომ სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, სესხის უზრუნველყოფის საგანს წარმოად-

გენდა 5 სხვადასხვა ხელშეკრულება და შესაბამისად, მათი უზრუნველყოფის საგანებიც სხვადასხვა იყო. აღნიშნულის გათვალისწინებით, თითოეული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ქონების რეალიზაცია უნდა მომხდარიყო კონკრეტული ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი დავალიანების რაოდენობის შესაბამისად, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სს „ს...ს“ წარმომადგენელმა წერილობით მოითხოვა დავალიანების ამოღება მხოლოდ 2004 წლის 16 აგვისტოს №... ხელშეკრულების ფარგლებში შპს „დ...ს“ უძრავი ქონებით, გ. ქ-ის მიერ მოხდა აღნიშნული ბანკისთვის უპირატესობის მინიჭება და მათ მიერ მითითებული, სწორედ ამ ქონების რეალიზაცია აუქციონის გზით, რითაც, აღიარა, რომ გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას. აღნიშნული ქმედებით კი, უპირატესობა მიენიჭა სს „ს...ს“, რითაც დაირღვა შპს „დ...ს“ ქონებრივი ინტერესები;

– „დაზარალებულად ცნობის შესახებ“ 2015 წლის 26 ნოემბრის დადგენილების თანახმად დასტურდება, რომ შპს „დ...ს“ კუთვნილი ქონების დაკარგვა გამოინვია აღმასრულებელ გ. ქ-ის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებამ. აღმასრულებელ გ. ქ-ის ქმედების შედეგად გ.დ-ას მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი 1373834 ლარის ოდენობით. შესაბამისად, აღნიშნული დადგენილებით დაზარალებულად იქნა ცნობილი გ. დ-ა;

– თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 ნოემბრის განაჩენით დაკმაყოფილდა ქალაქ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორის შუამდგომლობა; დამტკიცდა ბრალდებულ გ. ქ-სა და პროკურორ დ. ჩ-ს შორის 2015 წლის 25 ნოემბერს დადებული საპროცესო შეთანხმება; გ. ქ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლისა და ოთხი თვის ვადით, რაც 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემცირდა ერთი მეოთხედით და საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა ორი წელი; მასვე ექვსი თვის ვადით ჩამოერთვა დანიშვნით თანამდებობის დაკავების უფლება სახელმწიფო სამსახურში; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით 42-ე მუხლის საფუძველზე, გ. ქ-ს დამატებით სასჯელის სახედ და ზომად

განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას მოითხოვდა ორი მიმართულებით, ერთი მხრივ, როგორც განაჩენით დადასტურებული დანაშაულის ჩადენის შედეგად მიყენებული ზიანისა და მეორე მხრივ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლით, კერძოდ, დავის ფარგლებში უნდა დადგენილიყო ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედება. სასამართლომ მიუთითა, რომ მოთხოვნა თავისი არსით მოიცავს როგორც დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ისე – ზოგადი საფუძვლებით, ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას და მიუთითა, რომ დანაშაულით მიყენებული ზიანის მტკიცების ნაწილში სასამართლო იყენებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV<sup>3</sup> თავით დადგენილ წესებს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ როგორც მორიგების დამტკიცების შესახებ სასამართლო განჩინებაში, ისე სააღსრულებო ფურცელში შპს „დ...“ საქმის წარმოების მონაწილე მხარედ, მოვალედ არ არის მითითებული. ამასთან დადგენილად მიიჩნია, რომ მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავდა მითითებას თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში იპოთეკით და გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზაციაზე და განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილა განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტზე, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „ბანკი იტოვებს უფლებას, თ. კ-ის მიერ სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მოითხოვს სააღსრულებო ფურცლის გამონერა სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ თანხაზე.“

საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს ყურადღება გაამახვილდა მოპასუხეების ერთ-ერთ არგუმენტზე – სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე და საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეჯერებითა და სამართლებრივი ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინების გამოტანის თარიღი უნდა ჩათვლილიყო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის საწყის მომენტად, ვინაიდან ამ დროისათვის მხარისთვის ცნობილი გახდა მის მიერ სადავოდ ქცეული აქტების ბათილად ცნობის უარყოფითად გადაწყვეტის შესახებ. შესაბამისად, მას შეეძლო, გამოეყენებინა უფლების დაცვის სხვა სამართლებრივი საშუალებები.

ბები. სწორედ ამ დროიდან, საერთო საფუძვლით, დელიქტის დადგენის მიზნით, ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედების დადასტურების მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა გასულია, ვინაიდან წინამდებარე სარჩელი სასამართლოში წარდგენილია 2016 წლის 27 დეკემბერს. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მოთხოვნა იმ საფუძვლის ნაწილში, რომელიც ემყარება ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედების დადგენას საერთო საფუძველზე (და არა – განაჩენით დადასტურებული დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას), არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო.

რაც შეეხება დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ამ საფუძვლის ნაწილში საქალაქო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულად არ ჩათვალა და აღნიშნა, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში უნდა დაწყებულიყო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ მოსარჩელის ინფორმირების მომენტიდან. მოცემულ შემთხვევაში, განაჩენის გამოტანიდან მოთხოვნის წარდგენის 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა დაცული იყო.

ამავე საკითხზე მსჯელობის მიზნით, ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ თ. კ-ს სს „ს...ს“ მიმართ ფულადი ვალდებულება წარმოეშვა ხუთი სხვადასხვა სესხის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელთაგან მხოლოდ 2004 წლის 16 აგვისტოს გაფორმებული №... საკრედიტო ხელშეკრულება იყო უზრუნველყოფილი შპს „დ...ს“ კუთვნილი უძრავი ქონებით (მინის ნაკვეთი, ფართობი 2000 კვ.მ. და მასზე მდგარი შენობა-ნაგებობები, ფართობი 279.7 კვ.მ.), ხოლო აღმასრულებლის მიერ სს „ს...ს“ მიმართ ყველა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების დაფარვა მოხდა მხოლოდ აღნიშნული უძრავი ქონებიდან. სასამართლომ მიუთითა, რომ დამდგარი ზიანი აღმასრულებლის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების რეალურ და მოსალოდნელ შედეგს წარმოადგენდა და მიიჩნია, რომ სახეზე იყო სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის შესაბამისად, რომელმაც ზიანი გამოიწვია და რაც ადმინისტრაციული ორგანოსთვის მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენდა. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, სააღსრულებო საქმის მასალების შესაბამისად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ქონების რეალიზაცია აუქციონზე განხორციელდა 967 960 ლარად. სხვაობა ამ თანხასა და იპოთეკით უზრუნველყოფილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანებას (459 478 ლარს) შორის იყო 508 482 ლარი. სასამართლომ მიუთითა, რომ ამ თანხას უნდა გამოკლებოდა უძრავი ქონების ღირ



რებულების შეფასებისთვის გადახდილი თანხა (800 ლარი) და აღსრულების მოსაკრებელი (32163,46 ლარი) იპოთეკით უზრუნველყოფილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების პროპორციული ოდენობით, რის შედეგადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „დ...სათვის“ დანაშაულით მიყენებული ზიანის ოდენობა შეადგენდა 475 518.54 ლარს, რომელიც აღმასრულებელს სადავო ქონების განმეორებით იძულებით აუქციონზე გასხვისების შემდეგ უნდა დაებრუნებინა შპს „დ...სათვის“.

საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად, საქალაქო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოპასუხეებს სოლიდარულად უნდა დაკისრებოდათ ზემოთ გამოანგარიშებული თანხის – 475 518.54 ლარის მოსარჩელისათვის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს როგორც მოსარჩელემ – შპს „დ...მ“, ისე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა – საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 12 თებერვლის განჩინებით შპს „დ...ს“, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ შპს „დ...ს“ მიერ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთ – ერთ სამართლებრივ საფუძვლად არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV<sup>3</sup> თავი, რომელიც ადგენს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებულ წესს. კერძოდ, დასახელებული კანონის 309<sup>16</sup> მუხლის მიხედვით, ამ თავით დადგენილი წესით შეიძლება განხილულ იქნეს სარჩელი დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, ხოლო 309<sup>17</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონმდებელმა მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს უნდა დაერთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლი-

თაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემული საკანონმდებლო რეგულაციის პირობებში წარდგენილ სარჩელში მოპასუხე მხარედ ვერ იქნება წარმოდგენილი ადმინისტრაციული ორგანო. სასარჩელო მოთხოვნა – ზიანის ანაზღაურება განაჩენით დადასტურებული დანაშაულის ჩადენის შედეგად მიყენებული ზიანისათვის სამოქალაქო სარჩელით/სამოქალაქო წესით, ცალსახად მიმართული უნდა იყოს იმ სუბიექტის მიმართ, ვისთვისაც სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილია განაჩენი, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ მოთხოვნების პირობებში – ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედების დადგენის საფუძველი ვერ გახდება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული საპროცესო ნორმათა გამოყენება გამორიცხავდა ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების ერთდროულად გამოყენებას, რადგან პირველი ინსტანციის შეფასებით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილულია ნაწილობრივ სამოქალაქო დავა (XXXIV<sup>3</sup> თავით გათვალისწინებული სამართალწარმოება), მაშინ, როცა ამ თავით სამოქალაქო წესით განხილვისას მოპასუხეა განაჩენით/დადგენილებით მსჯავრდებული/სახდელდადებული პირი, ხოლო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით ზიანის ანაზღაურების ფარგლებში კი მოპასუხეა ყოველთვის ადმინისტრაციული ორგანო. განსახილველ შემთხვევაში, კი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ერთმანეთში აღრეულია ორი ტიპის სამართალწარმოება. სასამართლომ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი საფუძველით თანხა დააკისრა ადმინისტრაციულ ორგანოს მაშინ, როცა, შესაძლოა, ეს თანხა დაკისრებოდა მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-208-ე მუხლების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ არაჯეროვნად იქნა შესრულებული ადმინისტრაციული სასამართლოს სახელმძღვანელო პრინციპი ინკვიზიციურობის თაობაზე. ამასთან, განსახილველ საქმეზე მოსარჩელის მიერ ფორმულირებული სასარჩელო მოთხოვნა და სამართლებრივი საფუძველები არ იყო შესაბამისობაში და მოსარჩელისთვის სამართლებრივი შედეგის მომტანი, სასამართლომ კი ასეთ პირობებში, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, არ შესთავაზა და არ დაეხმარა მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. ამდენად, საქმის ხელახლა განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა შესთავაზოს მოსარჩელეს მოახდინოს მოთხოვნის ტრანსფორმირება. პალატამ მიიჩნია, რომ

არსებითად მნიშვნელოვანია შენარჩუნებულ იქნეს დავის განხილვის ინსტანციურობა, რაც ამგვარი სასარჩელო მოთხოვნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ტრანსფორმირებას და მის საფუძველზე დავის გაგრძელებას გამორიცხავდა.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „დ...მ“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საკასაციო საჩივრის მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების დასასაბუთებლად აირჩია არასწორი საფუძველი, რადგან სასამართლოს მიერ განხილული სარჩელით და საქმის ზეპირი განხილვის აუდიოოქმებით ცალსახად დასტურდება, რომ სახეზეა, სასამართლო აღმასრულებლის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის პირობებში, სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთება მატერიალურ-საპროცესო ნორმათა ერთობლიობით, კერძოდ, დანაშაულის შედეგად მიყენებული სარჩელების განხილვის მარეგულირებელი სპეციალური საპროცესო ნორმით – 309<sup>17</sup> მუხლით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე და სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, აღმასრულებელ გ. ქ-ის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღმასრულებლის ბრალეული მოქმედების შედეგზე მითითებულია არა მარტო შპს „დ...ს“, არამედ სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის დარღვევაზე, რაც სწორედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე და სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის დისპოზიციებთან იმყოფება სამართლებრივ კავშირში, ვინაიდან სხვა საკითხებთან ერთად სახელმწიფოს მხრიდან დაზარალებული პირისათვის ზიანის ანაზღაურების შემდეგ დღის წესრიგში დგება ბრალეული პირის რეგრესის წესით პასუხისმგებლობის საკითხი. ამრიგად, შპს „დ...ს“ სარჩელში მითითებული მატერიალურ-საპროცესო ნორმათა ერთობლიობა წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებას დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის.

კასატორი ასევე მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ ნორმათა არასწორი განმარტების კანონსაწინააღმდეგო შედეგზე – თავის დროზე სახელმწიფოს მიერ დანიშნული აღმასრულებლის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის არსებობისას, სახელმწიფოს/ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის აბსოლუტურ გამორიცხვაზე, განაჩენის არსებობის ფაქტით დავის მხოლოდ სამოქალაქო წესით განხილვაზე და სარჩელზე მოპასუხედ მხოლოდ მსჯავრდებული პირის დასახელებაზე და აღნიშნავს, რომ, რადგან განსახილველ შემთხვევაში მოთხოვნა მიმართულია სახელმწიფოს/ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, მოსარჩელე არის სა-

ხელმწიფო მოსამსახურის მიერ დაზარალებული პირი, ხოლო მოთხოვნა განაჩენთან ერთად ეფუძნება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე და სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლებს, მოცემული დავა ადმინისტრაციული წარმოების წესით განხილვას ექვემდებარება.

კასატორის მოსაზრებით, ასევე უსაფუძვლოა სააპელაციო პალატის მსჯელობა დისპოზიციურობის პრინციპსა და სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირებასთან დაკავშირებით. იგი მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციის მე-6, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველ, მე-2 და სამოქალაქო კოდექსის 393-ე მუხლებზე და აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატის მიერ დასახელებული გარემოებები არ ქმნიდა დავის კვლავ პირველი ინსტანციით ხელახლა განხილვის საფუძველს.

ამრიგად, კასატორი, ზემოაღნიშნულ გარემოებებზე მითითებით, ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას სააპელაციო სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 თებერვლის განჩინებით შპს „დ...ს“ საკასაციო საჩივარი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 4 ივლისის განჩინებით შპს „დ...ს“ საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. მხარეებს განემართათ, რომ საკასაციო საჩივარი არსებითად განხილული იქნებოდა მათი დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „დ...ს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განხილვისთვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს მოსარჩელის სასარგებლოდ, სააღსრულებო წარმოების ფარგლებში აღმასრულებლის მიერ მიყენებული ზიანის მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოებისთვის ანაზღაურების დაკისრების კანონიერება. განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება, ერთი მხრივ, განაჩენით და-

დასტურებული დანაშაულის ჩადენის შედეგად მიყენებული ზიანი-სა და, მეორე მხრივ, ზოგადი საფუძვლებით, ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედების დადასტურების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. მოსარჩელის მოსაზრებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ განაჩენით დადგენილი ფაქტებით, არამედ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ აღმასრულებელ გ. ქ-ს საერთოდ არ ჰქონდა უფლება, აღსასრულებლად მიექცია შპს „დ...ს“ კუთვნილი, იპოთეკით დატვირთული ქონება, რადგან შპს „დ...“ თანხის გადახდაზე ვალდებულ პირს არ წარმოადგენდა და არც სააღსრულებო ფურცელი შეიცავდა განკარგულებას შპს „დ...ს“ კუთვნილ იპოთეკის საგანზე გადახდევინების მიქცევის თაობაზე. საქალაქო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას სარჩელის საფუძვლიანობა შეაფასა ორივე არგუმენტის გათვალისწინებით, რადგან ჩათვალა, რომ მითითებული საფუძვლები არც გამორიცხავდა და სრულად არც გადაფარავდა ერთმანეთს და შესაძლებელი იყო მათი ერთობლივად განხილვა. რაც შეეხებოდა პროცედურულ დანაწესებს, სასამართლომ მიიჩნია, რომ, რადგან სარჩელი არ მოიცავდა მხოლოდ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებას სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე, საქმის განხილვა ვერ განხორციელდებოდა გამარტივებული წესით, შემჭიდროვებულ ვადებში, თუმცა სასამართლო დანაშაულით მიყენებული ზიანის მტკიცების ნაწილში გამოიყენებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV<sup>3</sup> თავით დადგენილ წესებს. აღნიშნულ მსჯელობას არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლო და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას ერთმანეთში იყო აღრეული ორი ტიპის სამართალწარმოება. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV<sup>3</sup> თავით წარდგენილ სარჩელში მოპასუხე მხარედ ვერ იქნებოდა წარმოდგენილი ადმინისტრაციული ორგანო და სასარჩელო მოთხოვნა – ზიანის ანაზღაურება, განაჩენით დადასტურებული დანაშაულის ჩადენის შედეგად მიყენებული ზიანისთვის სამოქალაქო სარჩელით/სამოქალაქო წესით ცალსახად მიმართული უნდა ყოფილიყო იმ სუბიექტის მიმართ, ვის მიმართაც მიღებულ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ მოთხოვნის პირობებში, აღნიშნული განაჩენი ვერ გახდებოდა ადმინისტრაციული ორგანოებისთვის ზიანის დაკისრების საფუძველი. სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ საქმის პირველი ინსტანციით განხილვისას არაჯეროვნად შესრულდა ადმინისტრაციული სასამართლოს სახელმძღვანელო პრინციპი ინკვიზიციურობის თაობაზე. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ

ფორმულირებული სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები არ იყო შესაბამისობაში ერთმანეთთან და მოსარჩელისთვის სამართლებრივი შედეგის მომტანი. მიუხედავად ამისა, სასამართლო არ დაენშარა მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაებრუნებინა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამდენად, მოცემული დავის ფარგლებში, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობასთან ერთად უნდა შეფასდეს სააპელაციო სასამართლოს დასკვნები – სააპელაციო სასამართლოში სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირებისა და მის საფუძველზე დავის გადაწყვეტის შეუძლებლობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილულია ნაწილობრივ სამოქალაქო დავა (XXXIV<sup>3</sup>-ე თავით გათვალისწინებული სამართალწარმოება) მაშინ, როცა ამ თავით სამოქალაქო წესით განხილვისას მოპასუხეა განაჩენით/დადგენილებით მსჯავრდებული/ სახდელდადებული პირი, ხოლო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ზიანის ანაზღაურების ფარგლებში კი მოპასუხეა ყოველთვის ადმინისტრაციული ორგანო, რის გამოც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ერთმანეთში აღრეულია ორი ტიპის სამართალწარმოება. საქალაქო სასამართლომ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი საფუძველით თანხა დააკისრა ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელსაც შესაძლოა ეს თანხა დაკისრებოდა მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-208-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა მიმართულია სახელმწიფოს/ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ. მოთხოვნა კანონიერ ძალაში შესულ განაჩენთან ერთად ეფუძნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე, სამოქალაქო კოდექსის 1005.1 მუხლებს, რის გამოც საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაციის გაზიარების პირობებშიც, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV<sup>3</sup> თავი გამოიყენება მხოლოდ სამოქალაქო სამართალწარმოებისას, შპს „დ...ს“ სასარჩელო მოთხოვნა, მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლის სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, ადმინისტრაციული წესით განსახილველია. მოსარჩელი ითხოვს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მისი მოსაზრებით, მიადგა სასამართლო აღმასრულებლის უკანონო საქმიანობით. სასამართლო აღმასრულებელი თავისი საქმიანობიდან გამომდინარე სახელმწიფო მოსამსახურეა. სასამართლო

აღმასრულებელი სააღსრულებო მოქმედებებს ახორციელებს არა საკუთარი კერძო ავტონომიის, არამედ მისთვის მინიჭებული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების საფუძველზე. სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1005.1 მუხლით მოწესრიგებულ დელიქტურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობები გამომდინარეობენ საქართველოს კონსტიტუციის 18.4 და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლებიდან. საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ „კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის (ამჟამად მოქმედი რედაქციის 18.4 მუხლი) უპირველეს მიზანს წარმოადგენს დაზარალებული პირის ინტერესების დაცვა მიყენებული ზარალის ანაზღაურების გზით. სახელმწიფო რესურსის მასშტაბის, მოცულობის და ბუნების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერ ქმედებათა განხორციელება ხშირ შემთხვევებში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბიექტების მხრიდან განხორციელებულ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით. ამიტომ მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დანესება ხელს უწყობს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობის და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ზარალის ანაზღაურების უფლებას რამდენიმე წინაპირობის არსებობას უკავშირებს: 1. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზარალი გამონვეული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული სუბიექტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობ-

რივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის“ (2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/630 „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჭიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208.1 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიყენება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. მითითებული ნორმები ორიენტირებული არიან ქმედების განმახორციელებელი ორგანოს და არა ინდივიდის პასუხისმგებლობაზე. ორგანიზაციაზე (სახელმწიფოზე) ორიენტირებული პასუხისმგებლობის დროს ზიანის გამომწვევი ქმედების ორგანოსთვის შესარაცხად აუცილებელი არაა ქმედების განმახორციელებელი კონკრეტული ინდივიდის ან ინდივიდების ვინაობის დადგენა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მოქალაქე სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფება რთული სტრუქტურული აგებულების მქონე ორგანოსთან, შესაბამისად, ანგარიშგასანევია ორგანიზაციის გარეთ მყოფი პირის გაურკვეველობა დაწესებულების სამუშაო და ფუნქციონირების საკითხებში. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს ზიანის წარმომშობი საქმიანობის განმახორციელებელი კონკრეტული ფიზიკური პირისადმი სამოქალაქო წესით მიმართვის საჭიროება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე, სამოქალაქო კოდექსის 1005.1 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის, თუმცა უნდა დასტურდებოდეს ორგანოს მონაწილეობა დელიქტურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებში მოპასუხე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ზიანის მიმყენებლის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ხელმყოფს მოს-



თხოვოს ზარალის რეგრესის წესით მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურება. მოცემულ საქმეზე მოპასუხეები არიან ადმინისტრაციული ორგანოები – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ზიანი წარმოიშვა საჯარო-უფლებამოსილების (იძულებითი სააღრულებო საქმიანობის) უკანონო განხორციელებით. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ შპს „დ...ს“ სასარჩელო, მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას გააჩნდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ბუნება და იგი ადმინისტრაციული წესით უნდა ყოფილიყო განხილული

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის სამართლებრივი ბუნების შეცვლას არ იწვევენ საპროცესო ნორმები. ისინი მხოლოდ ემსახურებიან მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის რეალიზებას და არ ქმნიან ალტერნატიული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის საფუძველს. შესაბამისად, არც მათი გამოყენება მიუთითებს (კერძო-სამართლებრივი ბუნების მქონე) მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის შესაძლო არსებობაზე. 2010 წლის 15 დეკემბრის №4075 კანონით საქართველოს სამოქალაქო კოდექსს დაემატა სპეციალური თავი, რომელიც აწესრიგებს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებულ წესს. გამარტივება ვლინდება სარჩელის განხილვისა და საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების ვადების შემცირებაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გამარტივებული წარმოების წესის დადგენა განაპირობა საქმის განხილვის გამარტივების აუცილებლობამ ისეთ საქმეებზე, სადაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ან შესაბამისი ორგანოს მიერ გამოცემული აქტი ზიანის გამომწვევი მართლსაწინააღმდეგო ქმედების დადგენის შესახებ და მოსარჩელე სწორედ ამ აქტზე დაყრდნობით ცდილობს თავისი მოთხოვნის დასაბუთებას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ 2010 წლის 24 სექტემბრის კანონით სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმდა სსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც მანამდე პრეიუდიციულ ძალას ანიჭებდა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ, კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს ცალკეულ ფაქტთან მიმართებით, ცვლილება განიცადა აგრეთვე სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტმა, რის შედეგადაც სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების შეჩერების სავალდებულო საფუძველს აღარ წარმოადგენს საქმის სისხლის სამართლის წესით განხილვა. ხსენებული ცვლილებებით კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით,

მოხდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მტკიცე-ბითი სტანდარტების ურთიერთგამიჯვნა. საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოება არაა დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის შედეგებზე პრეიუდიციული ძალით, ისევე როგორც სისხლის სამართალწარმოება – სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმის შედეგზე. ამასთან, პრეიუდიციული ძალის არ ქონა არ გამორიცხავს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მიღებული პროცესუალური აქტების მტკიცებულებად მიღებისა და მათი სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთშეჯერებით შესაბამისი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. სასამართლოს არ ერთმევა უფლებამოსილება იმსჯელოს განაჩენზე, მისი არსებობის შემთხვევაში, როგორც წერილობით მტკიცებულებაზე და გაიზიაროს ან არ გაიზიაროს მასში ასახული ფაქტობრივი გარემოებები (სუსგ №ბს-144-141(2კ-14), 22.01.2015წ.). ამდენად, სსკ-ში XXXIV<sup>3</sup> თავის არსებობა არ ზღუდავს სასამართლოს ადმინისტრაციული წესით იმსჯელოს სისხლის სამართალწარმოებაში შექმნილ მტკიცებულებებზე საერთო საპროცესო ნორმების საფუძველზე, როდესაც მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა სამართლებრივი ბუნებით ადმინისტრაციულია.

საკასაციო პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შპს „დ...ს“ საკასაციო საჩივარი წარმოდგენილია სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე, რომლითაც დადგინდა საქალაქო სასამართლოსათვის საქმის ხელახლა დაბრუნება. დაბრუნების ერთ-ერთ საფუძველად მითითებულია სასარჩელო მოთხოვნების ტრანსფორმირების საჭიროება და მოპასუხეთა წრის დაზუსტება, რამდენადაც სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძველები არ იყო ერთმანეთთან შესაბამისობაში. შესაბამისად, საკასაციო პალატა ამონებს სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის დაბრუნების სამართლებრივი საფუძველების არსებობას. განსახილველ საკასაციო საჩივარში კასატორი მიუთითებს სასარჩელო მოთხოვნათა საფუძველიანობაზე და ადმინისტრაციული ორგანოებისადმი სწორად მიმართვიანობაზე, თუმცა ასევე ის არ ეთანხმება საქალაქო სასამართლოში საქმის განსახილველად დაბრუნებას სასარჩელო მოთხოვნების ტრანსფორმირებისა და სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტების მიზნით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის აღნიშნული პოზიცია უნდა იქნეს გაზიარებული, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის საქმის ხელახლა დაბრუნების ნაწილში. საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ამონ-

მებს გადაწყვეტილებას მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტების შეთავაზების გარეშე მოსარჩელის მიზანი მიღწეული ვერ იქნება. ამასთანავე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებითად მნიშვნელოვანი იყო, შენარჩუნებულიყო დავის განხილვის ინსტანციურობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ საერთოდ არ არის შეფასებული სასარჩელო მოთხოვნათა საფუძვლიანობა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებებს და მიიჩნევს, რომ საფუძველსაა მოკლებული სააპელაციო სასამართლოს მითითება სასკ-ის 28<sup>1</sup> მუხლზე სარჩელისა და მოპასუხეთა წრის საქალაქო სასამართლოს მიერ დაზუსტების საჭიროების შესახებ.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია განსახილველი საქმის ძირითადი არის – ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე და შემოიფარგლა მხოლოდ სამოქალაქო წესით საქმის განხილვის შესაძლებლობაზე, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს „დ...“ მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა თავისი ბუნებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივია, სსკ-ის XXXIV<sup>3</sup> თავი აწესრიგებს საპროცესო საკითხებს და მისი გამოყენების შემთხვევაშიც, არ იცვლება სასარჩელო მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი ბუნება. აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დავა არსებითად არ გადაწყვეტილა, გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას დავის არსებითად გადაწყვეტასთან დაკავშირებით, აღნიშნულის გამო საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას არსებითად გადაწყვიტოს იგი, სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებით საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა გამოიხატება არა ფაქტების დადგენაში, არამედ – დასადგენ ფაქტებზე მითითებაში. საკასაციო პალატა არ არის შებოჭილი ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, თუმცა აღნიშნული უფლებამოსილს არ ხდის საკასაციო სასამართლოს თავადვე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, საკასაციო სასამართლოს პროცესუალური როლის გათვალისწინებით საკასა-

ციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო. მტკიცებულებების გამოკვლევასა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენაზე უფლებამოსილი სასამართლო სააპელაციო სასამართლოა. პროცესუალური დანაწესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აფასებს არა მტკიცებულებებს, არამედ – ამ მტკიცებულებათა სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასების მართებულობას. განსახილველ საქმეში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში არსებით საკითხებზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის არარსებობის გამო, საკასაციო პალატა მათზე არსებითად ვერ იმსჯელებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსთვის დაბრუნების პირობაა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისთვის.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „დ...ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 12 თებერვლის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მატიარიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების  
ენიანპირობების არსებობის დადგენა და  
ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-23(3კ-22)

27 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

რ. ბ-მა 2015 წლის 9 თებერვალს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შედეგად, ზიანის სახით – 23608 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში 41430 ლარის), საკუთრების რეგისტრაციისთვის განუღებულ ხარჯის – 51 ლარის, მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის შედგენისათვის განუღებულ ხარჯის – 50 ლარის და ადვოკატის მომსახურებისათვის განუღებულ ხარჯის – 600 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, 2010 წლის 12 ოქტომბრის აუქციონში გამარჯვების შედეგად შეიძინა ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში რეგისტრირებული ქალაქ თბილისში, ... ..ში მდებარე 454 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს.კ. ...), რომელიც 2010 წლის 20 დეკემბერს საჯარო რეესტრში აღირიცხა თავის სახელზე. დ. ს-მა პრეტენზია წარადგინა იმასთან დაკავშირებით, რომ აუქციონზე გატანილი მიწის ნაკვეთი იჭრებოდა მის სახელზე რეგისტრირებული ნაკვეთის საზღვრებში. აღნიშნულის შეტყობის შემდეგ რ. ბ-მა წერილით მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სადავო ნაკვეთზე ჩატარებული აუქციონის ბათილად ცნობისა და თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით, რაც არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ თავის საკუთრებასთან დაკავშირებით 3 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა დავა სასამართლოში, საბოლოოდ,

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2014 წლის 17 აპრილის განჩინებით ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა დ. ს-ის მოთხოვნა, ბათილად იქნა ცნობილი რ. ბ-ის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი და რ. ბ-ის სახელზე გაცემული საკუთრების მონაწილეობა. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ არის ქონების კეთილსინდისიერი შემძენი, მაგრამ მოპასუხის განზრახ თუ უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად აღმოჩნდა დაზარალებული. შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე, სკ-ის 992-ე, 1005-ე მუხლების საფუძველზე მოპასუხემ უნდა აანაზღაუროს მინის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება მოთხოვნის წარმოშობის მომენტისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ თანაბარწილად დაეკისრათ ზიანის ანაზღაურება 25000 ლარის ოდენობით, ასევე საკუთრების რეგისტრაციისთვის განეული ხარჯის – 51 ლარის, მინის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის შედგენისთვის გადახდილი თანხის – 50 ლარის და ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 600 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, სსიპ ქონების მართვის სააგენტომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და რ. ბ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასაბუთება. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მოსაზრება მათი ბრალეულობის გამომრიცხავი გარემოებების არსებობის თაობაზე და მიუთითა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოცემული აქტების ბათილად ცნობა ადასტურებს იმ მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობას, რის გამორიცხვასაც ადმინისტრაციული ორგანოები მოცემულ შემთხვევაში ცდილობენ.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება – იმოქმედოს კანონის საფუძველზე, იცავს არა მხოლოდ დაინტერესებულ პირს, არამედ თავად ამ ადმინისტრაციულ ორგანოს სამართლებრივი შეცდომისაგან და იმ სამომავლო ვალდებულებებისაგან, რაც თან ახლავს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულების შედეგად შეილახა რ. ბ-ის უფლებები, რამდენადაც მასზე მოხდა იმ მიწის ნაკვეთის გასხვისება და შემდგომ აღრიცხვა, რომელიც არ წარმოადგენდა გამსხვისებლის – თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე, 42.9, სზაკ-ის 60<sup>1</sup>.6, 207-ე, 208-ე, სკ-ის 992-ე მუხლების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზეა ზიანის ანაზღაურების სავალდებულო წინაპირობები: ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და ბრალი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზიანის ოდენობა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განისაზღვრა გონივრული შეფასების საფუძველზე, საჯარო და კერძო ინტერესთა დაბალანსებით და სრულად უზრუნველყოფს მოსარჩელის უფლებებში აღდგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, სსიპ ქონების მართვის სააგენტომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და რ. ბ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 მაისის განჩინებით რ. ბ-ის საკასაციო საჩივარი სსკ-ის 396.3, 399-ე მუხლების შესაბამისად დარჩა განუხილველი, ხოლო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 10 იანვრის განჩინებით სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 13 სექტემბრის განჩინებით, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პა-

ლატის 2017 წლის 18 ოქტომბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება და მოპასუხეებს რ. ბ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 11380 ლარის გადახდა; აგრეთვე, დაეკისრათ მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის შედგენისთვის გადახდილი თანხის – 50 ლარის გადახდა; ხსენებულ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 ოქტომბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება და მოპასუხეებს – სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს რ. ბ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ზიანის ანაზღაურება 13620 ლარის ოდენობით, აგრეთვე, საკუთრების რეგისტრაციისათვის განეული ხარჯის – 51 ლარის გადახდა, დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში დაცული სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2010 წლის 12 ოქტომბრის №... აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის თანახმად, სადავო მიწის ღირებულება განისაზღვრა 13620 ლარად. სასარჩელო მოთხოვნას კი შეადგენდა მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხე ორგანოებისათვის 23608 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში დაკისრება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ანაზღაურება უნდა განსაზღვრულიყო არა მიწის საბაზრო ღირებულებით, არამედ იმ თანხის ოდენობით რაც მხარემ მიწის ნაკვეთში გადაიხადა, ვინაიდან მოთხოვნა ემყარებოდა არა პირის მფლობელობიდან საკუთრების გასვლას, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაკარგვას, არამედ უძრავი ქონების პრივატიზების კანონიერებას. აღნიშნულ ფაქტს არ ცვლიდა მოსარჩელის მიერ წარდგენილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 17 ივნისის №5002687114 დასკვნა, რომლითაც განისაზღვრა სადავო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება. საკასაციო პალატის მითითებით, გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვება გამოიწვევდა მოსარჩელის უსაფუძვლოდ გამდიდრებას, ვინაიდან იგი მიიღებდა იმაზე გაცილებით მეტ სიკეთეს, ფულად თანხას, ვიდრე მან აუქციონზე მიწის ნაკვეთის შეძენის შედეგად გადაიხადა.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას – მის მიერ გადახდილი მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის შედგენისათვის 50 ლარის გა-



დახდას, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალე-ბით, კერძოდ, 2010 წლის 29 დეკემბრის საჯარო შემოსავლის ორ-დერით და №... ანგარიშ-ფაქტურით არ დასტურდებოდა მითითე-ბული თანხის რ. ბ-ის მიერ გადახდა. ხსენებული დოკუმენტაციის მიხედვით, რ. ბ-ის კუთვნილი 454 კვ.მ. ნაკვეთის წითელი ხაზის კუთხეების დაკვალვის ღირებულების გადამხდელია არა რ. ბ-ი, არამედ დ. ო-ე. შესაბამისად, დაუსაბუთებელი იყო აგრეთვე მოპა-სუხეებისათვის აზომვითი ნახაზის შედგენისთვის გადახდილი თან-ხის მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდის დავალება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების და-საბუთება სოლიდარული მოპასუხეთათვის ზიანის სახით 11380 ლა-რის (25000 – 13620 (ნასყიდობის ფასი)) დაკისრების ნაწილში იმ-დენად არასრული იყო, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანო-ბის შემონება შეუძლებელი გახდა, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“<sup>14</sup> ქვეპუნქტის თანახმად, ქმნიდა განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ყველა სოლიდარული მოპასუხის: სსიპ ქონების მარ-თვის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ. შესა-ბამისად, აღნიშნულ ნაწილებში სახეზე იყო სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“<sup>15</sup> ქვეპუნქტით გათვალისწინებული სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების და საქმის ხელახალი განხილ-ვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველი.

მოცემული ადმინისტრაციული საქმის ხელახალი განხილვის ფარგლებში მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 17 ნოემბრის განჩი-ნებით რ. ბ-ის, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის, სსიპ ქო-ნების მართვის სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნა-წილში, რომლითაც მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ თა-ნაბარნილად დაეკისრათ ზიანის ანაზღაურება – 11380 ლარის ოდე-ნობით; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის გა-დაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ თანაბარნილად დაეკისრათ მის მიერ გადახდილი მი-ნის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის შედგენისთვის დახარჯული 50 ლარის ანაზღაურება; ასევე უცვლელად დარჩა თბილისის საქალა-ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც სსიპ ქო-

ნების მართვის სააგენტოს, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოსარჩელის სასარგებლოდ თანაბარნილად დაეკისრათ მის მიერ ადვოკატის მომსახურებისთვის განეული ხარჯის ანაზღაურება 600 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის 12 ოქტომბერს გამართულ აუქციონზე რ. ბ-მა შეიძინა მიწის ნაკვეთი, რომელიც საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, ხოლო უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ის აქტები, რომელთა საფუძველზეც მოსარჩელეს საკუთრების უფლება წარმოეშვა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რ. ბ-ის დანაკლისი/ზიანი შედგენდა 2014 წლის მდგომარეობით არსებულ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებასა (52\$) და უძრავი ქონების აუქციონზე შეძენის დროს გადახდილ ღირებულებას (30 ლარი) შორის სხვაობას, რაც ცალსახად აჭარბებდა ამჟამად განსახილველ დავის საგანს/ზიანს – 11 380 ლარს, თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 მაისის განჩინების არსებობის პირობებში, რომლითაც რ. ბ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 ოქტომბრის განჩინებაზე დარჩა განუხილველი და იმ საკანონმდებლო რეგულაციის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა, პალატამ მართებულად მიიჩნია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოსარჩელე რ. ბ-ის სასარგებლოდ თანაბარნილად დაეკისრათ ზიანის ანაზღაურება 11380 ლარის ოდენობით.

სააპელაციო პალატამ მოცემული დავის გადაწყვეტისას გაითვალისწინა საქმეში წარმოდგენილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 17 ივნისის დასკვნა მიწის საბაზრო ღირებულების დადგენის თაობაზე, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის 2021 წლის 27 ოქტომბრის №2-04/3241 წერილი, რომლითაც სააპელაციო პალატას ეცნობა, რომ 2014 წლის 17 აპრილის მდგომარეობით, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ შეადგენდა – 1 აშშ

დოლარი – 1.7530 ლარს და მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მიიჩნია, რომ სასამართლოების მიერ არ დარღვეულა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები და სწორი შეფასება მიეცა საქმის მასალებს, რაც არ იძლეოდა გადანყვეტილების მითითებული ნაწილის – ზიანის სახით 11380 ლარის (25000 – 13620 (ნასყიდობის ფასი)) და მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის შედგენისთვის დახარჯული 50 (ორმოცდაათი) ლარის მოპასუხეთათვის თანაბარწილად დაკისრების ნაწილში გადანყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველს.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ ქონების მართვის სააგენტომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღების შედეგად სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მითითებით, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ანაზღაურება უნდა განსაზღვრულიყო არა მიწის საბაზრო ღირებულებით, არამედ იმ თანხის ოდენობით, რაც მხარემ მიწის ნაკვეთში გადაიხადა, ვინაიდან მოთხოვნა ემყარებოდა არა პირის მფლობელობიდან საკუთრების გასვლას, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაკარგვას, არამედ – უძრავი ქონების პრივატიზების კანონიერებას. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას ყურადღება გაამახვილა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 17 ივნისის დასკვნაზე, რომლის თანახმად, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის 1 კვ.მ-ის საბაზრო ღირებულება, 2014 წლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენს 52 აშშ დოლარს, ხოლო რ. ბ.-ს სადავო მიწის ნაკვეთის აუქციონზე შეძენისას 1 კვ.მ-ზე გადახდილი აქვს 30 ლარი. გარდა ამისა, სასამართლო ასევე დაეყრდნო საქართველოს ეროვნული ბანკის 2021 წლის 27 ოქტომბრის №2-04/3241 წერილს, რომლითაც პალატას ეცნობა, რომ 2014 წლის 17 აპრილის მდგომარეობით, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ შეადგენდა 1.7530 ლარს. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული დოკუმენტებით დადასტურებული გარემოებები, მათ შორის კურსთა სხვაობა არ შეიძლება გახდეს მისთვის სათანადო მტკიცებულებებით დაუდასტურებელი ზიანის – 11380 ლარის ანაზღაურების საფუძველი.

კასატორი დამატებით აღნიშნავს, რომ აუქციონი ჩატარდა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9-63 გა-

დანყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზირების წესის“ შესაბამისად. ამდენად, არ არსებობს კასატორისათვის სზაკ-ის 207-ე, სკ-ის 1005-ე მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. სახეზე არ არის ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო მოქმედება. ამასთანავე, მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველიანად მიჩნევის შემთხვევაში, სკ-ის 408-ე, 409-ე მუხლების შესაბამისად, უნდა მომხდარიყო მხოლოდ აუქციონში ნივთის შესაძენად გადახდილი თანხის ანაზღაურება.

კასატორი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური და საპროცესო ნორმების დარღვევით. საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულება არ მიუთითებდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მართლსაწინააღმდეგო/ ბრალეულ ქმედებაზე. შესაბამისად, არ არსებობს კასატორისათვის სზაკ-ის 207-ე, 208-ე, სკ-ის 992-ე, 1005-ე მუხლების საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. მითითებული მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და შედეგს შორის არსებობს პირდაპირი და უშუალო კავშირი, რასაც კასატორის შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. არასწორია სასამართლოს მოსაზრება საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიმართ მხოლოდ რ. ბ-ის კანონიერი ნდობის არსებობის შესახებ, რამეთუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასაც ჰქონდა კანონიერი ნდობა იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, რომლის საფუძველზეც დარეგისტრირდა სადავო მინის ნაკვეთი ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად. სასამართლომ შესაბამისი შეფასების მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასაც ჰქონდა კანონიერი ნდობა იმ აქტის მიმართ, რომლის საფუძველზეც დარეგისტრირდა სადავო ნაკვეთი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად. საჯარო რეესტრის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებისადმი ნდობა გულისხმობს იმას, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლება ნამდვილად ეკუთვნის გამსხვისებელს. საჯარო რეესტრის უტყუარობასა და სისწორესთან დაკავშირებულია ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი – კანონიერი ნდობა. სასამართლოს არ უმსჯელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის კანონიერ ნდობაზე. საკუთრების უფლების რეგისტრაციას ახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შე-

საბამისი სარეგისტრაციო სამსახური, რა დროსაც სწავლობს სარეგისტრაციოდ წარდგენილ დოკუმენტაციას, იკვლევს გარემოებებს და ამის შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას უფლების რეგისტრაციის შესახებ. ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულისათვის უცნობი იყო სადავო მიწის ნაკვეთზე სხვა პირთა უფლების არსებობა, შესაბამისად, იგი უფლებამოსილი იყო „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის) 47-ე მუხლის გათვალისწინებით, მოეთხოვა სადავო მიწის ნაკვეთის თავის სახელზე აღრიცხვა. მარეგისტრირებელ ორგანოს, თავის მხრივ, გააჩნდა ვალდებულება სრულყოფილად გამოეკვლია თვითმმართველი ერთეულის მიერ წარდგენილი და საჯარო რეესტრში დაცული დოკუმენტაცია, სრულად შეესწავლა საქმის გარემოებები და შემდგომ მიეღო გადაწყვეტილება საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, რადგან უპირველესად, სწორედ მარეგისტრირებელი ორგანოსათვის არის ცნობილი ყველა მიწის ნაკვეთის ელექტრონული სისტემით აღურიცხაობის შესახებ.

კასატორმა აღნიშნა, რომ მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობების დადასტურების შემთხვევაშიც ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებით, არამედ იმ თანხის ოდენობით, რაც მხარემ აუქციონზე მიწის ნაკვეთის შესაძენად გადაიხადა. კასატორი სკ-ის 408-ე, 409-ე მუხლებზე მითითებით მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანად მიჩნევის შემთხვევაში სასამართლოს უნდა აღედგინა პირვანდელი მდგომარეობა, რაც გულისხმობს მოსარჩელისათვის მის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას და არა უსაფუძვლოდ გარკვეული მატერიალური სიკეთის მისთვის მიკუთვნებას. ამასთანავე, დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო საკუთრების უფლების რეალიზება და შესაბამისი მატერიალური სიკეთის მიღება, რადგან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით განხორციელდა რ. ბ-ის საკუთრების წარმომობი აქტების ბათილად ცნობა, რაც ძალადაკარგულად გამოცხადებისაგან განსხვავებით გულისხმობს, რომ საკუთრება არც წარმომობილა, შესაბამისად, მოსარჩელე არ ყოფილა ნამდვილი სამოქალაქო უფლების მატარებელი.

კასატორმა – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ სზაკ-ის 207-ე, სკ-ის 395-ე, 1005-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობის პირობებში, როდესაც სახეზეა პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მხოლოდ ზიანის არსებობის ფაქტი არ

არის საკმარისი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, არამედ სახეზე უნდა იყოს მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა. კასატორმა მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა დ. ს-ის სააპელაციო საჩივარი და ბათილად იქნა ცნობილი რ. ბ-ის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი. სწორედ ზემოაღნიშნული უფლების დამდგენი დოკუმენტების საფუძველზე განხორციელდა რეგისტრაციის ძალადაკარგულად გამოცხადება, რასაც შედეგად მოჰყვა რ. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმება. რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მოცემული დავის ფარგლებში არ გასაჩივრებულა და მხარეებს შორის სადავოდ არ გამხდარა, შესაბამისად, საჯარო რეესტრის აქტი მართლზომიერია, სახეზე არ არის სკ-ის 1005-ე მუხლის შემადგენლობა და არ არსებობს კასატორისათვის ზიანის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

კასატორის მითითებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 11380 ლარის ანაზღაურების ნაწილში არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული ნაკვეთის შესაძენად გადახდილ თანხაზე მნიშვნელოვნად მეტი თანხის – 25000 ლარის მოპასუხებისთვის თანაბარწილად დაკისრება მაშინ, როცა მოსარჩელის მიერ ნაკვეთში გადახდილი თანხა შეადგენდა 13620 ლარს. მოცემულ პირობებში, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს საკითხისადმი მიდგომა, რამაც, საბოლოოდ, გამოიწვია მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრება. ამდენად, სასამართლომ უსაფუძვლოდ დააკისრა ადმინისტრაციულ ორგანოს დამატებით იმ თანხის გადახდა, რაც უძრავი ნივთის შეძენისას გადახდილი არ ყოფილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 იანვრისა და 4 თებერვლის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსპ ქონების მართვის სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ივლისის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსპ ქონების მართვის სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება სოლიდარული მოპასუხეებისთვის ზიანის სახით 11380 ლარის დაკისრების ნაწილში და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. ბ-ის სარჩელი ამ ნაწილში დაკმაყოფილდება ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეებისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობების არსებობის დადგენა, ასეთი წინაპირობების არსებობის დადასტურების შემთხვევაში კი – ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დავის პირველადი განხილვის ფარგლებში რ. ბ-ის მიერ ზიანის მოთხოვნა ცალსახად დასაშვებად მიიჩნია, თუმცა თანხის მოცულობა – 11380 ლარისა და ასევე მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის შედგენისთვის დახარჯული 50 ლარის დაკისრების ნაწილში, დაუსაბუთებლად ჩათვალა, რაც განჩინების გაუქმებისა და მითითებულ ნაწილში საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისთვის დაბრუნების საფუძველი გახდა. ამდენად, საკასაციო პალატის მსჯელობის საგანს სწორედ ზიანის სახით 11380 ლარისა და აზომვითი ნახაზის შედგენისთვის დახარჯული 50 ლარის მოპასუხეებისთვის დაკისრების კანონიერების შეფასება წარმოადგენს.

### **საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:**

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს განცხადება და ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა ქალაქ თბილისში, ... ..ში მდებარე 454 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ ...). სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2010 წლის 12 ოქტომბერს ჩატარებულ აუქციონზე აღნიშნული მიწის ნაკვეთის შემძენი, 13620 ლარის გადახდის სანაცვლოდ გახდა რ. ბ-ი, რომლის სახელზე 2010 წლის 12 ოქტომბერს გაიცა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი

№... ოქმი, ხოლო 2010 წლის 8 დეკემბერს – საკუთრების დამადასტურებელი №ა-42 მონმოზა. აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე 2010 წლის 20 დეკემბერს რ. ბ-ის საკუთრების უფლება აღირიცხა საჯარო რეესტრში. რ. ბ-ის მიერ აუქციონზე შეძენილი ნაკვეთის დ. ს-ის ნაკვეთთან ზედდების გამო ამ უკანასკნელმა სადავოდ გახადა თბილისის თვითმმართველი ერთეულის, ხოლო შემდეგ რ. ბ-ის სახელზე მინის ნაკვეთის საკუთრებაში რეგისტრაცია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 17 აპრილის განჩინებით (№ბს-92-90(2კ-14)) ქალაქ თბილისის მერიისა და ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად (მონინააღმდეგე მხარე: დ. ს-ი); ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა დ. ს-ის სააპელაციო საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2010 წლის 12 ოქტომბრის №... აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი და რ. ბ-ის სახელზე 2010 წლის 8 დეკემბერს გაცემული №ა-42 საკუთრების უფლების მონმოზა; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2010 წლის 12 აგვისტოს №06-8/8028 და №06-8/8207 წერილების ბათილად ცნობის ნაწილში დარჩა უცვლელად. შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 24 ივლისის №... გადაწყვეტილებით გაუქმდა რ. ბ-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი რ. ბ-ისთვის ნივთის საკუთრებაში გადაცემის საფუძველი, კერძოდ, აუქციონში გამარჯვების ოქმი და საკუთრების მონმოზა, ბათილი აქტის შესრულების შედეგად ადგილი ჰქონდა ქონების უსაფუძვლო შექმნას, სხვა პირის ხარჯზე ქონების გაზრდას. ბათილობა კი იწვევს ორმხრივ რესტიტუციას, რომლის შედეგად მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ის, რაც მათ მიიღეს. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, მართალია, სასამართლოს მიერ რ. ბ-ის საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტების ბათილად ცნობამდე, ისინი მიიჩნეოდა ნამდვილად, თუმცა, ფაქტობრივად, უძრავი ნივთის თვითმმართველი ერთეულის სახელზე აღრიცხვა, გასხვისება და ახალ შემძენზე საკუთრების რეგისტრაცია თავიდანვე იყო არამართლზომიერი, რაც მოგვიანებით დადასტურდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით. ამდენად, უფლებადამდგენი დოკუმენტაციის კანონშეუსაბამობის, აქტების გამოცემის მომენტიდან ბათილად ცნობის გამო, რ. ბ-ს საკუთრების



უფლება არ წარმოშობია. აღნიშნულიდან გამომდინარე, რ. ბ-მა შესრულება განახორციელა სათანადო საფუძვლის არსებობის გარეშე, რაც ქმნის სადავო მიწის ნაკვეთის შესაძენად განეული ხარჯის მოთხოვნის უფლებას. აქედან გამომდინარე, რადგან ზოგადი წესის თანახმად, უსაფუძვლოდ განეული ხარჯის ანაზღაურებაზე ვალდებული პირია ვითომ-კრედიტორი – პირი, რომელმაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო შესრულება, თუმცა განსახილველ დავაში სამივე თანამოპასუხე საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტია, ამასთან, შესრულების უსაფუძვლობა განპირობებულია მათ მიერ დაშვებული სამართალდარღვევების ერთობლიობით, მართებულია მოპასუხეებისთვის პასუხისმგებლობის სოლიდარულად დაკისრება. ამასთან, საკასაციო პალატის მითითებით, ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანი, რომელიც გამომდინარეობს რეალურად გადახდილი ნასყიდობის ფასიდან – 13620 ლარიდან, რომლის ოდენობაც უნდა განისაზღვროს აუქციონის შედეგების ბათილად ცნობისა და განსახილველ დავაზე გადაწყვეტილების მიღების პერიოდში ეროვნული ვალუტის ინფლაციის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება ზიანის ანაზღაურების მოცულობის საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპით განსაზღვრასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ რ. ბ-ი სასარჩელო მოთხოვნას, მოცემულ შემთხვევაში 11380 ლარის დაკისრების ნაწილში, აფუძნებს როგორც უძრავი ქონების შეძენისა და დაკარგვის პერიოდში არსებულ მიწის საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობაზე, ასევე საკუთრების შეძენისა და დაკარგვის პერიოდებში აშშ დოლარსა და ეროვნულ ვალუტას – ლარს შორის არსებულ კურსთა სხვაობაზე, იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მას ჩამოერთვა საკუთრება უძრავ ნივთზე, შესაბამისად მიადგა ზიანი უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების ოდენობით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ერთსა და იმავე ნივთზე საკუთრების უფლების დაკარგვისას ზიანის ანაზღაურების ოდენობა შესაძლოა სხვადასხვა იყოს საკუთრების დაკარგვის სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით. განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რ. ბ-ის მიერ აუქციონზე შეძენილი საკუთრება არასდროს ყოფილა მართლზომიერი. შესაბამისად, დაუსაბუთებელია ნივთის ჩამორთმევისათვის კომპენსაციის დაანგარიშება როგორც კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის, ისე ნივთის საბაზრო ღირებულების მიხედვით. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ რ. ბ-ს საკუთრების უფლება ფაქტობრივად არ წარმოშობია, მისი მოთხოვნა, შესაძლოა, დაი-

ყოს ორ ნაწილად: ერთი მხრივ, რ. ბ-ი უფლებამოსილია, სამოქალაქო კოდექსის 976.1 მუხლის შესაბამისად, ვითომ-კრედიტორისაგან მოითხოვოს გადახდილი ნასყიდობის ფასის დაბრუნება, რადგან ორგანო უსაფუძვლოდ მდიდრდება, ხოლო, მეორე მხრივ, ნასყიდობის ფასის გარდა, რ. ბ-ს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხის მიხედვით, სათანადო წინაპირობების არსებობის დადასტურების შემთხვევაში (იხ. სუს 15.02.18წ. №ბს-818-810 (2კ-16) გადაწყვეტილება). საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფო ორგანოების მიერ ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების გარანტიას, თუმცა აღნიშნული გარანტია ამოქმედებას იწყებს მხოლოდ ზიანის არსებობის დადასტურებისას. მოცემულ შემთხვევაში ზიანის მოთხოვნა დასაშვებია, რადგან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საჯარო უფლებამოსილებების არამართლზომიერი განხორციელება. ამასთანავე, ზიანის ანაზღაურების ოდენობა ეკვივალენტობის პრინციპიდან გამომდინარე ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება. მიუხედავად საკასაციო პალატის მითითებისა, რომ გარკვევას საჭიროებდა დანაკარგის არსებობა სხვისი ფულადი სახსრებით უკანონო სარგებლობის გამო და მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა, ხოლო ზიანის ოდენობის დადგენის გარეშე, მოპასუხეთათვის სადავო მიწის ნაკვეთის ღირებულების ქვედა ინსტანციების სასამართლოების მიერ დადგენილი ოდენობით დაკისრება სცდებოდა როგორც უსაფუძვლო გამდიდრების, ასევე ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმების დანაწესს და შესაძლოა, მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების სახით ფაქტობრივად გაცდილ დანაკარგზე მეტი სიკეთის მიღების საშუალებად ქცეულიყო, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა აღნიშნული მითითებები და ზიანი ანაზღაურა კვლავ უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო გადანყვეტილება მოპასუხეებისათვის რ. ბ-ის სასარგებლოდ 13620 ლარის დაკისრების ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს განხილვის და შეფასების საგანს მიეკუთვნება მხოლოდ ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს ვალდებულებაა შეაფასოს, არის თუ არა სახეზე ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი ნორმების გამოყენების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან სასამარ-

თლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საჯარო უფლებამოსილებების არამართლზომიერი განხორციელება, რამაც მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება გამოიწვია, მიზანშეწონილად მიიჩნევს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნის მართებულობა სამართლებრივ კონტექსტში განიხილოს. საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით კი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკონკრეტებულია, რომ თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს.

საკასაციო პალატა ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე განმარტავს, რომ კანონმდებლობით ცალსახად არის დადგენილი სახელმწიფოს ვალდებულება, სრულად აანაზღაუროს მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანი, თუკი კუმულაციურად არსებობს ზიანის ანაზღაურების შემდეგი წინაპირობები: 1. საჯარო მოსამსახურის მიერ ჩადენილია მართლსაწინააღმდეგო ქმედება. ქმედება შეიძლება გამოიხატოს როგორც აქტიურ მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში. უმოქმედობა ატარებს უკანონო ხასიათს, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ მოვალეობებს, არ ახორციელებს სავალდებულო მოქმედებას; 2. დამდგარია შედეგი პირისთვის ზიანის მიყენების სახით; 3. არსებობს პირდაპირი მიზეზშედეგობრივი კავშირი ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზი-

ანს შორის. უნდა დადასტურდეს, რომ ზიანი წარმოიშვა სწორედ უკანონო ქმედების შედეგად; 4. ზიანის მიმყენებელი უნდა მოქმედებდეს ბრალეულად.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2010 წლის 12 ოქტომბერს მონყობილ აუქციონზე ქალაქ თბილისში, ... ..ში, დაზუსტებული ფართობით – 454 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ ...) შემძენი გახდა რ. ბ-ი. აუქციონის ოქმის თანახმად, ქონების სანყისი ფასი შეადგენდა 1 კვ.მ-ზე 25 ლარს. რ. ბ-ის მიერ შეთავაზებულ იქნა 13 620 ლარი, რაც ითვალისწინებდა 1 კვ.მ-ზე 30 ლარის გადახდას, რის საფუძველზეც რ. ბ-ი გამოცხადდა გამარჯვებულად. დადგენილია, რომ აღნიშნული №... აუქციონის ოქმის საფუძველზე, 2010 წლის 8 დეკემბერს, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაიცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა და მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა რ. ბ-ის სახელზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ის აქტები, რომელთა საფუძველზეც რ. ბ-ს წარმოეშვა საკუთრების უფლება. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ უკანონო ქმედების ჩადენას. აღნიშნული დადასტურებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით, რომლებითაც მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ გამოცემული სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, როგორც კანონსაწინააღმდეგო, სასამართლომ ბათილად ცნო. შედეგად ზიანი მიადგა რ. ბ-ს. შესაბამისად, დადასტურებულია მოპასუხეთა მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტი და მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა დამდგარ ზიანსა და განხორციელებულ ქმედებას შორის.

რაც შეეხება ზიანის მოცულობას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რამდენადაც საკასაციო სასამართლო დავის თავდაპირველად განხილვისას განჩინებაში, რომლითაც საქმე განსახილველად დაბრუნდა სააპელაციო სასამართლოში, კონკრეტულად მიუთითებდა და ასაბუთებდა საბაზრო ფასით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უსაფუძვლობას, საკასაციო სასამართლო მიზანშეუწონლად მიიჩნევს იმავე საფუძველზე კვლავ მსჯელობას და შეფასების თვალსაზრისით შემოიფარგლება მოთხოვნის მხოლოდ იმ ნაწილით, რომელიც უკავშირდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ლარის ინფლაციის საფუძველით, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა რ. ბ-ის მიერ აუქციონზე გადახდილი თანხის – 13620 ლარის მსყიდველობითი უნარი. აღსანიშნავია, რომ რ. ბ-ი სასარჩე-

ლო მოთხოვნას, მოცემულ შემთხვევაში 11380 ლარის დაკისრების ნაწილში, აფუძნებს როგორც შექენისა და დაკარვის პერიოდში არსებულ მიწის საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობაზე, ასევე საკუთრების შექენისა და დაკარგვის პერიოდებში აშშ დოლარსა და ეროვნულ ვალუტას – ლარს შორის არსებულ კურსთა სხვაობაზე. ამასთან დაკავშირებით ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა გაითვალისწინეს 2014 წლის მდგომარეობით არსებულ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებასა და უძრავი ქონების აუქციონზე შექენის დროს გადახდილ ღირებულებას შორის სხვაობა (უძრავი ქონების შექენისა და მისი დაკარგვის პერიოდი) და მიუთითეს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე, რომლის თანახმად, თბილისში, ... ..ში, ექსპერტიზაზე წარდგენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ ...) 1 კვ.მ-ის საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენდა 52 აშშ დოლარს, შესაბამისად, მთლიანი მიწის ნაკვეთის ღირებულებაა 23608 აშშ დოლარი, რაც შესაბამისი გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში არის 41430 ლარი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააკვეციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა არასწორია, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, ზიანის წარმოშობის საფუძვლების დადასტურების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სწორედ ის გარემოება, რომ სადავო აქტების სასამართლო წესით ბათილობის მიუხედავად, ანუ მას შემდეგ, რაც მოისპო თანხის გადაცემის სამართლებრივი საფუძველი, ადმინისტრაციულ ორგანოს არ მოუხდენია ნასყიდობის ღირებულების მოსარჩელისათვის დაბრუნება. თანხის დაბრუნების მიზნით მოსარჩელეს დასჭირდა ხანგრძლივი სასამართლო პროცესები, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის აქტის ბათილობით იმთავითვე გახდა ცნობილი, რომ არ არსებობდა უსაფუძვლოდ მიღებული თანხის დაყოვნების სამართლებრივი საფუძველი, ნასყიდობის ფასი კრედიტორს (მოსარჩელეს) არ გადასცემია არც საქმის განხილვის ეტაპებზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზიანის დაანგარიშების ვალდებულება ჩნდება იმ პირობებში, როდესაც ადგილი აქვს ბრალეულ ვადაგადაცილებას, რაც, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სახეზეა, რამდენადაც, ნასყიდობის ღირებულების დაბრუნება მოსარჩელისთვის არ ხდება მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს დაყოვნების საფუძველი, რის შედეგადაც მოსარჩელე დგას დანაკარგის წინაშე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დასაბრუნებელი ღირებულების დაანგარიშება უნდა მოხდეს კურსთაშორისი სხვაობის გათვალისწინებით (1 აშშ დოლარის 1 ლართან მიმართებაში, 13620 ლა-

რის დოლარზე კონვერტაციის პირობებში (2014 წლის 17 აპრილის მდგომარეობით, 13620 ლარი შეადგენდა 7769 აშშ დოლარს, ხოლო 2022 წლის 20 ივლისის მდგომარეობით – 4816 აშშ დოლარს, მათი სხვაობა კი – 2953 აშშ დოლარს)), კერძოდ, აუქციონის შედეგების ბათილად ცნობისა და გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის არსებულ კურსებს შორის სხვაობის გათვალისწინებით, რაც საქმის განხილვის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსის შესაბამისად, შეადგენს 8351 ლარს.

რაც შეეხება მოპასუხეებისათვის აზომვითი ნახაზის შედგენისათვის გადახდილი თანხის – 50 ლარის დაკისრების მართლზომიერებას, საკასაციო პალატა მიუთითებს 2010 წლის 29 დეკემბრის სალაროს შემოსავლის ორდერსა და №... ანგარიშ-ფაქტურაზე, რომლებითაც დადასტურებულია რ. ბ-ის კუთვნილი 454 კვ.მ. ნაკვეთის ნითელი ხაზის კუთხეების დაკვალვის ღირებულების – 50 (ორმოცდაათი) ლარის გადახდის ფაქტი. აღნიშნული მტკიცებულებებით დგინდება, რომ თანხის გადახდელია არა რ. ბ-ი, არამედ – დ. ო-ე. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე წარდგენილ იქნა დ. ო-ის ნოტარიულად დამოწმებული განცხადება, რომლითაც მან დაადასტურა 2010 წლის 29 დეკემბერს მის მიერ რ. ბ-ის მიწის ნაკვეთის დაკვალვის საფასურის – 50 ლარის გადახდის ფაქტი და მიუთითა, რომ რ. ბ-მა აუნაზღაურა (დაუბრუნა) დასახელებული თანხა. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ნაწილში მართებულია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ დაკვალვის ღირებულება უნდა ანაზღაურდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება სოლიდარული მოპასუხეთათვის ზიანის სახით 11380 ლარის (25000 – 13620 (ნასყიდობის ფასი)) დაკისრების ნაწილში არასრულია. შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება,

ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, ხოლო მოპასუხე გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდება მოსარჩელეს, რომელიც არ არის გათავისუფლებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასარჩელო მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომლის დაკმაყოფილებაზედაც მას უარი ეთქვა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 411-ე მუხლებით და

### **ბ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :**

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 17 ნოემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეებს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოსარჩელე რ. ბ-ის სასარგებლოდ თანაბარწილად დაეკისრათ ზიანის ანაზღაურება 11380 ლარის ოდენობით და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავ-

რობასა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოსარჩელე რ. ბ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ ზიანის ანაზღაურება 8351 ლარის ოდენობით;

4. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 17 ნოემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეებს: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოსარჩელე რ. ბ-ის სასარგებლოდ თანაბარწილად დაეკისრათ მის მიერ გადახდილი მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის შედგენისთვის დახარჯული 50 ლარის ანაზღაურება;

5. რ. ბ-ს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს მათ მიერ საკასაციო საჩივრებზე გადახდილი 1138 (569+569) ლარიდან 341.4 (170.7+170.7) ლარის გადახდა საკასაციო საჩივრების მოთხოვნების დაკმაყოფილების პროპორციულად;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების  
საფუძვლიანობა და ოდენობა**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-376(კ-22)

18 ოქტომბერი, 2022წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე  
გ. აბუსერიძე**

**დავის საგანი:** შენობის უკანონო დემონტაჟით გამოწვეული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, საქმის წარმოების განახლების ფარგლები

**აღწერილობითი ნაწილი:**

ე. რ-ემ, ლ. ხ-იმა, ე. ა-იმა, გ. კ-იმა, ზ. ა-იმა, ა. მ-იმა და მ. ჩ-იმა 2007 წელს სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის მიმართ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.01.2008წ. განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაება ქ. თბილისის მერიის ზემდამდეველობის საქალაქო სამსახური.

მოსარჩელებმა ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ქ. თბილისის მერიისთვის დაკისრება მოითხოვეს, კერძოდ, სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ: 1. ე. რ-ემ – 134.016 აშშ დოლარის, აგრეთვე 2007 წლის პირველი თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე ყოველთვიურად 1.000 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში, ლარში გადახდა გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, 2. ლ. ხ-იმა – 256.268 აშშ დოლარის, აგრეთვე 2007 წლის პირველი თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე ყოველთვიურად 1.600 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში, ლარში გადახდა გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, 3. ე. ა-იმა – 105.901 აშშ დოლარის, აგრეთვე 2007 წლის პირველი თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე ყოველთვიურად 550 აშშ დოლარის ეკვივალენ-

ტის ეროვნულ ვალუტაში, ლარში გადახდა გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, 4. გ. კ-იმა – 163.340 აშშ დოლარის, აგრეთვე 2007 წლის პირველი თებერვლიდან გადანყვეტილების აღსრულების დღემდე ყოველთვიურად 950 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში, ლარში გადახდა გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, 5. ზ. ა-იმა – 105.901 აშშ დოლარის, აგრეთვე 2007 წლის პირველი თებერვლიდან გადანყვეტილების აღსრულების დღემდე ყოველთვიურად 550 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში, ლარში გადახდა გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, 6. მ ჩ-იმა – 1.088.360 ევროს გადახდა. 7. ა. მ-იმა მოითხოვა 94.245 აშშ დოლარის, აგრეთვე 2007 წლის პირველი თებერვლიდან გადანყვეტილების აღსრულების დღემდე ყოველთვიურად 550 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში, ლარში გადახდა გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

მოსარჩელებმა – ე. რ-ემ, ლ. ხ-იმა, ე. ა-იმა, გ. კ-იმა და ზ. ა-იმა, ასევე ა. მ-იმა აღნიშნეს, რომ 2007 წლამდე კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ჰქონდათ საკუთრების უფლება 154 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ 494 კვ.მ. შენობაზე ნიღბის შესაბამისად. შენობა აშენდა კანონიერად, ნებართვის საფუძველზე და 2003 წელს მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში. 2007 წლის 30 იანვარს ქ. თბილისის მერიის მიერ განხორციელდა შენობის დემონტაჟი, რომელიც იყო უკანონო. ადმინისტრაციულ ორგანოს არ მიუღია წერილობითი გადანყვეტილება შენობის დემონტაჟის შესახებ, ამასთან, არც ზიანის გამომწვევი ქმედების განხორციელებამდე და არც მისი განხორციელების შემდეგ მესაკუთრეებისთვის არ განუმარტავთ შენობის დანგრევის სამართლებრივი საფუძველი. ამდენად, მესაკუთრეებმა მოითხოვეს ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო საქმიანობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩევე მ. ჩ-იმა მიუთითა, რომ 154 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებული 494 კვ.მ. შენობიდან შესაბამის ნიღზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული ჰქონდა შპს „მ...ს“. 2007 წლის 27 თებერვალს შპს „მ...მა“ მ. ჩ-ის დაუთმო 264.27 კვ.მ. შენობა-ნაგებობაზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ეროვნულ ვალუტაში 60.000 აშშ დოლარის ეკვივალენტის სანაცვლოდ, რაც იმ დროისთვის 103.200 ლარს შეადგენდა. ცესიონერმა მოითხოვა ზიანის – უძრავი ქონების ღირებულების ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.11.2009წ. გადაწყვეტილებით: 1. ე. რ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მერიას ე. რ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 124.468.89 ლარის ანაზღაურება, სარჩელის მოთხოვნის დანარჩენ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა; 2. ლ. ხ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მერიას ლ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 187.501.74 ლარის ანაზღაურება, სარჩელის მოთხოვნის დანარჩენ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა; 3. ე. ა-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მერიას ე. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა 83.832.72 ლარის, აგრეთვე 550 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში, ლარში გადახდა გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, ყოველთვიურად 2007 წლის 01 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადისა, სარჩელის მოთხოვნის დანარჩენ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა; 4. გ. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მერიას გ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 133.862.2 ლარის, აგრეთვე 550 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში, ლარში გადახდა გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, ყოველთვიურად 2007 წლის 01 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადისა, სარჩელის მოთხოვნის დანარჩენ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა; 5. ზ. ა-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მერიას ზ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა 83.832.72 ლარის, აგრეთვე 550 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში, ლარში გადახდა გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, ყოველთვიურად 2007 წლის 01 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადისა, სარჩელის მოთხოვნის დანარჩენ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა; 6. მ. ჩ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მერიას მ. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 103.200 ლარის გადახდა, სარჩელის მოთხოვნის დანარჩენ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა; 7. ა. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მერიას ა. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 83.832.72 ლარის, აგრეთვე 550 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში, ლარში გადახდა გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, ყოველთვიურად 2007

წლის 01 თებერვლიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადისა, სარჩელის მოთხოვნის დანარჩენ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მოსარჩელებისთვის ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის განსასაზღვრად გაითვალისწინა ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 30.10.2008წ. №1765/15/19 და 17.09.2009წ. №1363/04/19 ექსპერტის დასკვნები.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა არგუმენტაცია და უტყუარად დადგენილად მიიჩნია ქ. თბილისის მერიის შედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომელთა მიერ მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებული შენობის უკანონო დემონტაჟის ფაქტი. სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად სასამართლოს დავალებისა, მოპასუხის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის დემონტაჟთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალა, შენობის დანგრევა განხორციელდა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სკ-ის 992-ე, 1005-ე მუხლების თანახმად, მერია ვალდებულია აუნაზღაუროს მოსარჩელებს მიყენებული ზიანი. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.03.2009წ. №07/6205.13 და 26.06.2009წ. №12/40924.13 წერილების საფუძველზე, რომელთა მიხედვით ნაკვეთის სიმცირისა და ადგილმდებარეობის გამო, ნაკვეთის მიწისზედა სამშენებლო განვითარება შესაძლებელი იყო მხოლოდ მომიჯნავე ნაკვეთთან ერთად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელებს უნდა აუნაზღაურდეთ მხოლოდ შენობა-ნაგებობის საბაზრო ფასი ნაკვეთის ღირებულების გარეშე. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნები, ვინაიდან უძრავი ნივთი შეფასებული იყო მიწის ნაკვეთთან ერთად, ამასთანავე, დასკვნები არ იყო დასაბუთებული. სასამართლო დაეყრდნო ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ზემომითითებულ დასკვნებს, რომელთა მიხედვით, მეტროსადგურ „...ეს“ ამოსასვლელთან არსებული მგზავრთა მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 154 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება შეფასებული იქნა 50.820 ლარად, თითოეული მესაკუთრის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება ნაკვეთის საბაზრო ღირებულების გამოკლებით 2007 წლის იანვრისა და 2009 წლის თებერვლის მდგომარეობით შეადგენს: ე. რ-ის – 124.468.89 ლარს, ლ. ხ-ის – 187.501.74 ლარს, ე. ა-ის – 83.832.72 ლარს, გ. კ-ის – 133.862.2 ლარს, ზ. ა-ის – 83.832.72 ლარს, ა. მ-ის – 83.832.72 ლარს და შპს „მ...ის“ – 360.264 ლარს.

არასაცხოვრებელ ფართში აფთიაქის მოსაწყობად შპს „ა...სა“ და გ. კ-ის, ე. ა-ის, ზ. ა-ისა და ი. მ-ის შორის 01.08.2006წ. დადებული ხელშეკრულებისა და ვიდეოჩანანერის საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა ქირავნობის ურთიერთობის არსებობის ფაქტი და მიიჩნია, რომ მოპასუხეს უნდა დაეკისროს მიუღებელი შემოსავლის სახით 2007 წლის პირველი თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე ყოველთვიურად 550 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში – ლარში გადახდა, გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადისა (2011 წლის პირველ აგვისტომდე). რაც შეეხება ფართის იჯარის თაობაზე 02.01.2007წ. და 08.01.2007წ. ხელშეკრულებებს, სასამართლომ აღნიშნა, რომ უტყუარად არ დასტურდებოდა მხარეებს შორის საიჯარო ურთიერთობის არსებობის ფაქტი, რის გამოც ე. რ-ეს, ლ. ხ-ის და გ. კ-ის მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებაზე უარი უნდა ეთქვათ. 27.02.2007წ. საერთაშორისო აქტით შპს „მ...ის“ დირექტორის მიერ მოთხოვნის უფლებების მ. რ-ის სასარგებლოდ დათმობის გამო, რომელიც მხარეთა განცხადებით შეფასებული იყო 60.000 აშშ დოლარის ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში, რაც შეადგენდა 103.200 ლარს, სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. რ-ის სარჩელი მხოლოდ დათმობილი თანხის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

მოსარჩელებმა ე. რ-ემ, ლ. ხ-იმა, ე. ა-იმა, გ. კ-იმა ზ. ა-იმა, მ. რ-იმა, ასევე მოპასუხემ ქ. თბილისის მერიამ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.11.2009წ. გადაწყვეტილება. მოსარჩელებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მათი სასარჩელო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხემ – სარჩელების დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.05.2010წ. განჩინებებით განუხილველად იქნა დატოვებულ გ. კ-ის, ე. რ-ის და ზ. ა-ის სააპელაციო საჩივრები ხარვეზის შეუვსებლობის გამო. ამავე სასამართლოს 28.06.2010წ. განჩინებით განუხილველი დარჩა აგრეთვე ე. ა-ის სააპელაციო საჩივარი ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.03.2010წ. განჩინებით განსახილველად იქნა მიღებული ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი, 12.04.2010წ. განჩინებით – ლ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი და 31.05.2010წ. განჩინებით – მ. რ-ის სააპელაციო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.01.2011წ. გადანყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელების ლ. ხ-ისა და მ. ჩ-ის სააპელაციო საჩივრები, ხოლო მოპასუხის ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.11.2009წ. გადანყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება: 1. ე. რ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მერიას ე. რ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 533.4 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარში გადახდა გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად; 2. ლ. ხ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მერიას ლ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1536.40 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარში გადახდა გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად; 3. ე. ა-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მერიას ე. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა 570 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარში გადახდა გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, აგრეთვე 550 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარში გადახდა გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად ყოველთვიურად 2007 წლის 01 თებერვლიდან გადანყვეტილების აღსრულების დღემდე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადისა; 4. გ. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მერიას გ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 814.80 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარში გადახდა გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, აგრეთვე 550 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდა გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად ყოველთვიურად 2007 წლის 01 თებერვლიდან გადანყვეტილების აღსრულების დღემდე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადისა; 5. ზ. ა-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მერიას ზ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა 570 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარში გადახდა გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, აგრეთვე 550 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარში გადახდა გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად ყოველთვიურად 2007 წლის 01 თებერვლიდან გადანყვეტილების აღსრულების დღემდე, მაგრამ არაუმეტეს ხელ-

შეკრულებით გათვალისწინებული ვადისა; 6. მ. ჩ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მერიას მ. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 5285.40 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარში გადახდა გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად; 7. ა. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მერიას ა. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 570 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარში გადახდა გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, აგრეთვე 550 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდა გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად ყოველთვიურად 2007 წლის 01 თებერვლიდან გადანყვეტილების აღსრულების დღემდე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადისა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მოსარჩელებისთვის ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის განსასაზღვრად გაითვალისწინა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 10.12.2010წ. №15737/10/1 ექსპერტის დასკვნა. აღნიშნული დასკვნით შეფასდა შენობის დანგრევის შედეგად მიღებული მასალის საბაზრო ღირებულება, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია შენობის საბაზრო ღირებულებად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.01.2011წ. გადანყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ე. რ-ის, ლ. ხ-ის, ე. ა-ის, გ. კ-ის, ზ. ა-ისა და მ. ჩ-ის მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.07.2011წ. განჩინებით დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ლ. ხ-ის საკასაციო საჩივარი, 20.07.2011წ. განჩინებებით – გ. კ-ისა და მ. ჩ-ის საკასაციო საჩივრები. ამავე სასამართლოს 12.09.2011წ. განჩინებებით ე. რ-ის, ე. ა-ისა და ზ. ა-ის საკასაციო საჩივრები დატოვებულ იქნა განუხილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.09.2011წ. განჩინებით ლ. ხ-ის, გ. კ-ის და მ. ჩ-ის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

ლ. ხ-იმა და გ. კ-იმა 20.04.2012წ. №25601/12 საჩივრით მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომლის 17.12.2019წ. გადანყვეტილებით დადგინდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ

აპლიკანტებისთვის ეროვნულ დონეზე მიკუთვნებული ანაზღაურება არ იყო ადეკვატური. 10.12.2010წ. №15737/10/1 ექსპერტის დასკვნაში, რომელსაც დაეყრდნო თბილისის სააპელაციო სასამართლო, არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე განმარტება იმის დასაბუთებლად ან ასახსნელად, თუ რატომ უდრიდა შენობის დანგრევის შედეგად დარჩენილი მასალების ღირებულება შენობის ღირებულებას დანგრევამდე (§57). ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, კონვენციის ან მისი ოქმების მუხლების დარღვევის დადგენა სასამართლოწარმოების განახლებისა და ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილებების კონვენციის პრინციპების გათვალისწინებით გადასინჯვის საფუძველია. სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოწარმოების განახლება და წინამდებარე გადანყვეტილებაში ასახული პრინციპების გათვალისწინებით საკითხის გადასინჯვა მომჩივნებისთვის ანაზღაურების მიკუთვნების ყველაზე უფრო შესაფერისი გზაა („ხ-ი და კ-ი საქართველოს წინააღმდეგ“ (Khizanishvili and Kandelaki v. Georgia), no. 25601/12, §63, 17.12.2019წ.).

„ხ-ი და კ-ი საქართველოს წინააღმდეგ“ საქმეზე მიღებულ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 17.12.2019წ. გადანყვეტილებაზე მითითებით გ. კ-იმა და ლ. ხ-იმა მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას 18.05.2020წ. განცხადებით. განმცხადებლებმა მოითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.11.2009წ. გადანყვეტილების, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.01.2011წ. გადანყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმავე გადანყვეტილებაზე მითითებით საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება 08.06.2020წ. წარადგინა აგრეთვე ლ. ჩ-იმა, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.11.2009წ. გადანყვეტილების, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.01.2011წ. გადანყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.2020წ. განჩინებით გ. კ-ის, ლ. ხ-ისა და ლ. ჩ-ის განცხადებები დასაშვებად იქნა ცნობილი, ლა. ხ-ის უფლებამონაცვლედ დადგინდა ლ. ხ-ი, ხოლო მ. ჩ-ის უფლებამონაცვლედ – ლ. ჩ-ი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.07.2020წ. განჩინებით გ. კ-ის, ლ. ხ-ისა და ლ. ჩ-ის



განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.01.2011წ. გადაწყვეტილება გ. კ-ის, ლ. ხ-ის, ლ. ჩ-ის მოთხოვნის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში განახლდა საქმის წარმოება; განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.11.2009წ. გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, რაც გ. კ-ის, ლ. ხ-ისა და ლ. ჩ-ის მიერ გასაჩივრდა კერძო საჩივრით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.01.2011წ. გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით სააპელაციო სასამართლოს 25.08.2020წ. მიმართეს აგრეთვე ე. რ-ემ და ა. მ-იმა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.08.2020წ. განჩინებით ე. რ-ეისა და ა. მ-ის განცხადება განუხილველად იქნა დატოვებული, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 426-ე მუხლის 2<sup>1</sup> ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეუბნებში აღნიშნული საფუძვლის არსებობისას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება შეტანილ უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 თვის ვადაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 17.12.2019წ. გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 17.03.2020წ., ხოლო განცხადება სასამართლოში წარდგენილი იყო 25.08.2020წ., რის გამოც სააპელაციო პალატის მიერ განცხადება დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი. განჩინება განმცხადებლების მიერ გასაჩივრდა კერძო საჩივრით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.12.2020წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა გ. კ-ის, ლ. ხ-ისა და ლ. ჩ-ის კერძო საჩივარი. ამავე სასამართლოს 03.12.2020წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა აგრეთვე ე. რ-ეისა და ა. მ-ის კერძო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.06.2021წ. განჩინებით ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.12.2021წ. გადაწყვეტილებით გ. კ-ის, ლ. ხ-ისა და ლ. ჩ-ის სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გა-

უქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.11.2009წ. გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც 1. გ. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას გ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის სახით 138.000 აშშ დოლარის ეკვივალენტის გადახდა ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, აგრეთვე, მიუღებელი შემოსავლის სახით 650 აშშ დოლარის ეკვივალენტის გადახდა ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად ყოველთვიურად 2007 წლის 1 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე; 2. ლ. ხ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ლ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის სახით 210.000 აშშ დოლარის ეკვივალენტის გადახდა ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, აგრეთვე, მიუღებელი შემოსავლის სახით 650 აშშ დოლარის ეკვივალენტის გადახდა ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, ყოველთვიურად 2007 წლის 1 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე; 3. ლ. რ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ლ. რ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის სახით 416.000 აშშ დოლარის ეკვივალენტის გადახდა ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. ამასთან, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისრა: 1. გ. კ-ის სასარგებლოდ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 1800 ლარის ნაწილის – 900 ლარის გადახდა, 2. ლ. ხ-ის სასარგებლოდ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 5000 ლარის ნაწილის – 2500 ლარის გადახდა, 3. ლ. რ-ის სასარგებლოდ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 6800 ლარის ნაწილის – 3400 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ გ. კ-ის, ლ. ხ-ისა და ლ. რ-ისთვის ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის განსაზღვრად გაითვალისწინა შპს „პ...ის“ დამოუკიდებელი შემფასებლის 18.11.2021წ. ანგარიში.

გ. კ-ის, ლ. ხ-ისა და ლ. რ-ის სასარგებლოდ ანაზღაურებას დაქვემდებარებული ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის განსაზღვრასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ შენობის ღირებულება დადგინდა ორი განსხვავებული მეთოდით მიღებული შედეგის ურთიერთშეჯერებით და ასევე გათვალისწინა

ნებულ იქნა შეფასებისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებიც. ამდენად, შეფასებაში ასახული მონაცემების მიმართ ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობდა. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარეს დამატებით არ წარმოდგენია რაიმე მტკიცებულება დასკვნის სახით. სასამართლოს მოსაზრებით, აპელანტებს უნდა აუნაზღაურდეთ ზიანი მიწის ნაკვეთის ღირებულების ჩათვლით იმის გამო, რომ მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეზღუდულია მიწისზედა სამშენებლო განვითარება. ლ. ჩ-ისთვის ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „მ...მა“ მ. ჩ-ის მოთხოვნა დაუთმო სრულად და არა მხოლოდ 60.000 აშშ დოლარის ეკვივალენტის 103.200 ლარის ნაწილში. ამდენად, ლ. ჩ-ისთვის ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო არა მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებაში მითითებული თანხის, არამედ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის მიხედვით. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის სახით, სასამართლომ ქ. თბილისის მერიას დააკისრა გ. კ-ის სასარგებლოდ ეროვნულ ვალუტაში 138.000 აშშ დოლარის ეკვივალენტის გადახდა, ლ. ხ-ის სასარგებლოდ ეროვნულ ვალუტაში 210.000 აშშ დოლარის ეკვივალენტის გადახდა და ლ. ჩ-ის სასარგებლოდ ეროვნულ ვალუტაში 416.000 აშშ დოლარის ეკვივალენტის გადახდა.

გ. კ-ისა და ლ. ხ-ის სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა საფუძველიანია. დანგრეული შენობა იყო სავაჭრო ობიექტი, მას ჰქონდა კომერციული დანიშნულება. კომერციული ფართით მესაკუთრის მიერ სარგებლობა უპირველესად მიმართულია შემოსავლის მიღებისკენ. ამასთან, საქმის მასალებით, არასაცხოვრებელი ფართის ქირავნობის შესახებ 01.08.2006წ. ხელშეკრულებით დადგინდა გ. კ-ის მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელების ფაქტი შენობის დემონტაჟამდე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა გ. კ-ისა და ლ. ხ-ის საკუთრებაში არსებული ფართების კომერციაუნარიანობას (შემოსავლის მოსალოდნელობას). სააპელაციო სასამართლომ ყურადღება ასევე გაამახვილა არასაცხოვრებელი ფართის იჯარის შესახებ 08.01.2007წ. ხელშეკრულებაზე და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ 08.01.2007წ. ხელშეკრულებით უტყუარად არ დასტურდებოდა მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობის არსებობის ფაქტი. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საფუძველიანად მიჩნევის შემდეგ, 01.08.2006წ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის თანხის საფუძველზე (1. კვ. მეტრი დაახლო-

ებით 10-20 აშშ დოლარი) სასამართლომ განსაზღვრა გ. კ-ისა და ლ. ხ-ის სასარგებლოდ ასანაზღაურებელი მიუღებელი შემოსავლის ოდენობა. სასამართლოს მოსაზრებით, მოსალოდნელია გ. კ-ისა და ლ. ხ-ის მიერ 2007 წლის პირველი თებერვლიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე ეროვნულ ვალუტაში ყოველთვიურად 650 აშშ დოლარის ეკვივალენტის შემოსავლის მიღება.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.12.2021წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით გ. კ-ის, ლ. ხ-ის და ლ. ჩ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან მიმართებით არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. კასატორს მიაჩნია, რომ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ექვემდებარება გაუქმებას სსკ-ის 393-ე მუხლის საფუძველზე. სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

შიდასახელმწიფოებრივ დონეზე სამივე ინსტანციის სასამართლოში დავის ამონურვის შემდგომ დავას გაგრძელება მოჰყვა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, არსებობს ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის 1-ლი

მუხლის დარღვევა. ამდენად, არსებობდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების სამართლებრივი საფუძველი, თუმცა მხოლოდ თავდაპირველი მოსარჩელე მხარის სააპელაციო საჩივრის განხილვის ნაწილში. არსებული მდგომარეობა იძლეოდა მხოლოდ საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების (საქმე №03/539/07) გაზიარების საშუალებას, თუმცა ხსენებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით საქმისათვის არსებითად მნიშვნელოვანია უძრავი ქონების ღირებულების სწორი და ობიექტური შეფასება. თბილისის სააპელაციო სასამართლო უტყუარად იზიარებს მხოლოდ აპლიკანტი მხარის მიერ წარმოდგენილ შპს „პ...ის“ 18.11.2021წ. დამოუკიდებელი შემფასებლის ანგარიშს და მიიჩნევს, რომ ანგარიშში ასახულ მონაცემებში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, პალატა საერთოდ შეფასების მიღმა ტოვებს საქმეში უკვე არსებული თავად სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნებს (№1765/15/19 და №1363/04/19 დასკვნები). სსკ-ის 105.2 მუხლის თანახმად სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. სსკ-ის 244-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს. გასაჩივრებული გადაწყვეტილება მართლაც, რომ მიღებულია მხოლოდ სასამართლოს შინაგანი რწმენის საფუძველზე, ადგილი არ ჰქონია მტკიცებულებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ადგენს სასამართლოს ვალდებულებას დაასაბუთოს თავისი პოზიცია თითოეულ საკითხთან დაკავშირებით, სსკ-ის 394-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა ყოველთვის იწვევს მის გაუქმებას.

მ. ჩ-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ 27.02.2007წ. სანოტარო აქტის საფუძველზე მიუთითა, რომ შპს „მ...ის“ დირექტორმა მ. ჩ-ის სასარგებლოდ დათმო მოთხოვნის უფლება, ხოლო მ. ჩ-იმა მიიღო შპს „მ...ის“ მიერ დათმობილი უფლება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სანოტარო აქტში მითითებული თანხა (103 200 ლარი) არის მხარეთა ზეპირი განცხადების საფუძველზე ქონების შეფასება და არ ასახავს შპს „მ...ის“ კუთვნილი ქონების რეალურ საბაზრო ღირებულებას, შპს „მ...მა“ 264,27 კვ.მ.-ზე მოთხოვნის უფლება სრულად დაუთმო მ. ჩ-ის და

არა მხოლოდ ქონების სავარაუდო ღირებულების ფარგლებში. კასატორი თვლის, რომ სანოტარო აქტით დგინდება მოთხოვნის მხოლოდ 103 200 ლარის ფარგლებში დათმობა. კასატორი თვლის, რომ უსაფუძვლოა ლ. ჩ-ის სარჩელის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მერიისათვის 416 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი სადღეისოდ ისევ მოსარჩელეთა საკუთრებაშია, ამდენად, გაუგებარია უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების გადახდის დაკისრება მიწის ნაკვეთის ღირებულების მიხედვით.

აპელანტების მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას გ. კ-ის და ლ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 650 აშშ დოლარის ეკვივალენტის გადახდა ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, ყოველთვიურად 2007 წლის 1 თებერვლიდან გადანაცვტილების აღსრულებამდე. შემოსავლის მიღების ფაქტი სასამართლომ დაადასტურა სწორედ საქმეში არსებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებებით, საერთოდ არ იქნა გათვალისწინებული ხელშეკრულების მოქმედებების ვადა, სრულიად უსაფუძვლოდ მერიას დაეკისრა აპელანტების სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის სახით თანხის გადახდა 2007 წლის 1 თებერვლიდან გადანაცვტილების აღსრულებამდე და არა ხელშეკრულების მოქმედების ვადის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისად არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა სადავო საკითხს, სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განმარტებული კანონი და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადანაცვტილება, რომელიც იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული, დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც კასატორი ითხოვს გასაჩივრებული გადანაცვტილების გაუქმებას სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადანაცვტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

გ. კ-ის, ლ. ხ-ის, ლ. ჩ-ის წარმომადგენელმა შესაგებლით მომართა საკასაციო სასამართლოს, რომელშიც აღნიშნა, რომ მარწმუნებლების თანასაკუთრებაში არსებული შენობის დანგრევის უკანონობა სადავო არ არის, დასადგენი იყო ზიანის ანაზღაურების ოდენობა. სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომებზე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებს რაიმე დასკვნა არ წარმოუდგენიათ და არც სასამართლოსათვის მიუმართავთ

დანგრეული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენისათვის ექსპერტიზის დასანიშნად, შპს „მ...ის“ მიერ გაცემული დამოუკიდებელი შემფასებლის ანგარიში სადავო არ გამხდარა, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის დასკვნები ვერ იქნებოდა რელევანტური 2021 წლის ქონების შეფასების და ზიანის ანაზღაურების განსაზღვრის მიზნისათვის. შესაგებლის ავტორი აღნიშნავს აგრეთვე, რომ შპს „მ...ის“ მიერ მ. ჩ-ის სასარგებლოდ დათმობილ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაში მითითებული თანხა წარმოადგენს მხარეთა ზეპირი განცხადების საფუძველზე მითითებული ქონების შეფასებას და არანაირად არ ასახავს ქონების საბაზრო ღირებულებას. შესაგებლის ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შპს „მ...ის“ ზიანის ანაზღაურება არანაირად არ მიუღია, რაც ადასტურებს ზიანის ანაზღაურების უფლების მ. ჩ-ისათვის სრულიად და არა მხოლოდ ქონების სავარაუდო ღირებულების ფარგლებში დათმობას. შესაგებლის ავტორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ 09.12.2021წ. გადაწყვეტილებით სრულიად სწორად განსაზღვრა მიუღებელი შემოსავლის სახით თანხის ანაზღაურების საკითხი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების მიხედვით, 154 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და მასზე განლაგებულ 494 კვ.მ. შენობაზე ვრცელდებოდა კერძო პირების (სულ 7 სუბიექტის) საკუთრების უფლება. აღნიშნული შენობის დემონტაჟი 30.01.2007წ. განხორციელდა უკანონოდ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი სამსახურების მიერ, რითაც მოსარჩელებს ზიანი მიადგა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს №25601/12 საჩივარზე მიღებული 17.12.2019წ. გადწყვეტილებით (საქმე „ხ-ი და კ-ი საქართველოს წინააღმდეგ“ (Khizanishvili and Kandelaki v. Georgia)) დადგინდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების დაცვა) დარღვევა, რადგან აპლიკანტებს არ მიეცათ სრული კომპენსაცია მათი საკუთრების უკანონო დანგრევის სანაცვლოდ (§59). ქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ კონვენციის ან მისი მუხლების დარღვევის დადგენა წარ-

მოადგენდა სასამართლონარმოების განახლებისა და კონვენციის პრინციპების გათვალისწინებით ეროვნული სასამართლოების გადწყვეტილებების გადასინჯვის საფუძველს (§63, წინად. 3).

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 46.1 მუხლის თანახმად, კონვენციის ხელშემკვერელმა მხარეებმა იკისრეს ევროპული სასამართლოს იმ საბოლოო გადწყვეტილებების აღსრულება, რომელშიც ისინი მხარეს წარმოადგენდნენ. კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად, ევროსასამართლოს გადწყვეტილების აღსრულება არის საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულება, უკანასკნელი თავის მხრივ გამომდინარეობს კონვენციის რატიფიცირების ფაქტიდან. ევროპული სასამართლოს გადწყვეტილების აღსრულებლად სასამართლოს შეუძლია მიუთითოს სახელმწიფოს ინდივიდუალური და/ან გენერალური (ზოგადი) ღონისძიებების განხორციელებაზე, რათა აღმოიფხვრას მდგომარეობა, რომელიც საფუძველად დაედო კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევას („სუსო მალტის წინააღმდეგ“ (*Suso Musa v. Malta*), §120, 23.07.2013წ.). ინდივიდუალური ღონისძიებები ვრცელდება ინდივიდუალურ აპლიკანტზე (პირზე, რომელმაც აპლიკაციით/საჩივრით მიმართა ევროპულ სასამართლოს), ხოლო გენერალური – დაკავშირებულია სტრუქტურულ პრობლემასთან (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის 46-ე მუხლთან დაკავშირებით შემუშავებული სახელმძღვანელო *Guide on Article 46 of the European Convention on Human Rights*, ბოლო განახლება: 30.04.2022წ., გვ. 7-8, 10), შესაბამისად არ არის გამორიცხული გენერალური ღონისძიების არააპლიკანტ პირებზე (პირებზე, რომლებსაც არ მიუმართავთ აპლიკაციით/საჩივრით ევროპული სასამართლოსთვის) გავრცელება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ეროვნულ დონეზე დამთავრებული საქმის წარმოების განახლება და კანონიერ ძალაში მყოფი გადწყვეტილების გადასინჯვა ევროპული სასამართლოს გადწყვეტილების აღსრულების ინდივიდუალური ღონისძიებაა (კონვენციის 46-ე მუხლის სახელმძღვანელო, პ. 15), შესაბამისად იგი ვრცელდება აპლიკანტებზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადწყვეტილების საფუძველზე საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით მიღებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (2000)2 და ამ უკანასკნელის განმარტებითი მემორანდუმი (ბარათი). არც უშუალოდ რეკომენდაცია და არც მისი განმარტებითი მემორანდუმი არ მიუთითებენ იმ არააპლიკანტი პირის მიმართ საქმის წარმოების განახლების სახელმწიფო ვალდებულებაზე, რომლის მიმართაც არსებობს დავის დამამთავრე-



ბელი, დამაგვირგვინებელი ეფექტის მქონე გადანყვეტილება. კონვენციის 46.1 მუხლით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, სახელმწიფომ სამომავლოდ უნდა მოახდინოს ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებით საქმეზე დადგენილი დარღვევის მსგავსი დარღვევების პრევენცია. ამასთან ერთად, ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „გუდმუნდურ ანდრი ასტრადსონი ისლანდიის წინააღმდეგ“ (Gudmundur Andri Astradsson v. Iceland) §314, 01.12.2020წ. მიღებულ გადანყვეტილებაში ხაზი გაუსვა იმას, რომ კონკრეტულ საქმეზე დარღვევის დადგენა შესაძლოა არ იქნეს მიჩნეული კონვენციის საფუძველზე სახელმწიფოსთვის იმ ვალდებულების დაკისრებად, რომ გადახედოს ყველა მსგავს შემთხვევას, რომელთან დაკავშირებით ვრცელდება ეროვნულ დონეზე მიღებული ბოლო გადანყვეტილების დამამთავრებელი ეფექტის პრინციპი ანუ არსებობს კანონიერ ძალაში მყოფი გადანყვეტილება. აღნიშნულ სამართლებრივ განმარტებასთან თანმხვედრია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის პრაქტიკაც (შდრ. სუსგ 10.07.2018წ., №33აგ.-2017). წარსულში მომხდარი საერთო იურიდიული მნიშვნელობის მქონე გარემოებასთან დაკავშირებით (მაგ. არაკანონიერი შემადგენლობის მიერ საქმეზე გადანყვეტილების მიღება) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებებით (საქმეები „გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ“ („Gorguiladze v. Georgia“) 20.10.2009წ. და „ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ („Pandjikidze and Others v. Georgia“) 27.10.2009წ.) დარღვევის დადგენის მიუხედავად არ დაკმაყოფილდა იმ არააპლიკანტი პირის მოთხოვნა დამთავრებული საქმის წარმოების განახლებაზე, რომლის მიმართაც იმავე ორგანოს მიერ მიღებული კანონიერ ძალაში მყოფი გადანყვეტილება არსებობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლოა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულების არააპლიკანტ პირებზე გავრცელდება. ასეთს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სახელმწიფოს ევალება გენერალური ღონისძიებების განხორციელება. სახელმწიფოსთვის გენერალური ღონისძიებების განხორციელების დაკისრების საფუძველია ევროპული სასამართლოს პილოტური ან კვაზიპილოტური, კონკრეტული გადანყვეტილება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგლამენტის (Rules of Court) 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, პილოტური გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიეთითება სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები. გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ შეიძლება აღნიშნოს, რომ ღონისძიებები უნდა განხორციელდეს რეტროაქტიული ეფექტი-

თაც კი (შდრ. პირველი პილოტური გადაწყვეტილება, „ბრონიოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ“ („Broniowski v. Poland“) §193, 22.06.2004წ.). ამასთან, პილოტური გადაწყვეტილებების პროცედურის შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნოს საინფორმაციო ანგარიშის (The Pilot-Judgment Procedure, Information note issued by the Registrar) მე-7 პუნქტის თანახმად, ყველა კატეგორიის განმეორებადი საქმე ვერ იქნება შესაფერისი პილოტური გადაწყვეტილების პროცედურისთვის. ამ მექანიზმის გარდა, ევროპულ სასამართლოს აქვს კვაზიპილოტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. ცალკეულ შემთხვევებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილების მხოლოდ სამოტივაციო ნაწილში (და არა სარეზოლუციო ნაწილშიც) აღნიშნავს, რომ ინდივიდთა მთელი ჯგუფის მიმართ სახელმწიფოს ევალება უფლების აღდგენის ღონისძიებების განხორციელება – თუ საჭიროა რეტროსპექტულად (შდრ. „ბაიბაპინი ნიდერლანდების წინააღმდეგ“ („Baybapyn v. the Netherlands“) §79, 06.07.2006წ.). რეტროსპექტული (არანამდვილი უკუძალის მქონე) ღონისძიება განსხვავდება რეტროაქტიული (ნამდვილი უკუძალის მქონე) ღონისძიებისგან (შდრ. სუსგ 13.09.2021წ., №ბს-1128(კ-19)). მართალია, ორივე მათგანი დაკავშირებულია წარსულში მომხდარ (რეტრო-) სამართლებრივად მნიშვნელოვან გარემოებასთან, თუმცა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება რეტროსპექტული ეფექტით გავლენას ახდენს განგრძობადი, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სამართლებრივი ურთიერთობის (დავის) შედეგზე, ხოლო რეტროაქტიული ეფექტით იწვევს უკვე დასრულებული სამართლებრივი ურთიერთობის (დავის) შედეგის გადასინჯვას. პირველ შემთხვევაში (რეტროსპექტულობა) ადგილი აქვს ვითარებას, როდესაც ევროპულ სასამართლოს დადგენილი აქვს დარღვევა აპლიკანტის მიმართ, ამასთან, პარალელურად ეროვნულ დონეზე მიმდინარეობს დავა მატერიალურ-სამართლებრივ საკითხზე იმ სხვა პირებთან მიმართებით, რომლებიც აპლიკანტის იდენტურ სამართლებრივ მდგომარეობაში იმყოფებიან და ჯერ არ ამოუწურავთ უფლების დაცვის შიდასამართლებრივი მექანიზმები. აპლიკანტსა და იდენტურ სამართლებრივ მდგომარეობაში მყოფ არააპლიკანტ პირებს შორის ქრონოლოგიური სხვაობა შესაძლოა განპირობებული იყოს არაერთი ფაქტორით, ეროვნულ დონეზე სხვადასხვა დროს სარჩელის მიმართვით, საქმის წარმოების დასრულებისთვის საჭირო განსხვავებული პერიოდით და სხვ.. ამის საპირისპიროდ, რეტროაქტიული ეფექტის შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ეროვნულ დონეზე მატერიალურ-სამართლებრივ საკითხზე სასამართლო დავის დასრულების ანუ დამამთავრებელი ეფექტის მქონე

გადანყვეტილების მიღების მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულების მიზნით სახელმწიფოს ეკისრება მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის შეცვლის ვალდებულება პირთა ფართო წრის მიმართ, მაგ. დამთავრებული სხვა მსგავსი საქმეების გადახედვა. ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულების საშუალებებია რეტროსპექტიული ან რეტროაქტიული ეფექტის მქონე ინდივიდუალური და გენერალური ღონისძიებები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პილოტური და კვაზიპილოტური გადანყვეტილებების მიღების შემთხვევაშიც კი ევროპული სასამართლოს ყურადღების მიღმა არ რჩება იმის მითითება, რომ გენერალური ღონისძიებები უნდა განხორციელდნენ კონვენციის სუბსიდარული ხასიათის შესაბამისად (შდრ. „ბრონიოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ“ („Broniowski v. Poland“) §193, 22.06.2004წ. და „ბაიბაპინი ნიდერლანდების წინააღმდეგ“ („Baybapyn v. the Netherlands“), §79, 06.07.2006წ.). ვინაიდან ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებას აღიარებითი ხასიათი აქვს, ანუ იგი უფლებამოსილია დაადგინოს დარღვევა, მაგრამ არ არის უფლებამოსილი უშუალოდ გააუქმოს ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება, ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებების აღსრულებას ხელს უწყობს ქვეყნის შიდა კანონმდებლობის ნორმები, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიჩნევა (სსკ-ის 423.1 მუხ. „ზ“ ქვ.პ.), უკეთუ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით დგინდება გადასასინჯი გადანყვეტილებით კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა. ევროპული სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულების არათუ ინდივიდუალური, არამედ გენერალური ღონისძიებების გამოყენებაზე მითითების დროსაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადასტურებს მათ განხორციელებას კონვენციის სუბსიდარული ხასიათის გათვალისწინებით. ინდივიდუალური ღონისძიებით, მაგ. ეროვნული სასამართლოს მიერ საქმეზე წარმოების განახლების გზით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულების ფარგლები ვრცელდება „ინდივიდუალური აპლიკანტების“ მიმართ. გენერალური ღონისძიება რეტროსპექტიულად დასაშვებია გავრცელდეს იმ სხვა, არააპლიკანტი პირის მიმართაც, რომელიც იმყოფება აპლიკანტის იდენტურ მატერიალურ-სამართლებრივ მდგომარეობაში და რომელთან დაკავშირებითაც ეროვნულ დონეზე ჯერ მიღებული არაა საბოლოო (კანონიერ ძალაში შესული) გადანყვეტილება, ხოლო რეტროაქტიულად გენერალური ღონისძიება შეეხება პირთა ფართო წრეს, მიუხედავად მათ მიმართ მატე-

რიალურ-სამართლებრივი საკითხთან დაკავშირებით დამამთავრებელი ეფექტის მქონე გადაწყვეტილების ეროვნულ დონეზე არსებობისა.

სახელმწიფოს უნარჩუნდება თავისუფლება აირჩიოს ღონისძიება, რომლითაც შეასრულებს კონვენციის 46.1 მუხლს, იმის გათვალისწინებით, რომ შერჩეული ღონისძიება სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახულ დასკვნებთან თანხვედრაში იქნება („პაპამიჩალოპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ“ (Papamichalopoulos and Others v. Greece (Article 50)), §34, 31.10.1995წ.). მნიშვნელოვანია ასევე, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდეს ეფექტიანად, კეთილსინდისიერად და გადაწყვეტილების „დასკვნებისა და სულისკვეთების“ შესაბამისად („ემრე შვეიცარიის წინააღმდეგ“ (Emre v. Switzerland (no. 2)), §75, 11.01.2012წ., შდრ. „ილგარ მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ“ („Ilgar Mammadov v. Azerbaijan“), §181, 195, 29.05.2019წ.). აღნიშნულთან ერთად ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დაადასტურა სადავო მატერიალურ-სამართლებრივი საკითხის მიმართ ეროვნულ წარმოებაში მიღებული ბოლო გადაწყვეტილების დამამთავრებელი ეფექტის (res judicata) პრინციპის მოქმედება („ბოჩანი უკრაინის წინააღმდეგ“ („Bochan v. Ukraine“ (no. 2)), §44, 05.02.2015წ.). სამართლებრივი გარკვეულების პრინციპი გულისხმობს, რომ არც ერთ მხარეს არ აქვს საბოლოო და ძალაში შესული გადაწყვეტილების გადახედვის უფლება საკუთრივ მხოლოდ ხელახლა განხილვისა და საქმის ახლებურად გადაწყვეტის მიზნით, ერთი და იმავე საკითხზე ორი განსხვავებული მოსაზრების არსებობა იმთავითვე არ წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს (ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „რიაბიხი რუსეთის წინააღმდეგ“ („Ryabych v. Russia“), 24.07.2003წ. §52; „ზელტიაკოვი უკრაინის წინააღმდეგ“ („Zheltyakov v. Ukraine“), 09.06.2011წ., §42, §43). ხელშემკვრელი სახელმწიფო განსაზღვრავს თუ როგორ აღსრულოს საუკეთესოდ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ისე, რომ გადამეტებულად არ დაზიანდეს ეროვნულ წარმოებაში მიღებული ბოლო გადაწყვეტილების დამამთავრებელი ეფექტისა და სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპები სამოქალაქო სასამართლო დავაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დავა აპლიკანტის მოწინააღმდეგე, დასაცავი კანონიერი ინტერესის მქონე პირებთან არის დაკავშირებული („ბოჩანი უკრაინის წინააღმდეგ“ („Bochan v. Ukraine“ (no. 2)), §57, 05.02.2015წ.). განსახილველ შემთხვევაში „ხ-ი და კ-ი საქართველოს წინააღმდეგ“ საქმეზე ევროპული სასამართლოს 17.12.2019წ. გადაწყვეტილებით საქმის წარმოების განახლება მოხსენიებულია როგორც სამოქალა-

ქო პროცესი (პ. 63), რის გამოც აღნიშნული კატეგორიის ეროვნული დონეზე მიღებული გადაწყვეტილების მიმართ ვრცელდება გადაწყვეტილების დამამთავრებელი ეფექტის პრინციპი. როგორც აღინიშნა გადამეტებულად არ უნდა დაზიანდეს ეროვნულ წარმოებაში მიღებული გადაწყვეტილების დამამთავრებელი ეფექტისა და სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დავა დასაცავი კანონიერი ინტერესის მქონე აპლიკანტის მონინალმდევე პირთან არის დაკავშირებული. სასამართლო დავაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა არ გამორიცხავს ამგვარი მიდგომის გამოყენებას ადმინისტრაციული კატეგორიის დავებზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მითითებული ტერმინი – „სამოქალაქო სასამართლო დავა“ (კონვენციის მე-6 მუხ.) მოიცავს ეროვნული კანონმდებლობით ადმინისტრაციული კატეგორიის საქმესაც, მათ შორის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ საქმეს (შდრ. „კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ“ („Cyprus v. Turkey“), §234, 237, 240, ECHR 2001-IV). აღნიშნული ცნება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, არ განმარტება მხოლოდ და მხოლოდ მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნული სამართლის მიხედვით. აღნიშნული ცნება ავტონომიურია, დამოუკიდებელია, კონვენციის თვალსაზრისით (6.1 მუხ.) უფლების სამოქალაქოდ მიჩნევა დამოკიდებულია არა შიდა კანონმდებლობის იურიდიულ კვალიფიკაციაზე (რომლის თანახმად განსახილველი დავა არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციულ კატეგორიათა რიგს განეკუთვნება), არამედ იმაზე, თუ რა მატერიალური შინაარსია ჩადებული მასში კანონმდებლობით და რა შედეგს უკავშირებს მას იგი, კონვენციის თანახმად, დავა სამოქალაქო უფლებებს ეხება ნებისმიერი სამართალწარმოებისას, რომლის შედეგს განმსაზღვრელი ხასიათი აქვს კერძო უფლება-მოვალეობებისთვის („რინგეისენი ავსტრიის წინააღმდეგ“ (Ringelsen v Austria), no. 2614/65, § 94, 16.07.1971წ.; „ფერაზინი იტალიის წინააღმდეგ“ (Ferrazzini v Italy), no. 44759/98, §24, 27, 12.07.2001წ.; „ბარაონა პორტუგალიის წინააღმდეგ“ (Baraona v Portugal), no. 10092/82, §42, 08.07.1987წ.). მოცემულ საქმეზე ერთმანეთს უპირისპირდება ერთი მხრივ, ბოლო გადაწყვეტილების დამამთავრებელი ეფექტის პრინციპი და მეორე მხრივ, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საუკეთესო აღსრულების მოთხოვნა, რის გამოც მნიშვნელობის მქონე საკითხია სასამართლოწარმოების განახლებისა და ეროვნულ დონეზე მიღებული კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილების გადასინჯვის ფარგლები როგორც აპლიკანტი, ასევე არააპლიკანტი პირების მიმართ, რათა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარ-

თლოს №25601/12 საჩივარზე მიღებული 17.12.2019წ. გადაწყვეტილება საუკეთესოდ აღსრულდეს შესაბამისი ღონისძიებებით და ეროვნულ დონეზე დამამთავრებელი ეფექტის პრინციპის გადამეტებულად დაზიანება თავიდან იქნეს არიდებული.

სააპელაციო სასამართლოს 15.06.2020წ. განჩინებით დასაშვებად იქნა მიჩნეული ლ. ჩ-ის განცხადება საქმის წარმოების განახლებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.01.2011წ. გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. სააპელაციო სასამართლოს 07.07.2020წ. განჩინებით დაკმაყოფილდა მითითებული განცხადება, ლ. ჩ-ის ნაწილში გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.01.2011წ. გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება. მოცემულ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს №25601/12 საჩივარზე მიღებული 17.12.2019წ. გადაწყვეტილებიდან გამომდინარე (საქმე „ხ-ი და კ-ი საქართველოს წინააღმდეგ“) სახელმწიფოს არ ეკისრება ლ. ჩ-ის მიმართ გადაწყვეტილების აღსასრულებლად სასამართლოში საქმის წარმოების განახლების გზით ინდივიდუალური და/ან გენერალური ღონისძიების განხორციელების ვალდებულება, ვინაიდან მას (მის მამკვიდრებელს) არ მიუმართავს ევროპული სასამართლოსთვის. სასამართლოში საქმის წარმოების განახლება რეტროაქტიული ინდივიდუალური ღონისძიებაა და როგორც ინდივიდუალური საშუალება ვრცელდება აპლიკანტზე, ინდივიდზე (კონვენციის 46-ე მუხლის სახელმძღვანელო (Guide on Article 46 of the European Convention on Human Rights), გვ. 7, 8 და 10, ბოლო განახლება: 30.04.2022წ.). ვინაიდან ლ. ჩ-ის მამკვიდრებელს არ მიუმართავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის კონვენციის 35.1 მუხლით გათვალისწინებულ 6-თვიან ვადაში, იგი არაა აპლიკანტი იმ საქმეზე, რომელთან დაკავშირებითაც მიღებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 17.12.2019წ. გადაწყვეტილება, საქმის მასალებში დაცული არაა ადამიანის უფლება ევროპული სასამართლოს სხვა ისეთი გადაწყვეტილება, რომლითაც დგინდება ინდივიდუალურად ლ. ჩ-ის მიმართ მატერიალურ-სამართლებრივი უფლების დარღვევა, საქმეზე გამოკვლეული არაა ლ. ჩ-ის მამკვიდრებლის მიერ ევროპული სასამართლოსთვის კონვენციის 35.1 მუხლის მოთხოვნების დაცვით მიმართვის ფაქტი. ამას გარდა, ევროპული სასამართლოს №25601/12 საჩივარზე მიღებული 17.12.2019წ. გადაწყვეტილება არც პილოტური და არც კვაზიპილოტური ხასიათის გადაწყვეტილებაა, რაც საფუძვლად დაედებოდა მის აღსასრულებლად გენერალური ღონისძიებების განხორციელებას და შესაბამისად მისი შედეგების არააპლიკანტ პირებზე გავრცელებას.

გადანყვეტილების არც სარეზოლუციო და არც სამოტივაციო ნა-  
ნილები არ შეიცავენ შინაარსობრივ მითითებას გენერალური ლო-  
ნისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით, რათა გადანყვე-  
ტილება ჩაითვალოს პილოტური ან კვაზიპილოტური ხასიათის მქო-  
ნედ. საქმის წარმოების განახლების თაობაზე ლ. ჩ-ის განცხადება-  
ში აღნიშნულია, რომ ევროპული სასამართლოს №25601/12 საჩი-  
ვარზე მიღებული 17.12.2019წ. გადანყვეტილების წ63 თანახმად,  
„[ევროპული] სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო პროცესის  
განახლება და საკითხის იმ პრინციპების გათვალისწინებით გან-  
ხილვა, რაც იდენტიფიცირებულ იქნა ამ გადანყვეტილებაში, წარ-  
მოადგენს ანაზღაურების მიკუთვნების ყველაზე უფრო შესაფე-  
რის გზას“.

საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს  
იმაზე, რომ საქმის მასალებში დაცული ქართულენოვანი თარგმა-  
ნი სრულყოფილად არ გადმოსცემს 17.12.2019წ. გადანყვეტილე-  
ბის წ63-ის მეოთხე წინადადების შინაარსს. საკასაციო სასამართლო  
უპირატესობას ანიჭებს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესა“  
და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალურ  
ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული გადანყვეტილების ავთენტურ  
ტექსტს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ვებ-გვერ-  
დზე ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომი, ასევე „საქართველოს სა-  
კანონმდებლო მაცნეზე“ ქართულ ენაზე გამოქვეყნებული  
17.12.2019წ. გადანყვეტილების 63-ე პარაგრაფის მე-4 წინადადე-  
ბის მიხედვით, „[ევროპული] სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქა-  
ლაქო პროცესის განახლება ... წარმოადგენს ანაზღაურების მიკუთ-  
ვნების ყველაზე უფრო შესაფერის გზას აპლიკანტებისთვის/მომ-  
ჩივნებისთვის.“ ამავე გადანყვეტილების §1-ის თანახმად, საქმე-  
ზე პირველი აპლიკანტია – ლ. ხ-ი, ხოლო მეორე – გ. კ-ი, აპლიკან-  
ტად მოხსენიებული არაა ლ. ჩ-ის მამკვიდრებელი მ. ჩ-ი. ევროპუ-  
ლი სასამართლოს 17.12.2019წ. გადანყვეტილება არა მხოლოდ არ  
შეიცავს მითითებას რეტროაქტიული ეფექტით აღსრულების გე-  
ნერალური ლონისძიებების გამოყენების თაობაზე, არამედ პირდა-  
პირ მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესის განახლება ანაზღა-  
ურების მიკუთვნების ყველაზე უფრო შესაფერისი გზაა აპლიკან-  
ტებისთვის, რომელთა შორის არაა ლ. ჩ-ის მამკვიდრებელი. ადამი-  
ანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის ან მი-  
სი ოქმის დარღვევის დადგენა არ მიიჩნევა იმავე იურიდიული მნიშ-  
ვნელობის მქონე ფაქტთან დაკავშირებული ყველა პირის მიმართ  
კანონიერ ძალაში მყოფი გადანყვეტილების გადახედვის ვალდე-  
ბულების დაკისრებად (მდრ. „გუდმუნდურ ანდრი ასტრადსონი ის-  
ლანდიის წინააღმდეგ“ („Gudmundur Andri Astradsson v. Iceland“),

§314, 01.12.2020წ.). აღნიშნული არ იწვევს სასამართლოს მიერ მხარეთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას, ვინაიდან ხსენებული გამონწვეულია პირის მიერ დამდგარი სამართლებრივი შედეგებისადმი შეგუებით, მისი არ გასაჩივრებით. ამასთანავე, საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას საზედამხედველო წესით ანუ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ მის გაუქმებას ნორმის არასწორი გამოყენების გამო. „სამართლებრივი სიცხადის პრინციპი, რომელიც გამომდინარეობს კონვენციიდან და საზოგადო სამართლიდან, ათავისუფლებს სახელმწიფოს იმ სამართლებრივი აქტების ან სიტუაციების ხელახალი განხილვისგან, რომლებიც წინ უსწრებდნენ მოცემული გადაწყვეტილების გამოტანას. მეტიც, ანალოგიური მიდგომა აქვთ გარკვეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, რომლებსაც აქვთ საკონსტიტუციო სასამართლოები, მათი საჯარო სამართალი ზღუდავს ყველა იმ სასამართლო გადაწყვეტილების რეტროაქტიულ ძალას, რომლებიც აუქმებენ კანონმდებლობას“ (ევროპული სასამართლოს 13.06.1979წ. გადაწყვეტილება საქმეზე „მარქსი ბელგიის წინააღმდეგ“ („Marckx v. Belgium“), §58). ანალოგიური მიდგომა არსებობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც ძალაში შედის გადაწყვეტილების გამოცხადებიდან და მას არ აქვს უკუქცევითი, რეტროაქტიული ეფექტი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მოცემულ საქმეზე არ განიხილება საზიარო, საერთო უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნის არსებობა-არარსებობის საკითხი. ლ. ხ-ის, გ. კ-ისა და ლ. ჩ-ის მოთხოვნები თავისი შინაარსით დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნებია, რადგან თითოეული პირი თავისი კერძო ავტონომიის შესაბამისად განკარგავს საკუთარ მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას ისე, რომ ამით გავლენას ვერ ახდენს სხვა პირის სამართლებრივ მდგომარეობაზე. საქმის მასალებში არსებული საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, მოსარჩელების წილი დემონსტრირებულ შენობაში ერთმანეთისგან გამიჯნული იყო, ექსპერტიზის დასკვნებითაც თითოეული მოსარჩელებისთვის ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობები გამოთვლილია ცალ-ცალკე, თითოეულის შენობა-ნაგებობაში კუთვნილი წილის მიხედვით, შენობა-ნაგებობის მიმართ ადგილი ჰქონდა არა საზიარო, არამედ წილად საკუთრებას, შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ არის სოლიდარული თანამონაწილეობა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება კონვენციის სუბსიდარული ხასიათის შესაბამისად (მდრ. „ბრონიოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ“ („Broniowski v.



Poland“), §193, 22.06.2004წ. და „ბაიბაპინი ნიდერლანდების წინააღმდეგ“ („Baybapyn v. the Netherlands“), §79, 06.07.2006წ.), რის გამოც საქმის წარმოების განახლების საკითხის გადაწყვეტილების მნიშვნელობის მქონეა ის გარემოება, რომ ლ. ჩ-ის მამკვიდრებელს არ უსარგებლია კონვენციის 35.1 მუხლის მექანიზმით. ამდენად, მოსაზრება, რომ ევროპული სასამართლოს 17.12.2019წ. გადაწყვეტილებით სახელმწიფოს ეკისრება გადაწყვეტილების რეტროაქტიული ეფექტით აღსასრულებლად ლ. ჩ-ის, როგორც არააპლიკანტი პირის მიმართ, სასამართლოში დამთავრებული საქმის წარმოების განახლების გზით ინდივიდუალური და/ან გენერალური ლონისძიების განხორციელების ვალდებულება, დაუსაბუთებელია.

ლ. ჩ-ის მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება არ დასტურდება სსკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილში 08.02.2017წ. კანონით შეტანილი ცვლილებებით, რომელთა თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხებზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თანისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლისადმი შეუსაბამობა არის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველი. რაც შეეხება სსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას, აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის წარმოების განახლებას იმ პირების განცხადების საფუძველზე, რომელთა მიმართაც არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება საქმესთან დაკავშირებით კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევის შესახებ, ნორმის თანახმად დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მოცემულ შემთხვევაში ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ხ-ი და კ-ი საქართველოს წინააღმდეგ“ ეხება გ. კ-ის და ლ. ხ-ის განცხადებებს, ლ. ჩ-ის მამკვიდრებელს ევროპული სასამართლოსათვის არ მიუმართავს. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითება იმაზე, რომ დარღვევის დადგენა წარმოადგენს საქმის წარმოების განახლების და ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძველს კონვენციის პრინციპების გათვალისწინებით, გულისხმობს წარმოების განახლებას სახელდობრ იმ პირების მიმართ, რომლებმაც მი-

მართეს საჩივრით ევროპულ სასამართლოს და რომელთა მიმართაც დადგინდა კონვენციის ან/და კონვენციის ოქმის დებულების დარღვევა.

თვით ის გარემოება, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნის წარდგენას ზღუდავს სამთვიანი აღმკვეთი ვადით (სსკ-ის 426-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 423-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლის არსებობისას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება შეტანილ უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 თვის ვადაში), ადასტურებს აღნიშნული საფუძვლით საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობას იმ პირების მიმართ, რომელთა საჩივრებთან დაკავშირებითაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა კონვენციის ან/და კონვენციის დამატებითი ოქმის დარღვევა. პირი, რომელიც არ იყო მხარე ევროპულ სასამართლოში, უმეტეს შემთხვევაში ვერც გაიგებდა პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილ სამთვიან ვადაში ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, შესაბამისად, ასეთი პირი დადგენილ ვადაში ვერ დასვამს კანონიერ ძალაში მყოფ გადაწყვეტილებაზე საქმის წარმოების განახლების საკითხს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საზედამხედველო წარმოების წესს, ანუ საქმის წარმოების განახლებასა და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას ნორმის არასწორი გამოყენების გამო. საქმის წარმოების განახლების შემთხვევების ჩამონათვალი საპროცესო კანონმდებლობაში ამომწურავია და არ დაიშვება მისი განვრცობითი განმარტება. საინააღმდეგო არღვევს კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი შედეგის შეუქცევადობის, სამართლებრივი უსაფრთხოების, სასამართლო პროცესზე განხილული საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის პრინციპს. „ის, რაც იწვევდა კონფლიქტს მხარეებს შორის, სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ ითვლება დადგენილად და უდავოდ დაუშვებელია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების მუდმივად ეჭვქვეშ დაყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში საფუძველი გამოეცლებოდა სასამართლოსადმი სანდოობის ვარაუდს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.04.2003წ. გადაწყვეტილება, №1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე-

ბი – ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). საქმის მასალებით არ დასტურდება, მ. ჩის (მისი უფლებამონაცვლის) მიერ ევროპული სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვა და ამ უკანასკნელის მხრიდან მის მიმართ დარღვევის დადგენა. „კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების შეუზღუდავად გასაჩივრების შესაძლებლობა შექმნიდა მოდავე მხარეთა ურთიერთობებში მუდმივ გაურკვევლობას და იმის საშიშროებას, რომ დავა და კონფლიქტი ვერასდროს პოვებდა საბოლოო გადაწყვეტას. პოტენციური მოპასუხე დაცული უნდა იყოს იმისგან, რომ კვლავ დადგეს ძველი სარჩელის წინაშე, რომელიც ერთხელ უკვე გადაწყვეტილი იყო სასამართლოს მიერ, ამასთან დაცული იყოს იმისგან, რომ საექვო, სათუო გახდეს მის მიერ დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობები (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 05.11.2013წ. გადაწყვეტილება №3/1/531 საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 26-27). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხისთვის ლ. ჩის სასარგებლოდ 416 000 აშშ დოლარის ეკვივალენტის ოდენობით ეროვნულ ვალუტაში გადახდის დაკისრება. ლ. ჩის მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.12.2021წ. გადაწყვეტილების ფარგლები შეზღუდული იყო ლ. ჩის მიმართ ეროვნულ დონეზე დამდგარი საბოლოო მატერიალურ-სამართლებრივი შედეგით, რადგან საქმის მასალებით არ დასტურდება დაინტერესებულ მხარის მიერ ევროპული სასამართლოსთვის კონვენციის 35.1 მუხლით დადგენილ 6 (ექვს) თვიან ვადაში მიმართვა. ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა იმის შესახებ, რომ იგი არ წარმოადგენს მესამე/მეოთხე ინსტანციის სასამართლოს ეროვნულ სასამართლოებთან მიმართებით. მოცემულ შემთხვევაში, ეროვნულ დონეზე სამართლებრივი მექანიზმების ამოწურვის (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.09.2011წ. განჩინებით ლ. ჩის მამკვიდრებლის მ. ჩის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად (ცნობის) შემდგომ ლ. ჩის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის ფარგლები განისაზღვრა 5285.40 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარში. ამდენად, ლ. ჩის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება არ არის საკმარისად დასაბუთებული და არ ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს, სააპელაციო პალატის 09.12.2021წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც აღემატება მ. ჩისთვის ეროვნულ დონეზე გასაჩივრების მექანიზმების ამოწურ-

ვის შემდგომ ასანაზღაურებელ თანხას, არ არის დასაბუთებული.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვა არ არის ეროვნულ დონეზე გამართული პროცესის ალტერნატივა, კონვენცია არ ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის პირდაპირ მიმართვის შესაძლებლობას, იგი ეფუძნება სუბსიდარობის პრინციპს (ევროპული სასამართლოს ამოცანაა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიების გარდა ინდივიდებისთვის დამატებითი სამართლებრივი დაცვის საშუალებების უზრუნველყოფა, აღნიშნული დამატებითი საშუალებების გამოსაყენებლად ინდივიდმა უნდა ამონწეროს ეროვნული კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებადამცავი სამართლებრივი მექანიზმები). საჩივრის მისაღებად მიჩნევისათვის მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ დონეზე გამართულ პროცესს, კერძოდ, კონვენციის 35.1 მუხლის თანახმად, საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთი წინაპირობაა მომჩივნის მხრიდან უფლების დაცვის შიდასამართლებრივი მექანიზმების ამონწერვა. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.12.2021წ. გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა გ. კ-ის სააპელაციო საჩივარი. საქმის მასალების მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ №25601/12 საჩივრის საფუძველზე განხილულ საქმეზე ერთ-ერთი აპლიკანტია გ. კ-ი. ამდენად, სახელმწიფოს მის მიმართ ეკისრება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიული ეფექტის მქონე ინდივიდუალური ღონისძიებით, საქმის წარმოების განახლებითა და სააპელაციო სასამართლოს 21.01.2011წ. გადაწყვეტილების გადახედვით აღსრულების ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საკასაციო პალატის მოსაზრებით, საქმეზე წარმოების განახლების შემდეგ გ. კ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებით სააპელაციო სასამართლომ გადაამეტა 21.01.2011წ. გადაწყვეტილების გადახედვის ფარგლებს. სსკ-ის 424.2 მუხლის თანახმად, თუ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ეხება ერთსა და იმავე საქმეზე რამდენიმე სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებას (განჩინებას), მაშინ იგი შეტანილ უნდა იქნეს მათ შორის ყველაზე შემდგომ სასამართლო ინსტანციაში. სსკ-ის 431-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმე, რომელზედაც გადაწყვეტილება იყო გამოტანილი, თავიდან განიხილება საქმის განხილვისთვის ამ კოდექსით დადგენილი წესით. სსკ-ის 377.1 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონწერს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე საქმეზე წარმოების

განახლებასთან დაკავშირებით მიღებული საკასაციო პალატის 03.12.2020წ. განჩინებით აღნიშნულია, რომ იმ პირობებში, როდესაც აღსასრულებელი გადაწყვეტილება ზემდგომი (სააპელაციო ან საკასაციო) ინსტანციის სასამართლოს მიერ არის გამოტანილი, საქმის წარმოების განახლება გულისხმობს არა მთლიანი სამართალწარმოების გაუქმებასა და საქმის სარჩელის განხილვის ეტაპიდან ხელახალ დაწყებას, არამედ მხოლოდ იმ გადაწყვეტილების გაუქმებას, რომელიც შესაბამისი ინსტანციის სასამართლომ მიიღო. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, სააპელაციო/საკასაციო სასამართლო მხოლოდ წარდგენილი სააპელაციო/საკასაციო საჩივრების ფარგლებში მსჯელობს ქვემდგომი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე. საქმის მასალების მიხედვით, გ. კ-იმა და სხვა ოთხმა მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოს 01.02.2010წ. მიმართეს სააპელაციო საჩივრით, რომლითაც სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და სსკ-ის 46.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლება მოითხოვეს. სსკ-ის 46.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მოსარჩელების გათავისუფლებას – დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე. სააპელაციო სასამართლომ 05.03.2010წ. განჩინებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი არ იყო მტკიცებულება (სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენი), რომლითაც დასტურდებოდა მოპასუხის დანაშაულებრივი ქმედებით მატერიალური ზიანის გამოწვევა. სააპელაციო სასამართლოს 05.03.2010წ. განჩინებით გ. კ-ის სააპელაციო საჩივარზე დადგინდა ხარვეზი, საჩივრის ავტორს განესაზღვრა 7-დღიანი ვადა მის გამოსასწორებლად, მხარეს განემარტა, რომ ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველი დარჩებოდა. სააპელაციო სასამართლოს 07.05.2010წ. განჩინებით, გ. კ-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველი დარჩა, რადგან მოსარჩელე მხარემ არ წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. საქმის მასალებით არ დასტურდება გ. კ-ის მიერ კერძო საჩივრით სააპელაციო სასამართლოს 07.05.2010წ. განჩინების, რომელიც მისი სასარჩელო მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილისთვის დამამთავრებელი სასამართლო აქტია, გასაჩივრება. ამის საპირისპიროდ, გ. კ-იმა საკასაციო საჩივარში პირდაპირ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.11.2009წ. გადაწყვეტილების ძალაში დატოვებას ითხოვდა, გ. კ-ის მოთხოვნას არ წარმოადგენდა მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ 07.05.2010წ. განჩინების გაუქ-

მება. ევროპული სასამართლოსადმი გ. კ-ის მიმართვისა და კონვენციის 1-ელი ოქმის მოთხოვნის დარღვევის დადგენის საფუძველი შექმნა იმან, რომ სააპელაციო პალატის 21.01.2011წ. გადაწყვეტილებით მოპასუხის – მერიის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებით გ. კ-ის მნიშვნელოვნად შეუმცირდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მისთვის მიყენებული ზიანის ოდენობის ასანაზღაურებელი თანხა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს №25601/12 საჩივარზე მიღებული 17.12.2019წ. გადაწყვეტილების 42-ე პარაგრაფით განისაზღვრა ლ. ხ-ისა და გ. კ-ის ინდივიდუალური საჩივრის ფარგლები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ აპლიკანტების ქონების უკანონო დანგრევის თაობაზე სისხლის სამართლის საქმის არაეფექტიან გამოძიებასთან დაკავშირებული საკითხი არ იყო მითითებული საჩივარში, რომელიც შეტყობინების სახით 20.09.2017წ. გაეგზავნა საქართველოს მთავრობას. სასამართლო განხილვა შემოიფარგლა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად წარდგენილი მომჩივნების თავდაპირველი საჩივრით, კერძოდ, მათი საკუთრების უკანონო დანგრევის გამო მიკუთვნებული კომპენსაციის სავარაუდო არაადეკვატურობით (სასამართლო განხილვა არ მოიცავდა გ. კ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ეროვნულ დონეზე განხორციელებული საპროცესო მოქმედების კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას). მოგვიანებით, ევროპული სასამართლოს №25601/12 საჩივარზე 17.12.2019წ. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გ. კ-იმა შეცვალა პოზიცია (მისი სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილთან დაკავშირებით) და 18.05.2020წ. განცხადებით მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.11.2009წ. გადაწყვეტილების გაუქმება, რაც შინაარსობრივად სააპელაციო საჩივრის მოთხოვნაა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დასაშვებია საქმის მონაწილის წინა პოზიციის ცვლილების მხედველობაში მიუღებლობა ცვლილებისთვის საკმარისი საფუძვლის (გამართლების) არარსებობის გამო („გუდმუნდურ ანდრო ასტრადსონი ისლანდიის წინააღმდეგ“ („Gudmundur Andri Astradsson v. Iceland“), §313, 01.12.2020წ.). განსახილველ შემთხვევაში, დაუსაბუთებელია გ. კ-ის პოზიციის ცვლილება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გადახედვის ფარგლების განსაზღვრისთვის, რადგან არ დასტურდება საამისოდ საკმარისი საფუძვლის არსებობა. გ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაუკმაყოფილებელ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.11.2009წ. გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის სააპელაციო წესით განხილვა მოთხოვნის გაზ-

რდის ნაწილში წარმოადგენს გ. კ-ისთვის სააპელაციო საჩივრის ხელმეორედ შეტანის დეფაქტო შესაძლებლობის მიცემას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.11.2009წ. გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული პოზიციის ცვლილებისთვის საკმარისი საფუძველი არაა ევროპული სასამართლოს მიერ გ. კ-ის საკუთრების უფლების დარღვევის დადგენა. საკასაციო პალატა გამოხატავს რა პატივისცემას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ინსტიტუტის მიმართ, კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ აღსრულება ხორციელდება კონვენციის სუბსიდარული ხასიათის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია ეროვნულ დონეზე დამთავრებული საქმის წარმოების მონაწილეთა საპროცესო აქტივიზმი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის №25601/12 საჩივრით მიმართვამდე გ. კ-იმა არ გამოიყენა მისი სასარჩელო მოთხოვნის დაუკმაყოფილებელ ნაწილში შეტანილი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე 07.05.2010წ. განჩინების გასაჩივრების მექანიზმი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. კ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 07.05.2010წ. განჩინება 04.06.2010წ. ჩაბარდა ნ. კ-ის იმ მისამართზე, რომელიც მითითებული იყო გ. კ-ის სააპელაციო საჩივარში, განჩინების გასაჩივრების 12-დღიანი ვადა ამოიწურა 17.06.2010წ., რის შემდგომაც გ. კ-ის 07.05.2010წ. განჩინების არც ჩაბარების წესის დაცულობა და არც შინაარსი სადავო არ გაუხდია ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე. მოგვიანებით, იმის გამო, რომ მისი მოწინააღმდეგე მხარის (მერიის) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და შესაბამისად შემცირდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გ. კ-ისთვის დადგენილი ანაზღაურების ოდენობა, გ. კ-იმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართა საკასაციო საჩივრით. მისი საკასაციო საჩივრის სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, საკასაციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდებოდა მოთხოვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.11.2009წ. გადაწყვეტილებით განსაზღვრული დაკმაყოფილებული თანხის ნაწილში ანუ თანხის იმ ნაწილში, რომლითაც საქალაქო სასამართლოს მიერ გ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

გ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაუკმაყოფილებელ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.11.2009წ. გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული პოზიციის ცვლილების საკმარისი საფუძველი არც ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის გაუფასურებაა. ეროვნული ვალუტის გაცვლი-

თი კურსის გაუფასურების გათვალისწინება შესაძლებელია გ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაუკმაყოფილებელ ნაწილზე გავრცელებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.11.2009წ. გადაწყვეტილების დამამთავრებელი ეფექტის პრინციპისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს №25601/12 საჩივარზე მიღებული 17.12.2019წ. გადაწყვეტილების „დასკვნებისა და სულისკვეთების“ დაცვით. ევროპული სასამართლოს №25601/12 საჩივარზე მიღებული 17.12.2019წ. გადაწყვეტილების 58-ე პარაგრაფის მეორე და პირველი წინადადებიდან გამომდინარე, აპლიკანტებისთვის სრული კომპენსაციის მიუცემლობა დასტურდებოდა იმით, რომ არსებობდა აშკარა სხვაობა ფუნქციონირებადი შენობის საბაზრო ღირებულებასა და მისი დემონტაჟის შედეგად დარჩენილი სამშენებლო მასალის საბაზრო ღირებულებებს შორის. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.11.2009წ. გადაწყვეტილებით გ. კ-ისთვის ასანახლაურებელი ზიანის ოდენობა განისაზღვრა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 17.09.2009წ. №1363/04/19 ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც შენობის საბაზრო ღირებულება შეფასდა არა დემონტირებული შენობის დარჩენილი სამშენებლო მასალის ღირებულების მიხედვით, არამედ შენობის ფუნქციონირებად მდგომარებაში ღირებულების გათვალისწინებით, რაც ასევე აღნიშნულია ევროპული სასამართლოს №25601/12 საჩივარზე მიღებული 17.12.2019წ. გადაწყვეტილების მე-15 და მე-14 პარაგრაფებში. გ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მერიას მის სასარგებლოდ დაეკისრა 133.862.2 ლარის, აგრეთვე 550 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში, ლარში გადახდა გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, ყოველთვიურად 2007 წლის 01 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადისა, დანარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ევროპული სასამართლოს 17.12.2019წ. გადაწყვეტილების „დასკვნებისა და სულისკვეთების“ გათვალისწინებით, გ. კ-ის ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილების აღსასრულებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მის სასარგებლოდ დაკისრებული 133.862.2 ლარის მსყიდველუნარიანობა. ამდენად, საქმეზე წარმოების განახლების შემდგომ გ. კ-ის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.01.2011წ. გადაწყვეტილების გადახედვის ფარგლები განისაზღვრება თბილისის საქა-



ლაქო სასამართლოს 19.11.2009წ. გადაწყვეტილებით აპლიკანტის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებული ნაწილით, კერძოდ, 133.862,2 ლარის 2007 წლის თებერვლისათვის მსყიდველუნარიანობითა და 550 აშშ დოლარით ყოველთვიურად 2007 წლის 01 თებერვლიდან არაუმეტეს 01.08.2006წ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადისა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გადაამეტა ამავე სასამართლოს 21.01.2011წ. გადაწყვეტილების გადახედვის ფარგლებს, რადგან არ გაითვალისწინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.11.2009წ. გადაწყვეტილებით გ. კ-ის დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. კ-ის მოთხოვნის მიმართ, კასატორის – თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველი ეხება მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს განხილვის ნაწილს, საფუძვლიანია. საქმის მასალებში დაცული არაა 2007 წლის თებერვლისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის შესახებ მტკიცებულება, რაც საქმის სააპელაციო წესით ხელახლა განხილვის ეტაპზე დადგენას საჭიროებს, რათა გ. კ-ის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრებული თანხა (133 862,2 ლარი) კურსის ცვალებადობის გათვალისწინებით იქნეს ანაზღაურებული, კურსის სხვაობა გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ ფაქტორის მხედველობაში მიღებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული თანხის გადაცემის დაყოვნება, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვისა და კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის მოთხოვნის დარღვევის დადგენის, საქმის წარმოების განახლების გამო მოხდა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში დასაბრუნებელი თანხის დაანგარიშება უნდა მოხდეს კუსთაშორისის სხვაობის გათვალისწინებით (2007 წლის თებერვლისათვის 133 862,20 ლარი (ასოცდაცამეტი ათას რვაას სამოცდაორი ლარი და ოცი თეთრი) 2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენს 284 946,45 ლარს (ორასოთხმოცდაოთხი ათას ცხრაას ორმოცდაექვს ლარს და ორმოცდახუთ თეთრს), თუმცა აღნიშნული გარემოების დადგენა სცილდება საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებს, საკასაციო სასამართლო წყვეტს დავის სამართლებრივ და არა ფაქტობრივ გარემოებებს. საპროცესო მოქმედების თვალსაზრისით, ეროვნული ვალუტის კურსის გათვალისწინების მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-

ლეგის 19.11.2009წ. გადანყვეტილების გაუქმება ეფუძნება არა გ. კ-ის განუხილველად დატოვებული სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებას, არამედ №25601/12 საჩივარზე ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული 17.12.2019წ. გადანყვეტილების აღსრულების ვალდებულებას. როგორც აღინიშნა, ხელშემკვრელი სახელმწიფო თავად განსაზღვრავს თუ როგორ აღასრულოს საუკეთესოდ ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება. სახელმწიფოს უნარჩუნდება იმ ღონისძიების არჩევანის თავისუფლება, რომლითაც შეასრულებს კონვენციის 46.1 მუხლს, იმის გათვალისწინებით, რომ შერჩეული ღონისძიება სასამართლოს გადანყვეტილებაში ასახულ დასკვნებთან თანხვედრაში იქნება („პაპამიჩალოპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ“ (Papamichalopoulos and Others v. Greece (Article 50)), §34, 31.10.1995წ.).

სააპელაციო სასამართლოს 21.01.2011წ. გადანყვეტილებით გ. კ-ის სასარგებლოდ მოპასუხეს მიუღებელი შემოსავლის ნაწილში დაეკისრა საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილების მსგავსი თანხის გადახდა, კერძოდ, 550 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში 2007 წლის 1-ელი თებერვლიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე, მაგრამ არა უმეტეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადისა. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული 09.12.2021წ. გადანყვეტილებით მერიას მოსარჩელე გ. კ-ის სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების სახით დაეკისრა 650 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში ანაზღაურება არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში, არამედ სასამართლო გადანყვეტილების აღსრულებამდე. ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე სააპელაციო პალატის გადანყვეტილება მიუღებელი შემოსავლის არა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, არამედ სასამართლო გადანყვეტილების აღსრულებამდე ანაზღაურების ნაწილში, არ არის დასაბუთებული, მოთხოვნა დაკმაყოფილდა რაიმე განმარტების გარეშე. აღნიშნულ კომპონენტში სააპელაციო პალატამ გადაამეტა გადანყვეტილების გადახედვის ფარგლებს, რადგან არ გაითვალისწინა საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილებით გ. კ-ის დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა და დაუკმაყოფილებელი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში მის მიერ უფლების დაცვის ძირითადი საშუალებების გამოუყენებლობა.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.12.2021წ. გადანყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ლ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი. საქმის მასალების მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ №25601/12 საჩივრის საფუძველზე განხილულ საქმეზე ერთ-ერთი აპლიკანტია

ლ. ხ-ის მამკვიდრებელი ლ. ხ-ი (15.06.2020წ. განჩინებით საქმეში უფლებამონაცვლედ ჩაება). ამდენად, სახელმწიფოს მის მიმართ ეკისრება ევროპული სასამართლოს გადანვეტილების რეტროაქტიული ეფექტის მქონე ინდივიდუალური ღონისძიებით, საქმის წარმოების განახლებითა და საკითხის გადახედვით აღსრულების ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ ანაზღაურებას დაქვემდებარებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღო არა მხოლოდ უკანონოდ დემონტირებული შენობის, არამედ მიწის ნაკვეთის ღირებულებაც. აღნიშნულის საფუძველად სასამართლომ მიიჩნია ის გარემოება, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დღეის მდგომარეობით შეზღუდულია მიწისზედა სამშენებლო განვითარება. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ განსახილველი სასარჩელო მოთხოვნის ფარგლები მოიცავს ზიანის ანაზღაურებას მიწის ნაკვეთის ღირებულების ჩათვლით, არ არის დასაბუთებული. საქმის მასალებით არ დასტურდება მიწის ნაკვეთზე კერძო პირების საკუთრების უფლების ჩამორთმევა, ამასთან, როგორც სასარჩელო მოთხოვნა, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიერ განხილული საჩივარი ეფუძნებოდა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ზიანი გამოწვეულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შენობის უკანონო დემონტაჟით („ხ-ი და კ-ი საქართველოს წინააღმდეგ“ („Khizanishvili and Kandelaki v. Georgia“), §3, 42, 17.12.2019წ.) და არა მიწის ნაკვეთის მიწისზედა სამშენებლო განვითარების შეზღუდვით. სამშენებლო განვითარების შეზღუდვით კერძო პირისთვის დაკისრებული სამართლებრივი ტვირთი არაა შენობის უკანონო დემონტაჟით გამოწვეული ზიანის იდენტიური. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კომპენსაციის გაცემის ვალდებულების წარმოშობას სამშენებლო შეზღუდვით კერძო მესაკუთრისთვის ინდივიდუალური და გადამეტებული ტვირთის დაკისრების გამო, კომპენსაციის მექანიზმის არსებობა განაპირობებს ასეთი ტვირთის კანონიერად მიჩნევას („სპორონგი და ლონროთი შვედეთის წინააღმდეგ“ („Sporrong and Lönnroth v. Sweden“), §73, პირველი წინადადება, №7151/75, №7152/75, 23.09.1982წ.). თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.03.2009წ. №07/6205-13 წერილით, დასტურდება, რომ მიწის ნაკვეთის სიმცირიდან და მდებარეობიდან გამომდინარე მისი მიწისზედა განვითარება მხოლოდ მომიჯნავე მიწის ნაკვეთ(ებ)თან ერთად არის შესაძლებელი. სზაკ-ის 209.1 მუხლის თანახმად, თუ კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ არსებითი ზიანი ადგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს, სახელ-

მნიფო ან მუნიციპალიტეტი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. 209.2 მუხლით მიხედვით, ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების და არა საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთის ღირებულების საფუძველზე. მიწის ნაკვეთზე სამშენებლო შეზღუდვის დაწესების გამო ნაკვეთის ღირებულების ანაზღაურების ადმინისტრაციული ორგანოსთვის დაკისრებამ შესაძლოა გამოიწვიოს ერთი და იმავე ქონების სანაცვლოდ თანხის ორჯერ მიღება, კერძოდ: სამშენებლო შეზღუდვების მიუხედავად კერძო პირი ინარჩუნებს მიწის ნაკვეთის გაყიდვის უფლებას, რაც მას მიწის ნაკვეთის ღირებულების სანაცვლო ანაზღაურების კიდევ ერთხელ მოპოვების საშუალებას აძლევს მესამე პირისგან, სავარაუდო მყიდველისგან. სამშენებლო შეზღუდვის დაწესების გამო გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრას შესაძლოა საფუძველად დაედოს ის სხვაობა, რომელიც წარმოიშობა შეზღუდვის დაწესებამდე და შეზღუდვის დაწესების შემდგომ მიწის ნაკვეთის ღირებულებებს შორის, ე.ი. შეზღუდვის დაწესების გამო მიწის ნაკვეთის ღირებულების შემცირების თანხა. მოცემულ შემთხვევაში, არც სასამართლო და არც მოსარჩელები მიუთითებენ ასეთი სხვაობის არსებობაზე. სააპელაციო სასამართლოს არ აქვს გამოკვლევული აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება (სხვაობა შეზღუდვის დაწესებამდე და შეზღუდვის დაწესების შემდგომ მიწის ნაკვეთის ღირებულებებს შორის). საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს, რომ სზაკ-ის 209.1 მუხლის საფუძველზე, სამშენებლო შეზღუდვის დაწესებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის გაცემის საკითხი ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა განიხილოს. საკითხის პირველადი განხილვა და გადაწყვეტა სასამართლოს მიერ არ ესადაგება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს (სუსგ №ბს-616(კ-19), 25.01.2021წ.). ადმინისტრაციული წარმოების დროს საჭიროა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების განსაზღვრა, მათ შესახებ ინფორმაციის მოძიება, მოძიებული ინფორმაციის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის ფაქტობრივ შემადგენლობასთან შესაბამისობის დადგენა და სასამართლებრივი შედეგის განსაზღვრა. ადმინისტრაციული ორგანოს მითითებული ფუნქციების მთლიანად სასამართლოზე გადაბარების შემთხვევაში, სასამართლო სრულად ჩანაცვლებდა ადმინისტრაციულ ორგანოს და განახორციელებდა საჯარო მმართველობას, რაც დაუშვებელია (სუსგ №ბს-1350(2კ-19), 05.02.2020) და ეწინააღმდეგება სუბსიდარობის პრინციპს. კომპენსაციის მექანიზმის გამოსაყენებლად დაინტერესებული მხარე თავდაპირველად მიმართავს ღონისძიების განმახორციელებელს კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით (სზაკ-ის 209-ე მუხ.) და მოთხოვნის დაკმაყო-

ფილებაზე წერილობითი ან ე.წ. ვირტუალური უარის (სზაკ-ის 177.2 მუხ.) მიღების შემდეგ, საერთო წესის მიხედვით, დასაშვებია მავალელებელი სარჩელით მოთხოვნის წარდგენა ასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე (სუსგ №ბს-616(კ-19), 25.01.2021წ.). საჯარო მმართველობის განხორციელების ცენტრალური სუბიექტი ადმინისტრაციული ორგანოა. სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოების ჩანაცვლება ასუსტებს ამ უკანასკნელის როლს ეფექტიანი საჯარო მმართველობის განხორციელებაში და შესაძლოა გამოიწვიოს სასამართლოს გადატივრთვა. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალების მიხედვით, არ განხორციელებულა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების ჩამორთმევა, ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიერ განხილული საჩივარი ეფუძნებოდა ზიანის გამონვევას შენობის უკანონო დემონტაჟით, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნის ფარგლები არ მოიცავს მიწის ნაკვეთზე სამშენებლო შეზღუდვების დაწესების გამო კომპენსაციას. ამ უკანასკნელის მოცულობის განსაზღვრისთვის მნიშვნელობის მქონე არა სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული გარემოება – საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ღირებულება დღეის მდგომარეობით, არამედ – სხვაობა, რომელიც შესაძლოა არსებობს სამშენებლო შეზღუდვის დაწესებამდე და შეზღუდვის დაწესების შემდგომ მიწის ნაკვეთის ღირებულებებს შორის, რაც მოპასუხის მონაწილეობით არაა გამოკვლეული არც ადმინისტრაციული და არც სასამართლო წარმოების ეტაპზე. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე ანაზღაურებას დაქვემდებარებული ზიანის ოდენობა უნდა განისაზღვროს მიწის ნაკვეთის ღირებულების გარეშე, მხოლოდ შენობის უკანონო დანგრევით შექმნილი ფაქტობრივი მოცემულობის საფუძველზე და არა ასევე მიწის ნაკვეთზე დაწესებული სამშენებლო შეზღუდვის გათვალისწინებით.

კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა იმავე შენობის საბაზრო ღირებულების დამდგენი, საქმეში უკვე არსებული ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 30.10.2008წ. №1765/15/19 და 17.09.2009წ. №1363/04/19 დასკვნები, რომელთა მიხედვითაც დადგენილია უძრავი ქონების განსხვავებული ღირებულება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შენობის განსხვავებული საბაზრო ღირებულებების დადგენის მიუხედავად შპს „პ...ის“ დამოუკიდებელი შემფასებლის 18.11.2021წ. ანგარიშსა და ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 30.10.2008წ. №1765/15/19 და 17.09.2009წ. №1363/04/19 დასკვნებს შორის ურთიერთწინააღმდეგობის არსებობა არ დასტურდება,

რადგან მითითებული დასკვნებით საბაზრო ღირებულება განსაზღვრულია სხვადასხვა თარიღებისთვის. შპს „პ...ის“ დამოუკიდებელი შემფასებლის ანგარიში ადგენს შენობის საბაზრო ღირებულებას 2021 წლის 18 ნოემბრისთვის, ხოლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №1765/15/19 და №1363/04/19 დასკვნებით – 2007 წლის 30 იანვრისა და 2009 წლის 04 თებერვლისთვის. საექსპერტო დასკვნების ხანგრძლივი ინტერვალით სხვადასხვა თარიღისთვის შედგენას შესაძლოა გამართლებულად გამოეწვია შენობის საბაზრო ღირებულებასთან დაკავშირებით სხვადასხვა შედეგის მიღება.

გ. კ-ისგან განსხვავებით, ლ. ხ-ის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ მოიცავს შენობის გაზრდილი საბაზრო ღირებულების ანაზღაურებასაც, ვინაიდან გ. კ-ისაგან განსხვავებით, ლ. ხ-ის მამკვიდრებელს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებელი ჰქონდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. საქმის მასალების მიხედვით, სასარჩელო მოთხოვნის დაუკმაყოფილებელ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.11.2009წ. გადაწყვეტილებაზე ლ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი მიღებულია განსახილველად, ხოლო გ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დატოვებულია განუხილველად. გ. კ-ისა და ლ. ხ-ისთვის ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობებს შორის სხვაობა გამომდინარეობს შპს „პ...ის“ დამოუკიდებელი შემფასებლის 18.11.2021წ. ანგარიშის შესადგენად გამოყენებული მეთოდის თავისებურებითაც. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 18.11.2021წ. ანგარიშის მიხედვით, შენობის ღირებულების გამოანგარიშების მიზნით დადგინდა უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი და შენობა) ერთიანი ღირებულება, რასაც გამოაკლდა მიწის ნაკვეთის ღირებულება და შედეგად მიღებულ იქნა შენობის ღირებულება. შესაბამისად მიწის ნაკვეთის ღირებულების შემცირებას შეეძლო შენობის ასანაზღაურებელი ღირებულების უკუპროპორციულად გაზრდის გამოწვევა, კერძოდ: უძრავი ქონების ერთიანი ღირებულება შეფასდა 2021 წლის მდგომარეობით, ხოლო გამოსაკლები მიწის ნაკვეთის ღირებულება 2007 და 2009 წლების მდგომარეობით ისე, რომ გათვალისწინებული არაა ერთიანი უძრავი ქონებისა და დამოუკიდებლად მიწის ნაკვეთის შეფასების თარიღებს შორის დროითი სხვაობის გავლენა საბოლოო ღირებულებაზე. ექსპერტის მოსაზრებით, შეუძლებელია მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების 2021 წლის მდგომარეობით დადგენა, რადგან მიწის ნაკვეთზე შეზღუდვის დაწესების შემდგომ გაცემული არაა მშენებლობის ნებართვა, თუმცა მეორე მხრივ მიწის საბაზრო ღირებულების განსაზღვრისთვის უცვლელად ითვალისწინებს ექსპერტიზის ეროვნული ბიუ-

როს 04.02.2009წ. №1363/04/19 დასკვნას, რომლითაც მიწის ნაკვეთის ღირებულება დადგინდა სწორედ მშენებლობის ნებართვის არარსებობის და თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.03.2009წ. №07/6205-13 წერილში მოყვანილი შეზღუდვის პირობებში. ამდენად, მიწის ნაკვეთის ღირებულების შესაფასებელი თარიღის განსაზღვრის ნაწილში შპს „პ...ის“ დამოუკიდებელი შემფასებლის 18.11.2021წ. ანგარიშში ასახული მსჯელობა წინააღმდეგობრივია. ამასთან, 18.11.2021წ. ანგარიშით სრულად არის გაზიარებული ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 04.02.2009წ. №1363/04/19 დასკვნის შედეგი, რომ 2007 წლის 30 იანვრისა და 2009 წლის 04 თებერვლისთვის მიწის ნაკვეთის 1 კვ.მ. ღირებულებამ შეადგინა 330 ლარი, თუმცა 18.11.2021წ. ანგარიშით შემფასებელმა, დასაბუთების მითითების გარეშე, 330 ლარის ეკვივალენტი აშშ დოლარის ოდენობა განსაზღვრა არა მიწის ნაკვეთის 1 კვ.მ. ღირებულების დადგენის მომენტისთვის (04.02.2009წ.) ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით, არამედ 2021 წლის მდგომარეობით, რამაც ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის გაუფასურების გამო მნიშვნელოვნად შეამცირა მიწის ნაკვეთის ღირებულება. თავის მხრივ, მიწის ნაკვეთის ღირებულების შემცირებამ უკუპროპორციულად გაზარდა შენობის ასანაზღაურებელი ღირებულება. ამას გარდა, 18.11.2021წ. ანგარიშით შენობის ღირებულების გამოთვლისას მხედველობაში არაა მიღებული ის გარემოება, რომ სამშენებლო შეზღუდვა ვრცელდებოდა არა იზოლირებულად მიწის ნაკვეთზე, არამედ მის ზედაპირზე განთავსებულ შენობაზეც. 2019 წლის 3 ივნისამდე მოქმედი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ 02.06.2005წ. კანონის 32.1 მუხლის თანახმად, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებისა და წესების, აგრეთვე მიწათსარგებლობის გეგმების მოქმედების არეალში მოქცეული მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც არ შეესაბამებოდნენ განაშენიანების ნებადართულ სახეობებს, ქალაქთმშენებლობით და მოცულობით-სივრცით მოთხოვნებს, იქნდა შეუსაბამო მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების სტატუსს, რომელსაც ანიჭებდა ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო. ამავე კანონის 32.2 მუხლის მიხედვით, შეუსაბამო მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების შემდგომი განვითარება (ტერიტორიის გაფართოება, ფუნქციის შეცვლა, რეკონსტრუქცია) ხორციელდებოდა მხოლოდ შეუსაბამობის შემცირების პირობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეუსაბამობის შემცირების მოთხოვნა ვრცელდებოდა უშუალოდ შენობაზეც, მაგ. რეკონსტრუქციის შეზღუდვის ნაწილში. მოცემულ შემთხვევაში, თბი-

ლისის არქიტექტურის სამსახურის 19.03.2009წ. №07/6205-13 წერილით, დასტურდება, რომ მიწის ნაკვეთის სიმცირიდან და მდებარეობიდან გამომდინარე მისი მიწისზედა განვითარება მხოლოდ მომიჯნავე მიწის ნაკვეთ(ებ)თან ერთად არის შესაძლებელი. ამასთან, დროის გასვლასთან ერთად შენობა განიცდიდა ამორტიზაციას. აღნიშნული სამშენებლო შეზღუდვის შენობის მიმართაც მოქმედების გაუთვალისწინებლობას ასევე შეეძლო შენობის ასანაზღაურებელი ოდენობის გამოთვლაზე გავლენის მოხდენა.

ლ. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნას შეადგენს აგრეთვე 2007 წლის პირველი თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე იმ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, რომელსაც იგი მიიღებდა მის საკუთრებაში არსებული კომერციული ფართის გაქირავების შედეგად, ადგილი რომ არ ჰქონოდა შენობის უკანონო დემონტაჟს. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ლ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა კომერციული ფართის გაქირავების შეუძლებლობით გამონვეული მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება 2007 წლის პირველი თებერვლიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, განაცდურ ქონებრივ ნამეტს, რომელიც შესაძლოა მიღებულიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში და რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის კომერციულ ინტერესში შედის. სავარაუდოა შემოსავალი, რომლის მიღებაც მოსალოდნელი იყო (შდრ. სუსგ 21.06.2021წ., №ბს-1031(კ-20), სუსგ 01.04.2022წ., №ას-154-2021). საქმეში დაცულია არასაცხოვრებელი ფართის იჯარის შესახებ 08.01.2007წ. და 02.01.2007წ. ხელშეკრულებები, პირველი ინსტანციის სასამართლოს 19.11.2009წ. გადაწყვეტილებით და სააპელაციო პალატის 21.01.2011წ. გადაწყვეტილებით ლ. ხ-ის მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.01.2011წ. გადაწყვეტილებით საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიცვალა მხოლოდ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის ნაწილში, სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ საიჯარო ურთიერთობის არსებობის ფაქტი არ დასტურდება, მოსარჩელის მოთხოვნა არ არის გამყარებული უტყუარი მტკიცებულებებით, საქმეში არ მოიპოვება საიჯარო ქირის გადახდის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 21.02.2007წ. წერილის თანახმად, მეტროსადგურ „...ის“ (ამჟამინდელი „...“) ამოსასვლელთან პირველადი რეგისტრაცია განხორცი-



ელდა 24.08.1998წ., ხსენებულ მისამართზე აღრიცხული იყო სახელმწიფო საკუთრების უფლება დატვირთული ვალდებულებით, ნაკვეთი იჯარით იყო გაცემული (საფუძველი 21.08.1998წ. იჯარის ხელშეკრულება), საჯარო რეესტრიდან 24.08.1998წ. ამონაწერის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი 112 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებული იყო იჯარის უფლება. შემდგომში ნაკვეთზე 23.12.1998წ. დარეგისტრირდა შპს „უ...ს“ საკუთრების უფლება, 24.10.2003წ. შპს „უ...ს“ საკუთრებაში ნაკვეთთან ერთად დარეგისტრირდა შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით – 494 კვ.მ.. შემდგომში მეტროს შემოსასვლელთან არსებული მგზავრთა მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორიაზე რეგისტრირებულია შპს „მ...ის“ და ე. რ-ის, ლ. ხ-ის, ე. აკრეტიდის, გ. კ-ის, ზ. ა-ის, ა. მ-ის საერთო წილობრივი საკუთრების უფლება. მეტროს ამოსასვლელთან არსებული მგზავრთა მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორიაზე იჯარა, ქირავნობა, აღნაგობა, იპოთეკა და სხვ. რეგისტრირებული არ არის. ქირავნობის დროს ნივთი გადაეცემა დამქირავებელს სარგებლობაში, ხოლო იჯარის შემთხვევაში ქონება აძლევს მოიჯარეს მატერიალური სარგებლის მიღების შესაძლებლობას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ფართს ჰქონდა კომერციული დანიშნულება, შესაბამისად, ადგილი ექნებოდა ქონების არა ქირავნობით, არამედ იჯარით გაცემას. იჯარის ხელშეკრულების დადებისას მოიჯარეს გადაეცემა ისეთი უძრავი ქონება, რომელიც იმთავითვე იძლევა ნაყოფის მიღების შესაძლებლობას (სუსგ 18.12.2015წ. №ას-738-700-2015), იჯარის ხელშეკრულება (განსხვავებით ქირავნობისგან) ითვალისწინებს სამეურნეო დანიშნულებას, იჯარის საგნისგან ნაყოფის მიღების შესაძლებლობას. სააპელაციო პალატა 09.12.2021წ. გადანყვეტილებით იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ გ. კ-ის და ლ. ხ-ის (ლა. ხ-ის უფლებამონაცვლე) 08.01.2007წ. „არასაცხოვრებელი ფართის იჯარის შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე (გ. კ-ი – 10 კვ.მ., ლა. ხ-ი – 31 კვ.მ.) უტყუარად არ დასტურდება მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობის არსებობის ფაქტი, ვინაიდან არ არის წარმოდგენილი საიჯარო თანხის გადახდის რაიმე მტკიცებულება. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება აღნიშნულ ნაწილში მოთხოვნის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ კომერციული ფართით მესაკუთრის მიერ სარგებლობა უპირველესად შემოსავლის მიღებისკენ არის მიმართული. ფართის კომერციულუნარიანობა (მოსალოდნელი შემოსავალი) სააპელაციო პალატის აზრით ქმნის ფართის იჯარით გაცემით შემოსავლის მიღების შესაძ-

ლებლობის (ქონებრივი ნამეტის მიღების მოსალოდნელობის) ობიექტურ, რეალურ სურათს. აღნიშნული მოსაზრებით ლ. ხ-ის მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა. მიუღებელი შემოსავლის ოდენობის დადგენის მიზნით სააპელაციო პალატა დაეყრდნო პალატის მიერ სარწმუნოდ მიჩნეულ მტკიცებულებას იმავე ობიექტზე გაფორმებული 01.08.2006წ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური ქირის ოდენობას – 1 კვ.მ.-ზე (დაახლოებით 10-20 აშშ დოლარი), სააპელაციო პალატის გადანყვეტილებით ლ. ხ-ის სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის სახით 650 აშშ დოლარის ექვივალენტის გადახდა ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად ყოველთვიურად 2007 წლის 1 თებერვლიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადანყვეტილებით პალატამ 2007 წლის პირველი თებერვლიდან კომერციული ფართის გაუქირავებლობით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლად მიჩნეული იქნა ფართის კომერციული დანიშნულება, საეაჭრო ობიექტის წილზე ლ. ხ-ის საკუთრების უფლება. ასეთ პირობებში არ არის საკმარისად დასაბუთებული ასანაზღაურებელი მიუღებელი შემოსავლის ოდენობა და პერიოდი, ფართის გაქირავებით შემოსავლის მიღების მოსალოდნელობის პერიოდის გავრცელება „გა-დანყვეტილების აღსრულებამდე“. მოსარჩელის მიერ ზიანის მომტანი ქმედების (30.01.2007წ. დემონტაჟის) შემდგომ შენობის „შეცვლილი საბაზრო ღირებულებით ანაზღაურების მოთხოვნა“ (კერძოდ, შეფასებით საბაზრო ობიექტის ღირებულება განისაზღვრება იმ დაშვებით, რომ მესაკუთრე ქონებას გაყიდდა 18.11.21წ. პერიოდისათვის საბაზრო ღირებულებით) გამოორიცხავს ფართის გაუქირავებლობით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებას იმ თარიღიდან, რომლითაც განისაზღვრა შენობის შეცვლილი საბაზრო ღირებულება (დაიშვა ვარაუდი შენობის გაყიდვის თაობაზე). მესაკუთრის მიერ მყიდველისთვის ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა თანმდევი სამართლებრივი შედეგის სახით გამოორიცხავს ყოფილი მესაკუთრის მხრიდან შემდგომში ფართის გაქირავებით შემოსავლის მიღებას. ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს შენობის საბაზრო ღირებულების შინაარსის მნიშვნელობაზე. შეფასების სტანდარტების თანახმად, საბაზრო ღირებულება ნიშნავს ქონების ისეთ თანხას, რომლის მიხედვითაც შეფასების დღეს, ქონების პოტენციური მყიდველი და გამყიდველი გარიგებას დადებდნენ ქონების შესყიდვა/გადაცემის შესახებ, მათი გადანყვეტილება კეთილგო-

ნივრულია და მიიღება ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. შესაბამისად, ნივთის საბაზრო ღირებულების განსაზღვრა ეფუძნება იმ დაშვებას, რომ მესაკუთრე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, გაყიდდა ქონებას შეფასების დღისთვის. შენობის საბაზრო ღირებულება ვლინდება სწორედ მის გაყიდვაში, რეალიზებაში. გაყიდვის გარეშე, მარტოოდენ ფიზიკური არსებობით, მას „საკუთარი“ საბაზრო ღირებულება არ გააჩნია. საბაზრო ღირებულება არაა იგივე სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, რომელიც მოიცავს მსგავსი ტიპისა და დანიშნულების შენობის აშენებისთვის გასანეგ ხარჯს (შდრ. სუსგ 21.06.2021წ., №ბს-1031(კ-20)). ღირებულების „საბაზროდ“ მისაჩნევად გამოითქმის ვარაუდი, რომ შეფასების თარიღისთვის მესაკუთრე ნივთს ყიდის, ნივთის გაყიდვა კი გამორიცხავს გამყიდველისთვის ფართის გაქირავების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ გზით შემოსავლის მიღების გაგრძელებას. განსხვავება ნივთის განადგურების მომენტში მისი საბაზრო ღირებულების ანაზღაურებასა და შეცვლილი საბაზრო ღირებულების ანაზღაურებას შორის მდგომარეობს ნივთის გაყიდვის თაობაზე მესაკუთრის ნების არსებობა-არსებობაში. ნივთის განადგურებით, ზიანის მიმყენებელი მესაკუთრეს აიძულებს ნივთის რეალიზებას და ზიანების დღისთვის საბაზრო ღირებულებით, ხოლო როდესაც ზიანის მიყენების შემდგომ თავად მესაკუთრე ითხოვს/გამოთქვამს თანხმობას ნივთის შეცვლილი საბაზრო ღირებულებით ზიანის ანაზღაურებაზე, იგი ადასტურებს ვარაუდს ნივთის საკუთარი სურვილით გაყიდვის შესახებ იმ თარიღისთვის, რომლითაც განისაზღვრა ნივთის სამომავლო (დარღვევის თარიღის შემდგომ შეცვლილი) საბაზრო ღირებულება. ასეთ შემთხვევაში მესაკუთრეს გაყიდული ფართის გაქირავების შესაძლებლობა ერთმევა საკუთარი სურვილით ფართის გასხვისების მოსალოდნელობის და არა დამზიანებლის უკანონო ქმედების გამო, რადგან ფართის გასხვისების შემდეგ ყოფილ მესაკუთრეს აღარ შეუძლია მისი გაქირავება და ამ გზით შემოსავლის მიღება, შესაბამისად, ზიანის მიმყენებელს აღარ ეკისრება ნივთის გაუქირავებლობით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულება. განსახილველ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს №25601/12 საჩივარზე მიღებული 17.12.2019წ. გადაწყვეტილებით დადგინდა კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების დაცვა) დარღვევა შენობის დანგრევის შედეგად დარჩენილი სამშენებლო მასალის ღირებულების საფუძველზე ლ. ხ-ისთვის ზიანის ანაზღაურების გამო. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 09.12.2021წ. გადაწყვეტილებით, აპლიკანტისთვის ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა განისაზღვრა შპს „პ...ის“ დამოუკიდებელი შემფასებლის

18.11.2021წ. ანგარიშის საფუძველზე, რომლითაც შეფასებულია ლ. ხ-ის საკუთრებაში არსებული წილის საბაზრო ღირებულება 2021 წლის 18 ნოემბრისთვის. საქმის მასალების მიხედვით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 09.12.2021წ. გადაწყვეტილება გასაჩივრდა მხოლოდ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მას არ ასაჩივრებს ლ. ხ-ი, რითაც აპლიკანტი ეთანხმება ზიანის ანაზღაურებას შპს „პ...ის“ დამოუკიდებელი შემფასებლის 18.11.2021წ. ანგარიშის საფუძველზე განსაზღვრული შენობის საბაზრო ღირებულებით. ამდენად, ლ. ხ-ი ერთი მხრივ – ეთანხმება შეცვლილი საბაზრო (არა სახარჯთაღრიცხვო) ღირებულებით ზიანის ანაზღაურებას და შესაბამისად, ადასტურებს მოსალოდნელობას 2021 წლის 18 ნოემბრისთვის ნივთის საკუთარი სურვილით გაყიდვის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ – ითხოვს კომერციული ფართის გაქირავების შეუძლებლობით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას გადაწყვეტილების აღსრულებამდე ანუ 18.11.2021წ. – ფართის მოსალოდნელი გაყიდვის შემდეგაც. ვინაიდან ლ. ხ-ის მოთხოვნა მოიცავს შეცვლილი საბაზრო ღირებულებით ანაზღაურებას, რითიც იგი ადასტურებს ექსპერტის მიერ გამოთქმულ ვარაუდს 2021 წლის 18 ნოემბრისთვის ნივთის საკუთარი სურვილით გაყიდვის შესახებ, რის შემდგომაც მესაკუთრეს აღარ ექნებოდა ამავე ფართის გაქირავებისა და ამ გზით შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, არ დასტურდება 2021 წლის 18 ნოემბრიდან კომერციული ფართის გაქირავებით შემოსავლის მიღების მოსალოდნელობა. ამდენად, ლ. ხ-ის მიერ ფართის გაქირავების შესაძლებლობის ჩამორთმევით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების დაკმაყოფილება 2021 წლის 18 ნოემბრის პერიოდის შემდეგ დაუსაბუთებელია.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ლ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა კომერციული ფართის გაქირავების შეუძლებლობით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის ყოველთვიურად 650 აშშ დოლარის ეკვივალენტის გადახდა ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისკენ, რის გამოც ზიანის მოცულობა უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით, ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება (სუსგ №ას-945-895-2015, 14.03.2016წ.), პირის იმაზე უკეთეს ქონებრივ მდგომარეობაში აღმოჩენა, ვიდრე იგი იქნებოდა ზიანის გამოწვევი ქმედების არ არსებობის შემთხვევაში (სუსგ 21.06.2021წ., №ბს-1031(კ-

20)). მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს არა ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვის გარეშე (სუსგ 24.10.2014წ., №ას-848-806-2013), არამედ „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), (იხ. სუსგ-ები: 14. 03. 2016წ, №ას-945-895-2015; 24.10.2011წ., №ას-307-291-2011; 22.11.2012წ., №ას-899-845-2012). დაუსაბუთებელია ლ. ხ-ის მიერ 2007 წლის პირველი თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებაამდე ფართის გაქირავებით უკლებლივ ყოველთვიურად 650 აშშ დოლარის ოდენობით შემოსავლის მიღების მოსალოდნელობა (მით უფრო, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების მიხედვით, შენობის დემონტაჟის მომენტში ლ. ხ-ის კუთვნილი ფართი იჯარით გაცემული არ ყოფილა). ყოველთვიური ქირის ოდენობის განსასაზღვრად გასათვალისწინებელია მოიჯარის ცვლილებით გამოწვეული დანაკარგები, რომელსაც განიცდის მესაკუთრე. საქმის მასალებში წარმოდგენილი შპს „პ...ის“ დამოუკიდებელი შემფასებლის 18.11.2021წ. ანგარიშის მიხედვით, 2021 წლის მდგომარეობით ფართის გაქირავების დროს მოიჯარის ცვლილებით გამოწვეული მესაკუთრის დანაკარგი შეადგენს საერთო შემოსავლის 5%-ს. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოიჯარის ცვლილებით განპირობებული დანაკარგის პროცენტული მაჩვენებელი შესაძლოა იცვლებოდეს ეროვნული ვალუტის მნიშვნელოვანი გაუფასურებით, რაც ამცირებს მოთხოვნას კომერციულ ფართზე. ამას გარდა, მესაკუთრის მიერ ყოველთვიურად მისაღებ წმინდა შემოსავალზე გავლენას ახდენს მის მიერ გასაწევი ხარჯები, მაგ. ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულება (იხ. შპს „პ...ის“ დამოუკიდებელი შემფასებლის 18.11.2021წ. ანგარიში). მოცემულ საქმეზე შპს „პ...ის“ დამოუკიდებელი შემფასებლის 18.11.2021წ. ანგარიში არ ასახავს ლ. ხ-ის მიერ სადავო პერიოდის განმავლობაში ფართის იჯარით გაცემით მისაღებ წმინდა შემოსავალს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ლ. ხ-ის საკუთრებაში არსებული ნილის გაქირავებით მისაღები შემოსავლის სახით ყოველთვიურად 650 აშშ ამერიკული დოლარის ოდენობით ანაზღაურების დაკისრება დაუსაბუთებელია და ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათის გათვალისწინებით სასამართლო უფლებამოსილია მტკიცების საგანში შეიყვანოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი ფაქტიც, რომელზედაც მხარე არ უთითებს (სუსგ 21.07.2022წ., №ბს-1020(კ-19)), თუმ-

ცა მითითებული საპროცესო მონესრიგება იმავდროულად არ წარმოადგენს საქმეზე მტკიცებულებების მოპოვების პირველადი ვალდებულების სასამართლოსთვის დაკისრებას, რადგან აღნიშნული შეიცავს სასამართლო საქმიანობის გადატვირთვისა და ამით მისი ხელმისაწვდომობის შემცირების რისკებს. შესაბამისად, მტკიცებულებათა მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენის პირველადი ვალდებულება ეკისრება მხარეს (ასკ-ის 17.1 მუხლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები). აღნიშნული ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილია იმით, რომ საბოლოოდ საპროცესო ტვირთის დაუძლეველობის შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს მიერ საქმეზე საჭირო საპროცესო საშუალებების გამოყენების მიუხედავად ვერ ხდება სათანადო მტკიცებულებების მოძიება თუ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის მითითება ან მისი არსებობის დამტკიცება ევალებოდა. ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში მოსამართლე აღჭურვილია თავისი ინიციატივით დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარდგენის შესახებ გადწყვეტილების მიღების (ასკ-ის მე-4 მუხ.), ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების შეგროვების უფლებამოსილებით (სასკ-ის 19.1 მუხ.), თუმცა აღნიშნული არ უარყოფს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს, მათი აქტივობის საჭიროებას. სამოქალაქო პროცესის მსგავსად ადმინისტრაციულ პროცესშიც მხარეები აღჭურვილნი არიან თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები (ასკ-ის მე-4 მუხ., სსკ-ის 4.1 მუხ.). სსკ-ის 203.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლეს შეუძლია დაავალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს მათ წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები თუ დოკუმენტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მოსამართლეს შეუძლია სხვა მოქმედებების შესრულებაც, რომლებიც ხელს შეუწყობენ სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადებას. სამოქალაქო სასამართლო წარმოებაში, მტკიცებულებების არასრულად წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო შემოიფარგლება მხარისთვის მხოლოდ წინადადების მიცემით მტკიცებულებების წარმოდგენის თაობაზე, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში ფაქტების გამოკვლევა ხორციელდება მხოლოდ მხა-

რეთა შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე (საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისების გარდა, მაგ.: საოჯახო დავების განხილვისას, სსკ-ის 354.1 მუხ.). აღნიშნულისგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში მოსამართლე აღჭურვილია თავისი ინიციატივით დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარდგენის საჭიროების შესახებ გადამწყვეტილების მიღების (ასკ-ის მე-4 მუხ.), საკუთარი ინიციატივით ფაქტობრივი გარემოებების და მტკიცებულებების შეგროვების უფლებამოსილებით (ასკ-ის 19.1), რაც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონიერების პრინციპიდან გამომდინარეობს, ხოლო სასამართლო, დაინტერესებული მხარის მოთხოვნის ფარგლებში, უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობით კანონიერების პრინციპის დაცულობის კონტროლს. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში სსკ-ის 203-ე მუხლი გამოიყენება ასკ-ის მე-4 და მე-19.1 მუხლებით განმტკიცებული ინკვიზიციურ პრინციპთან ერთობლიობაში და სასამართლოს შეუძლია ადმინისტრაციულ ორგანოს არა მხოლოდ მისცეს წინადადება, არამედ საჭიროების შემთხვევაში დაავალოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების (მათ შორის გამოთვლებთან დაკავშირებული საკითხის (შდრ. სუსგ 12.07.2021წ., №ბს-890-886(კ-17) და 07.04.2022წ., №ბს-131(კ-22)) შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და/ან მტკიცებულების წარმოდგენა. ასკ-ის 19.5 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არასაპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო მტკიცებულებათა წარდგენა, სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს, რაც არ ათავისუფლებს მას მტკიცებულებათა შემდგომში წარდგენის ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართოს წარდგინებით სასამართლოში მტკიცებულებათა წარუდგენლობის მიზეზების დადგენისა და შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონიერების პრინციპის დაცვა როგორც მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობებში, ასევე საპროცესო განხილვების სხვადასხვა სტადიებზე ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებაა და არა არჩევანი. ინკვიზიციურობის ფარგლებში სასამართლოს აქტიუობა არ გულისხმობს მხარის თავისი საპროცესო ვალდებულებებისაგან გათავისუფლებას, სასამართლოს მიერ ერთ-ერთი მხარის სრულ ჩანაცვლებას. სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაშიც მხარეებს უნარჩუნდებათ

თავიანთი მოთხოვნებისა და შესაგებლის, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ საკასაციო საჩივრით სადავო გახადა ლ. ხ-ისთვის მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საფუძვლიანობა და ოდენობა. სააპელაციო სასამართლოში 25.10.2021წ გამართულ ზეპირ სხდომაზე სასამართლომ მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს წინადადებით დაეფიქსირებინა ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით მხარის პოზიცია. ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან საქმეზე არ იხილებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი, ადმინისტრაციული ორგანო ქონების ღირებულებასთან დაკავშირებით მოსაზრებას არ გამოთქვამდა და შესაბამისად ვერც მტკიცებულების წარმოდგენის საჭიროებას ხედავდა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს, როგორც საქმის სააპელაციო წესით განხილვის ეტაპზე მოპასუხე მხარეს, ფაქტების დადგენაში მონაწილეობის მიღება ევალებოდა. სსკ-ის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 102.1 მუხლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საპროცესო კანონმდებლობა მოპასუხე მხარეს არ ათავისუფლებს ფაქტის მითითებისა და მტკიცების ტვირთისგან საქმის სააპელაციო წესით განხილვის ეტაპზე სააპელაციო საჩივრის წარმდგენი სუბიექტის მიუხედავად. სააპელაციო სასამართლოში 25.10.2021წ გამართულ ზეპირ მოსმენაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის მოსაზრებით, №25601/12 საჩივარზე მიღებული 17.12.2019წ. გადაწყვეტილებით ევროპულმა სასამართლომ კომპენსაციის ნაწილში მოკვლევის განხორციელება ეროვნულ სასამართლოებს დააკისრა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებიდან შესაბამისი პარაგრაფის მითითების გარეშე მოპასუხის მოსაზრება ევროპული სასამართლოს მიერ ეროვნული სასამართლოებისთვის კომპენსაციის ოდენობასთან დაკავშირებული ფაქტების მოკვლევის დაკისრების თაობაზე დაუსაბუთებელია. შესაბამისად, მოსარჩელე მხარის საწინააღმდეგო ფაქტის მითითებისა და დამტკიცების პირველადი ვალდებულება ეკისრება მოპასუხეს – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ხოლო სასამართლო უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონიე-



რების პრინციპის დაცულობის კონტროლს, აგრეთვე სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენის დავალებით ახდენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასზე დაკისებული საპროცესო ვალდებულებების შესრულების სტიმულირებას და საჭიროების შემთხვევაში თავადვე უზრუნველყოფს მტკიცებულებათა მოძიებას (მაგ.: ექსპერტიზის დანიშვნას, საქმეში არამონაწილე ადმინისტრაციული ორგანოსგან ინფორმაციის გამოთხოვას და სხვ.). მოცემულ შემთხვევაში, ლ. ხ-ისთვის მიუღებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრის მიზნით მტკიცების საგანში შემავალი გამოსაკვლევი ფაქტობრივი გარემოებაა ქონებრივი დანაკარგები, რომელიც მას როგორც მესაკუთრეს მოსალოდნელი იყო რომ განეცადა 2007 წლის პირველი თებერვლის შემდგომ (მაგ. დანაკარგი გამოწვეული მოიჯარის ცვლილებით და ა.შ.). აღნიშნული გარემოების გამოკვლევის გარეშე სასამართლომ მიიჩნია, რომ დასტურდებოდა ლ. ხ-ის მიერ კომერციული ფართის გაქირავების გზით 2007 წლის პირველი თებერვლის შემდეგ ყოველთვიურად 650 აშშ დოლარის ოდენობით შემოსავლის მიღების მოსალოდნელობა, სასამართლომ არ გამოიყენა ადმინისტრაციული სასამართლო წარმოებაში გათვალისწინებული საპროცესო საშუალებები საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევის მიზნით. საქმის მასალების მიხედვით, სასამართლო შემოიფარგლა ადმინისტრაციული ორგანოსთვის მხოლოდ წინადადების მიცემით, შეთავაზებით ინფორმაციისა და მტკიცებულებების წარმოდგენის თაობაზე, რაც სამოქალაქო სამართალწარმოებისთვის არის დამახასიათებელი. ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში სასამართლოს, ასკ-ის მე-4, მე-19.1, მე-19.5 და სსკ-ის 203.1(ა) და 203.2 მუხლების საფუძველზე, გააჩნდა საპროცესო უფლებამოსილება ადმინისტრაციული ორგანოსთვის დაევალებინა მეიჯარის/გამქირავებლის დანაკარგებთან დაკავშირებული ინფორმაციის და/ან მტკიცებულებების წარმოდგენა, სასამართლოს ასევე შეეძლო, სსკ-ის 162.1 მუხლის მიხედვით ექსპერტიზის დანიშვნა, უკეთუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე აუცილებელი იქნებოდა სპეციალური ცოდნა, და სსკ-ის 169-ე მუხლის შესაბამისად ინფორმაციის შეგროვება. ექსპერტიზის ჩასატარებლად აუცილებელი მასალების წრეს განსაზღვრავს სასამართლო, თუმცა ექსპერტიზის ჩატარებისათვის აუცილებელ მასალებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები (169.1 მუხ.). თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს ექსპერტიზის მითითებებს ან სხვაგვარად ხელს უშლის ექსპერტიზის ჩატარებას, მონინაალმდეგე მხარის პოზიცია ჩაითვლება დადასტურებულად (169.4 მუხ.). ამდენად, სასამართლოს მიერ მისთვის მინიჭებული საპროცესო საშუალებების გამოყენების, საქმი-

სათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევის გარეშე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული 09.12.2021წ. გადაწყვეტილებით მოპასუხისთვის ლ. ხ-ის სასარგებლოდ 2007 წლის პირველი თებერვლიდან ყოველთვიურად 650 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით ანაზღაურების დაკისრება მოკლებულია სათანადო ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები (არ გამოიყენა გარემოებების დამდგენი, ადმინისტრაციული სასამართლო წარმოებისთვის დამახასიათებელი საპროცესო საშუალებები) და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, გადანყვეტილება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წანამძღვრებს, გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, აღნიშნული თავის მხრივ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით, 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.12.2021წ. გადაწყვეტილება ლ. ჩ-ის, გ.

კ-ისა და ლ. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების ნა-  
ნილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნ-  
დეს იმავე სასამართლოს;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-  
ციულ საქმეთა პალატის 09.12.2021წ. გადაწყვეტილება სახელმწი-  
ფო ბაჟის განაწილების ნაწილში, სასამართლო სახელმწიფო ბაჟის  
განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტი-  
ლების დადგენისას;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-  
რდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 298 20 75  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)